CMYK

# საერთო გაზეთი

№34 (346) • 4 ნოემბერი, 2015 წელი • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



**ქიბარ ხალვაში:**

„დღეს სასამართლოში დამარცხდა მიშა სააკაშვილი, რომელიც უკვე აღარ არის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პატრონი“.



**ირაკლი ღარიბაშვილი:**

დღეს ვართ დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობა არის და იქნება დაცული და ვერ ერთი მოქალაქე ვერ დადგება კანონზე მაღლა, ვერც „ქინძი“ და ვერც ნებისმიერი სხვა მოქალაქე.

**გურამ პეტრიაშვილი:**

სააკაშვილმაც მოინდომა ალმაშენებლობა და თქვა, ახალი ქართველი უნდა გამოვიყვანოო, შექმნა ახალი ქართველი და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილი



## gilocavT! `rusTavi-2~ saakaSvilisa da `nacmoZraobis~ tyveobisgan gaTavisuflda!

**ელიზბარ ჯაველიძე:**



ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად დასტურდება, რომ შეთქმულებას აწყობდნენ, დაუძახეს პროკურატურაში, ყავა დაალევინეს და სახლში გაუშვეს... საქმეა ახლა ეს?!

**ზურაბ ბიგვავა:**



ამ საუბრებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სააკაშვილი ამათთვის ისევ პრეზიდენტია, ისევ ამათი უფროსია

**მერაბ შათირიშვილი:**



თუ ამ სისტემის შემქმნელი „ნაცმოძრაობა“ არ გასამართლდა, „ქართული ოცნება“ ამას გადააჰყვება, რადგან იგი „ნაცმოძრაობასთან“ გაიგივდება

## საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# სასამართლომ „რუსთავი 2“-ის წილების დაბრუნებაზე ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა დააკმაყოფილა



მოსამართლე ურთმელიძის გადაწყვეტილებით, ქიბარ ხალვაშის მოთხოვნა „რუსთავი-2“-ის წილების დაბრუნებასთან დაკავშირებით დაკმაყოფილდა.

შეგახსენებთ, რომ ქიბარ ხალვაშს სასამართლოში შვიდი სასარჩელო მოთხოვნა ჰქონდა წარდგენილი, აქედან ოთხი საავტორო უფლებებს ეხება. ქიბარ ხალვაში ითხოვდა „რუსთავი 2“-ის ლოგოსა და სამი საერთაშორისო პროექტის ავტორად აღიარებას, ასევე ლოგოსა და გადაცემების უკანონო გამოყენებისთვის ზიანის ანაზღაურებას. ხალვაში ასევე ითხოვდა სადაო ხელშეკრულებების გაუქმებას, ასევე ამ წლების განმავლობაში მიუღებელი შემოსავლების ანაზღაურებას, რომელიც მისი ინფორმაციით, 13 მილიონზე მეტია და იძულებით ჩამორთმეული წილების დაბრუნებას.

## ირაკლი ღარიბაშვილი: მე დავიცავ თქვენს უფლებებს



„მინდა „რუსთავი2“-ის ჟურნალისტებს მოგმართოთ, რომ თქვენ ხართ პროფესიონალები და მინდა დავაფიქსირო ჩემი მხარდაჭერა თქვენდამი. დაუშვებელია მედიასაშულებების პოლიტიზება და ყველა პოლიტიკოსმა უნდა შეიკავოს თავი მედიის პოლიტიზებისგან, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვარ. რასაკვირველია, თქვენ გაქვთ უფლება გაგაჩნდეთ პოლიტიკური შეხედულება, მაგრამ ეს უნდა იყოს პირადი. მე ვერ დაგაძალებთ, რომ მხარდამჭერი იყოთ ჩვენი მთავრობის, რადგან თქვენ გაქვთ კონსტიტუციური უფლება გააგრძელოთ თქვენი საქმე, ისე როგორც ამას აკეთებთ,”-განმარტა პრემიერმა.

ჩემთვის არ არის საინტერესო ვინ იქნება რეალური მფლობელი „რუსთავი-2“-ის, ჩემთვის არის მთავარი თქვენ, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები, იყოთ დაცული და როგორც სახელმწიფო, ვაცხადებთ, რომ იქნებით აბსოლუტურად დაცულნი,-ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა.

მისი თქმით, მისთვის უცნობია „რუსთავი-2“-ის გარშემო არსებული სასამართლო დავის დეტალები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მედია იყოს დაცული და ვერავინ შეძლოს მედიათავისუფლების შეზღუდვა.

“ეს არის დავა ორ კერძო სუბიექტს შორის, ჩვენი ჩართულობა ამ დავაში არის გამორიცხული. ეს არის სასამართლოს გადაწყვეტილება და ყველა უნდა მივეჩვიოთ, რომ თანამედროვე, დემოკრატიულ საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ევროკავშირის შესაბამის რეფორმებს ვახორციელებთ, ყველა დავემორჩილოთ სასამართლო გადაწყვეტილებას. მათ შორის ჩვენ, ხელისუფლებას გვაქვს ვალდებულება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს მიღებული გადაწყვეტილება, დავემორჩილოთ სასამართლოს გადაწყვეტილებას,”-აღნიშნა პრემიერმა.

მისი თქმით, დაუშვებელია მიმდინარე სამართლებრივი პროცესების ზედმეტი დრამატიზება და პოლიტიზება. მანვე “რუსთავი2” ჟურნალისტებს მიმართა და მხარდაჭერა გამოუცხადა.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა უკრაინულ საიტებზე გავრცელებულ ჩანაწერებზეც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში კანონის უზენაესობა არის დაცული.

„გავრცელდა ყოფილი პრეზიდენტის, ამჟამად ოდესის გუბერნატორის საუბრის ჩანაწერები, რომელიც საკუთარ თავს ქინძს ეძახის. ჩემთვის ეს სასაცილოა, ჩვენ ე.წ. ქინძის განცხადებებზე ვერ გავაკეთებთ სერიოზულ კომენტარს, მაგრამ მინდა ყველას ვუთხრა, რომ დღეს ჩვენი სახელმწიფო არის იმაზე ძლიერი, ვიდრე იყო სამი წლის წინ, იმიტომ, რომ დღეს ვართ დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობა არის და იქნება დაცული და ვერ ერთი მოქალაქე ვერ დადგება კანონზე მაღლა, ვერც „ქინძი“ და ვერც ნებისმიერი სხვა მოქალაქე,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

## ქიბარ ხალვაში: „გილოცავთ სააკაშვილის დამარცხებას“



„დღეს მოხდა ის, რისიც 10 წელია მჯერა და რისთვისაც ბრძოლა 10 წელია არ შემიწყვეტავს. დღეს სასამართლოში დამარცხდა მიშა სააკაშვილი, რომელიც უკვე აღარ არის ტელეკომპანია რუსთავი2–ის პატრონი.

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება არის სწორედ სამართლიანობის აღდგენის პროცესის რეალური დასაწყისი.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ გაგრძელდება სამართლებრივი პროცესი შემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, მე გამარჯვებული ვარ, რამდენადაც არა დაშინებითა და ზეწოლით, არამედ ცივილიზებულად, სასამართლოს გზით, დავამტკიცე ჩემი სიმართლე და ჩემი განადგურების მოსურნე ოდესის გუბერნატორმა საკადრისი სამართლებრივი პასუხი მიიღო.

ეს სასიამოვნოა, თუმცა, დღეს ეს უკვე აღარ არის მთავარი.

კარგად მესმის, რომ ჩემი სამართლებრივი ბრძოლა „რუსთავი 2“-ის დასაბრუნებლად ნაციონალური მოძრაობის და პირადად სააკაშვილის მიერ საყოველთაო აჟიოტაჟის საგნად არის ქცეული.

დღეს სულ სხვა რამ მაღელვებს.

ესაა იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ნებსით თუ უნებლიედ მოყვნენ წლების მანძილზე სააკაშვილის მიერ დატერორებული ტელეკომპანიების ცრუ და პროპაგანდისტულ მექანიზმში.

„რუსთავი 2“-ის თანამშრომლებზე ვსაუბრობ.

მე მათ გუშინაც მივმართე და დღესაც მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო:

მე მართლაც კარგად მესმის რა ტერორის და ზეწოლის ქვეშ იმყოფებით დღემდე ტელეკომპანია რუსთავი2–ის მეპატრონის მიხეილ სააკაშვილის მხრიდან. დღეს ეს ტერორი დასრულდა!

მე გარწმუნებთ და კიდევ ერთხელ გპირდებით, რომ თქვენგან არცერთი პროფესიონალი არ გათავისუფლდება სამსახურიდან.

საქართველოში მართლაც შეიძლება ხარისხიანი, სარედაქციო დამოუკიდებლობის უმაღლესი სტანდარტების მქონე, კრიტიკული და ამავდროულად მომგებიანი ტელე–ბიზნესის კეთება და ერთად გავაკეთებთ ამას.

სიმართლე ერთია და ის ყოველთვის არა ძალადობის, არამედ თავისუფალი სიტყვის, თავისუფალი ბიზნესის და თავისუფლების მხარესაა.

დღეს სიმართლემ იზეიმა და დიდი ბოროტება დამარცხდა. გილოცავთ!”

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

კობა არაბული





# სააკაშვილის „მომყოლები“ „პანდორას ყუთიდან“

„მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქართველი ერის პოლიტიკის და კულტურის ისტორიაში: ხელისუფლება დაატოვებინეს კაცს, ჩვენი დროის „ჰეროსტრატეს“, რომელმაც ქვეყანაში დათესა ადამიანთა სიძულვილი, გამოიწვია კულტურისა და ხელოვნების ტოტალური ნგრევა...

ამავე ადამიანმა თავისთვის აიშენა „არტემიდეს ტაძარი“, რომლის დაწვაც ვერ მოასწრო...

სწორი გადაწყვეტილება მიიღო ახალმა პრეზიდენტმა – ფილოსოფოსმა კაცმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა, როცა ამ „საპრეზიდენტო რეზიდენციაში“ („ნაგებობაში“) არ შევიდა“ – ეს არის ფრაგმენტი წერილიდან „ჰეროსტრატეს“ სასახლე ავლაბარში“, რომელიც მაშინ დაიბეჭდა, როცა პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბრძენი იყო და ავლაბრის „ჰეროსრტატეს სახლში“ შესვლას არ აპირებდა.

ასე რომ ტყუილად ჰგონია მავანს, ავლაბრის სასახლის თემა ახლა წარმოიშვა, როცა იქ მარგველაშვილი შევიდა, მავანნი „რუსთავი-2“-ს ჭორბიუროს ჯაშუშები და სხვანი კი ლეყეცობენ, თითქოს ჩვენ ივანიშვილი რაღაცას გვკარნახობდეს და იმიტომ ვწერთ და დავწერეთ მწერალთა ის მიმართვა, რომელიც საზოგადოებამ აიტაცა... სამაგიეროდ, „რუსთავი-2“-ს ემცხეთა...

აგრეთვე ემცხეთათ სააკაშვილის „ზონდერ“ მწერლებს, ხაზარაძის ძუძუმწოვარებს და სკანდალურ პრემიაზე, „საბაზე“ მიბმულთ სააკაშვილისავე ჭიპის ნაწლავით. ეს ადამიანები არიან ვინმე ლეჟავა, იმედაშვილი, დეფიბლეფი-გოგიბედაშვილები, ვინმე ქალბატონი დოლენჯაშვილი „რუსთავი-2“-ის მხარეზე რომ დადგნენ...

წერილს, რომლითაც ჩვენ მივმართეთ ქართველ საზოგადოებას, პარლამენტს აგრეთვე ამერიკის ელჩს და დიპკორპუსს ხელს აწერენ მწერლები, რომლებიც არასოდეს მდგარან არავის მხარეზე, გარდა საკუთარი ქვეყნისა და სამშობლოსი...

ზოგი მათგანი, 9 აპრილს მოწამლული, ახლაც მკურნალობს, პირადად მე ძლივს გადავარჩინე ჩემი ბავშვების სიცოცხლე, რომლებიც იმ ღამეს იქ მყავდნენ!..



ზურაბ ლეჟავა

თქვენ იქ არ ყოფილხართ, არც იმ რუსული რეჟიმის წინააღმდეგ გიბრძოლიათ, რომელიც ჩვენ, სწორედ ჩემმა თაობამ – 70-იანელებმა გავიყვანეთ ჩვენი ქვეყნიდან, არც შემდგომი ტირანიის წინააღმდეგ გიბრძოლიათ, თქვენ და სააკაშვილმა რომ მოიყვანეთ...

თქვენ, თქვენმა თაობამ, სააკაშვილის ბელადობით კვლავ უკან დააბრუნეთ ისინი და ქართული მიწა-წყლის 1/3 უბოძეთ!

ჩვენ არ ვმდგარვართ რომელ-



თეონა დოლენჯაშვილი

იმე ტირანის და ტირანიის მხარეზე არც მაშინ და არც სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის დროს. პირადად მე ისეთი და იმ ტიპის კონფლიქტი მქონდა ნაცებთან, რომ ნაცნობები და ახლობლები ხელს ვერ მართმევდნენ, „სამსახურიდან გაგვაგდებენო“!!! და ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ მე ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ბრძოლა – ათეულობით ჩემი საპროტესტო წერილია დაბეჭდილი „ასავალ-დასავალში“, „საერთო გაზეთში“ თუ სხვაგან.

თქვენ, გოგიბედაშვილები-დეფები და ბლეფები იმ ტირანის მხარეზე იდექით და დგეხართ, ვინც დაანგრია ქართული კულტურა და ერის ისტორიული ცნობიერება. დაანგრია აკადემიები და უნივერსიტეტები, გააუქმა შემოქმედებითი კავშირები და, უწინარეს ყოვლისა, მწერლებს წაართვა ქონება და შენობა-ნაგებობები. შემოქმედებითი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები ჩარეცხილებად გამოაცხადა.

პირდაპირ გეტყვით, თქვე ვირთხებო! ხმა არ ამოგიღიათ მაშინ და ტაშს უკრავდით ამ „ჰეროსტრატეს“, ნერონის თუ კალიგულას რეჟიმს, რომელმაც თავისი ქვეყანა მიწასთან გაასწორა, თქვენ ახლაც იქ, მასთან დგახართ, იმ მანიაკის მხარეზე და ტაშს უკრავთ მისი სატელევიზიო არხიდან და ჩვენზე „სიტყვის დაძვრას“ ბედავთ!..

ივანიშვილმა ამის შემდგომ თითზე თითი რომ არ დააკაროს, ქართველმა ერმა ძეგლი უნდა დაუდგას იმ გაუგონარი ტირანიის და XXI საუკუნის ახალი ფაშიზმის დაძლევისთვის!

ჩვენ არა ვართ ის მწერლები, ვინმეს დაკრულზე რომ ვიცეკვოთ. არასოდეს გვქონია ჯილდოები და იარლიყები რომელიმე რეჟიმის დროს და თქვენგან განსხვავებით, არც საკუთარი მიცვალებულების გვამებზე გაგვიმართავს მარულა!..

არ შეგვილანძღავს საკუთარი წინაპრები;

არც ქართველი ქალის მანდილი მოგვიხსენიებია „ბოზის მანდილად“;

და არც „დიდი ხუთშაბათი“ „საიდუმლო სირობის დღედ“.

თქვენ სირისტიანი გვამები და „რუსთავი-2“-ისა და სააკაშვილის „პანდორას ყუთიდან“ ამოფრენილი ყვავები ბრძანდებით!

ძალიან კარგია, რომ ბოლომდე „რუსთავი-2“-ის კომიქსებად რჩებით და ვერ გამოდიხართ მაგ „პანდორას ყუთიდან“, სადაც სააკაშვილმა ჩაგამწყვდიათ და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ იკავებთ ჭეშმარიტ მწერალთა და ხელოვანთა საარსებო სივრცეს, როგორც ამ საუკუნის მედროვენი და სააკაშვილის „მომყოლნი“ და, სამწუხაროდ, დღემდე მის ჭიპლარს ვერმოწყვეტილნი...

თქვენ და „რუსთავი-2“, რომელიც რადიაციული ღრუბელივით წამლავს ქვეყანას, ერთად და ერთდროულად ცდილობთ ჩვენი მიმართვის პათოსის და იდეის არიდებას სამიზნისთვის, მაგრამ ამაოდ. მისი ისრები არც სააკაშვილს ასცდება, არც პრეზიდეტნს და არც „რუსთავი-2“ს და არც უცხოელ „არამკითხე მოამბეებს“, რომლებიც განუწყვეტლივ გვარიგებენ ჭკუას და ვერ აიცდენთ ვერც თქვენ, ფსევდომწერლები, ანუ აწ უკვე სააკაშვილისა და „რუსთავი-2“ის ლუსტრირებული ქომაგები და ხაზარაძის წიწილები...

* * *

რეზიუმეს სახით უნდა ვთქვა, რომ ქართველი ერი ვერ გაუძლებს ამდენ უზნეობასთან თანაარსებობას, ამდენ ზნეობრივ ძალადობას და ცილისწამებას, რელიგიურ და ისტორიულ შეურაცხყოფას, მოვლენათა უკუღმა შებრუნებას და ისე დანახვას, მონღოლებიც კი არ აკეთებდნენ ასეთ რამეს, აფასებდნენ ღირსებას და ტაძრებსაც არ ანგრევდნენ.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ეს სახიფათო სტაგნაცია, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ყველას თავისი სახელი დაერქვას, ბოლოს და ბოლოს, ახლა მაინც გასამართლდეს ნაცისტური რეჟიმი, როდესაც პირდაპირ ხელისგულზე გვიდევს „სახელმწიფო გადატრიალების სქემა“ ღალატი და პირდაპირი მუქარა...

თუ ეს ასე არ იქნა, ერი ვერ აღასრულებს „ბოროტთან ზავის არშეკვრის“ მისიას და დაიღუპება...

* * *

ჩვენ უნდა ვთხოვოთ უფალს, ყველამ, ერმა და ბერმა, გადაგვირჩინოს ქვეყანა, განარჩიოს კეთილი და ბოროტი, მტყუანი და მართალი, თორემ ერი ვირთხებისა და გიენების წვენში იხარშება, ადამიანები ცხოველებთან ერთად „ჩაიხარშნენ“ ვერეს ხეობაში, ცოცხლები ფუნქციონირებენ და თანაარსებობენ ჯალათებთან ერთად (პარლამენტში და ყველგან...).

ამ ჯალათ-ბოროტებთან თანაცხოვრების რეჟიმმა დასაჯა და კიდევ დასჯის ჩვენს ქვეყანას უფრო საშიში აპოკალიფსით.

მეტად სახიფათო და უზნეო სიმპტომია „რუსთავი-2“-ის ეკრანზე სააკაშვილის ჯალათების და ლიბერასტების, ერის დამანგრეველი ზომბების დასაცავად „მწერლების“ ჩამოდგომა მწერლებისავე წინააღმდეგ „ჩემი შენ გითხარიო“-ს კადრებით!

შეიძლება ვინმეს ეპატიოს, მაგრამ მწერლად წოდებულს არ ეპატიება ასეთი უზნეობა და არც გეპატიებათ...

მართლაც „დეფებად“ და „დეფოლტებად“ დარჩებით მწერლობაში და ამ ქვეყანაშიც, სადაც თქვენი მწერლური „მე“ და ნაკალმარი არასოდეს იქცევა ქართველი ხალხის ზნეობრივ მაგალითად (მორალურ გაკვეთილად)...

„ბილწთან ზავით არშეკვრის“ მორალით აცხოვრებდა ვაჟას, ილიას თუ ყაზბეგის ყველა პერსონაჟი ერს, რამაც დღემდე მოიყვანა იგი...

და, ბოლოს და ბოლოს:

იცხოვროს ვისაც სურს და როგორც სურს, თუნდაც „რუსთა-



დეფი

ვი-2“-ის ტალახში, ვინც ამ არჩევანის ღირსია, იყოს იქ, ამოვარდნილი საკუთარი ერის ზნეობრივი სივრციდან და გენ-კოდიდან! ეს არის სავალალო ანომალიაც და ქვეყნისთვის სასარგებლო ლუსტრაციაც.

მწერლად წოდებული ფიგურა არ უნდა დადგეს „გამრუდებულ სიბრტყეზე“ და მხოლოდ უნიტაზზე არ უნდა უსმენდეს მუსიკას.



# გურამ პეტრიაშვილი:

# ნაციონალებისნაირ ტურებს კიდევ ბევრჯერ მოველანდები!

**გვესაუბრება მწერალი, ბატონი გურამ პეტრიაშვილი**

**— ბატონო გურამ, როცა სააკაშვილის, ბოკერიას და გვარამიას საუბრის ჩანაწერი მოისმინეთ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ. ხომ არ მოგაგონათ ამ რევანშისტულმა საუბარმა 90-იანი წლები და ეროვნული ხელისუფლების დამმხობთა ლექსიკა და პათოსი?**

— რომ გითხრათ, ნიღაბჩამოხსნილი სააკაშვილი დავინახე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. როცა არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა, მაშინ იხოხა მიწაზე და მაშინ ყველამ დავინახეთ მისი მდაბიო ბუნება. იმ დღიდან ვიცოდი, რაც იყო სააკაშვილი.

გვარამია რომ თავს იკავებს სააკაშვილის იდეაზე — თუ საჭირო იქნება, სროლაც უნდა იყოსო, სააკაშვილს ეს არ მოსწონს. მაგას არ ენაღვლება, ქართველები ერთმანეთს თუ ვესვრით და დავხოცავთ.

რაც სააკაშვილმა თქვა, არაფრით განსხვავდება 90-იანი წლების პუტჩისტების ლექსიკისგან — უსინდისო თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი დედას რომ აგინებდნენ ზვიადს.

ნაციონალები იმათი პირდაპირი შთამომავლები არიან და მე ვფიქრობ, ეს ადამიანები საპატიმროებში უნდა მოათავსონ, რადგან ამათგან სერიოზული პროვოკაციები არის მოსალოდნელი.

მოსაკლავად არავინ მემეტება, ამიტომ სააკაშვილი და მისი მთავრობის წევრები უნდა დაიჭირო და ისეთი რამეები გაუკეთო, რასაც უკეთებდნენ პატიმრებს. ცხვირ-პირი ცემით უნდა გაუერთიანო სააკაშვილს, რომ ყვიროდეს: ვაი, დედაო, მაგრამ დედამისს სად აქვს მაგის შველის დრო, რომელ თურქს გაჰყვეს ცოლად, იმაზე ფიქრობს.

ხალხს, ალბათ, ახსოვს ჩემი წერილები, რომლებსაც უკრაინიდან ვაგზავნიდი. იქ ვწერდი ყველაფერს „ნაცმოძრაობაზე". მათ თავიდანვე უნდოდათ ქართველი ხალხი მონებად ექციათ.

რა დაგვავიწყებს, რაც მათ გააკეთეს თუნდაც სვანეთში, როგორ ამოხოცეს აფრასიძეების ოჯახი და დაანგრიეს ისტორიული სვანური კოშკები. აფრასიძეები ხომ ამოჟლიტეს, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც ის იყო, რომ სვანები და მთლიანად საქართველო შეეშინებინათ და მუხლებზე დაეჩოქებინათ.

ამ ხალხმა თავისი სახე აჩვენა და ამის შემდეგ როგორ შეიძლება კიდევ გამოვიდნენ და თავისუფალი სიტყვის დაცვაზე ილაპარაკონ „რუსთავი-2"-ში, გასაკვირია პირდაპირ.

„რუსთავი-2" არის ბოლო დასაყრდენი პირსისხლიანი, დამპალი ჯალათის მიხეილ სააკაშვილისა!



გურამ შარაძე ქუჩაში უმოწყალოდ მოკლეს. არადა, გურამ შარაძე მკვდარი ჯობია დღეს სააკაშვილის მთელ ცოცხალ სანათესაოს.

იმ პუტჩსაც, რომლითაც ზვიად გამსახურდია დაამხეს, ეს უნამუსოები ეძახდნენ დემოკრატიულ რევოლუციას. ესენიც დემოკრატიული გზით იბრძვიან ვითომ. გავფრთხილდეთ და ისტორიიდან რაღაც-რაღაცები ვისწავლოთ.

## სააკაშვილმაც მოინდომა აღმაშენებლობა და თქვა, ახალი ქართველი უნდა გამოვიყვანოო, შექმნა ახალი ქართველი და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილი




თქვენ იცით, რომ უამრავი ქართველი ბრგე ვაჟკაცი ჩამოხმა და მოკვდა იმის გამო, რომ ვერაფერი მოუხერხეს 90-იანი წლების პუტჩისტებს, რომლებიც დღემდე კარგად არიან, ძირგამომთხრელ საქმიანობასაც მშვენივრად აგრძელებენ და არხეინადაც სხედან პარლამენტში?

**— ვინ არიან ესენი?**

— მაგალითად, კოტე გაბაშვილი, მისი ვაჟი გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია და სხვები.

ესენი ავტომატებით შეიარაღებულები ებრძოდნენ კანონიერ ხელისუფლებას. ამათგან კარგს რას უნდა მოელოდეს ქვეყანა. დღემდე იმ განწყობით არიან. დღესაც გადატრიალებაზე ფიქრობენ, მაგრამ მე სხვა რამ მინდა გითხრათ. ედუარდ შევარდნაძე მე ქართველად მიმაჩნია. ის პარლამენტში თურმე ჯანსულ ჩარკვიანს ეშაირებოდა. ერთმანეთს ლექსებს უძღვნიდნენ. საქართველოში ლექსი სხვა რამეა და ამას მაშინვე მიხვდნენ უცხოელები. ლექსებით ელაპარაკება პარლამენტში ხალხს? ე. ი. რაღაცაშია საქმეო, იფიქრეს და მაშინვე გადაწყვიტეს მისი ბედი. მიუქსიეს ახალგაზრდა ნაძირალები. ედუარდს უთხრეს: ჩვენი ნაძირალა ხარ, მაგრამ ესენი უფრო მაგარი ნაძირლები იქნებიანო და მოიყვანეს მისივე მეთოდებით გამოზრდილი ლეკვები.

**— ბატონო გურამ, თქვენ ხელი მოაწერეთ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომის მოთხოვნას. რით დაიმსახურა პრეზიდენტმა თქვენი გულისწყრომა?**

— მარგველაშვილმა თქვა, ქართველი ერი გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით გამორჩეული ერიაო.

ჩვენ არ გვყავს, ბატონო პრეზიდენტო, ასეთი ნათესავები. თქვენ თუ გყავთ, ჩვენ რას გვერჩით?! თქვენ აგირჩიეს ქართველი ერის პრეზიდენტად. ე.ი. გონებრივად სუსტების და დებილების პრეზიდენტი ხართ?

მიშამ თქვა, ქართული ინტელიგენცია ჩარეცხილები არიანო. ეს დებილებს გვეძახის. რას გვერჩიან, ის არის ჩვენი დანაშაული ძველ დროში რომ დავიბადეთ? ერთი კარგი ჭიტლაყი მოუხდებათ ამათ.

კობა არაბული, ზაურ კალანდი, ვახტანგ ხარჩილავა და გულო კობიაშვილი არ არიან მწერლები და ინტელიგენტები? ან ირაკლი ვაშაყმაძე, არაჩვეულებრივი კაცი და კარგი პოეტი? საოცარი ამბავია, ღმერთმანი.

სააკაშვილმა, როგორც ჩანს, თავის ტელევიზიას „რუსთავი-2"-ს დავალება მისცა, რომ ქართველებს ჩაგვაგონონ, თითქოს ჩვენ ვართ ევროპელები. არავითარი ევროპელები ჩვენ არა ვართ და საერთოდაც, სად ვეტენებით იმ ევროპაში.

საქართველოში გვყავდა კაცი, რომელიც თითქმის ღმერთი იყო. ეს იყო დავით აღმაშენებელი. მატარებლის დიდ შემადგენლობას რომ უბიძგო, ამ კაცმა ისე „უბიძგა" საქართველოს და დღემდე იმ ინერციით მოვხოხიალობთ. პარლამენტში მე ერთხელ ვთქვი — წინ დავით ღმაშენებლისკენ-მეთქი.

**სააკაშვილმაც მოინდომა აღმაშენებლობა და თქვა, ახალი ქართველი უნდა გამოვიყვანოო, შექმნა ახალი ქართველი და გამოუვიდა ჩერგოლეიშვილი.**

ამათნაირ ტურებს მე კიდევ ბევრჯერ მოველანდები და ამ ქვეყნის დაქცევას არ დავანებებ!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ზურაბ ბიგვავა:

# ამ საუბრებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სააკაშვილი ამათთვის ისევ პრეზიდენტია, ისევ ამათი უფროსია

**გვესაუბრება ფსიქოლოგი, პროფესორი, ბატონი ზურაბ ბიგვავა**



**— ბატონო ზურაბ, ბოლო ორი კვირაა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გარშემო ატეხილ ხმაურს კიდევ უფრო საინტერესო (და, თავისთავად, სავალალო) გაგრძელება მოჰყვა — უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც მიხეილ სააკაშვილი „რუსთავი-2“-ის დირექტორს ნიკოლოზ გვარამიას და „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ მდივანს გიგა ბოკერიას, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურ დაპირისპირებაზეც კი მიუთითებს. რას იტყვით ამ ფაქტის შესახებ?**

— ამ ჩანაწერებიდან უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ „რუსთავი-2“ სრულად არის აფილირებული „ნაცმოძრაობასთან“, მიუხედავად იმისა, რომ **ნიკოლოზ გვარამია** ძალიან ცდილობს უარყოს არხის პარტიული კუთვნილება. მაგრამ როცა პარტიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი რეკავს და პირდაპირ მითითებებს გაძლევს, თავისუფალი მედია აღარ გამოდიხარ.

არ ღირს კამათი იმაზე, იმ დიალოგის დროს ეთანხმება თუ არ ეთანხმება გვარამია სააკაშვილს.

არსებობს ფსიქოლოგიური სინამდვილე და იურიდიული სინამდვილე.

ამ საუბრებიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ სააკაშვილი ამათთვის ისევ პრეზიდენტია, ისევ ამათი უფროსია და არა ახლო მეგობარი, როგორც გვარამიამ განაცხადა. ანუ გადაწყვეტილებებს ღებულობს ისევ ის სააკაშვილი, რომელიც ყველასთვის ცნობილია, ვინც არის და რაც არის. როგორც გამოჩნდა, ეს კაცი პირდაპირ არის ჩართული ტელეკომპანიის საქმიანობაში. მოკლედ, რა ფაქტთანაც გვაქვს საქმე, ცხადია. თუ ამის დანახვა არ სურს ვინმეს, ეს სხვა საკითხია.

მაგრამ რამდენად არის თვით „რუსთავი-2“ თავისუფალი სიტყვის ე. წ. კუნძული?!.

გასაგებია, რომ იქ მომუშავე ჟურნალისტები პროფესიონალები არიან, რომლებიც თავის დროზე იყვნენ წახალისებულნი, მოფერებულები, მაგრამ ეს „მოფერებული“ ჟურნალისტები შეიძლება იქამდეც მივიდნენ, რომ ბოლოს ცუდი საქმის მხარდამჭერნი აღმოჩნდნენ.

„ნაცრეჟიმის“ საშინელებანი ყველამ ხელახლა განვიცადეთ ბოლო დროს გახმაურებული კადრების ნახვის შემდეგ.

მართალია, წინა მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ, დაგვსაჯეთ, დამნაშავეები თუ ვართო, მაგრამ მათ მშვენივრად იციან, რომ ასეთი ტიპის საქმეების გამოძიება ხელაღებით არ ხდება და ამას წლები სჭირდება.

დღევანდელი ხელისუფლება ვერ იმოქმედებს იმ მეთოდებით, რასაც იყენებდნენ ნაციონალები ჩვენებების მისაღებად — იყო წამება, შეურაცხყოფა და რაც ყველაზე მთავარია, ადამიანის ფსიქოლოგიური განადგურება, მისი დათრგუნვა.

მომავალ წელს დაიწყება საარჩევნო წელიწადი და ყველა დაინახავს, რა გაუკეთებია „ქართულ ოცნებას“.

ხელისუფლება დღეს აგრესიულ პიარს არ ატარებს და ამითაც განსხვავდება იგი ყოფილი ხელისუფლებისგან.

**— პიარი, მეტნაკლებად, მაინც აუცილებლად მიმაჩნია.**

— გეთანხმებით, მაგრამ მე სხვა რამეზე ვსაუბრობ.

მალე გამოჩნდება, რომ რეალურად საქართველოში უამრავი გზა დაგებულა.

სატელევიზიო გამოსვლისას ბატონმა ბიძინამ ბრძანა, რომ 60 კი არა 139 საწარმო გახსნილა.

„ქართული ოცნების“ გაკეთებული საქმეები რომ გამოჩნდება, მერე რთული იქნება ობივატელისგან იმის მტკიცება, რომ ეს ხელისუფლება არაფერს აკეთებს.

ნაცხელისუფლებამ გზები დააგოო. ჯერ კიდევ გასარკვევია, რა თანხებით დააგეს გზები. საქართველოს ტერიტორიების ჩაბარების სანაცვლოდ აღებული ფულით ხომ არა?

საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლებს მოუსმინონ — ეს ადამიანი ნათლად და გასაგებად აცხადებს ქართული სახელმწიფოს მომავლის პერსპექტივებს საგარეო პოლიტიკური კურსის თვალსაზრისით. ის ამბობს, რომ ჩვენი გზა არის ნატოსკენ და ეს გახლავთ ერთადერთი გამოსავალი ჩვენთვის.

**— ბატონო ზურაბ, ენ-დი-აი-ს კვლევებზე რას იტყვით, სადაც „ნაცმოძრაობის“ რეიტინგული მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად არის გაზრდილი?**

— რა მოგახსენოთ, ენ-დი-აი-მ 13%-ზე მეტი მხარდამჭერი ვერ უპოვა „ნაცმოძრაობას“ და აცხადებს, თითქოს „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ რეიტინგები ხალხში თითქმის გათანაბრდა.

ეს არის ნონსენსი.

ამას გეუბნებით მე, ვინაც ასეთი ტიპის კვლევებს თვითონ ატარებს.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დავუშვათ, „ქართულ ოცნებას“ არავინ აღარ უჭერს მხარს. იმ 14%-ზე, რომელიც ენ-დი-აი-მ მიაკუთვნა „ქართულ ოცნებას“, ცოტა მეტი არის მხოლოდ სახელისუფლებო რესურსი და ამას გარდა მხარდამჭერი „ქართულ ოცნებას“ საქართველოში აღარ ჰყავს?!

ძალიან საეჭვოა ენ-დი-აი-ს მონაცემები.

მე არ ვარ ისეთი ადამიანი, ვინმეს რაიმე დავაბრალო, მაგრამ, შეიძლება, ეს მონაცემები იყოს შეცდომა, ან რამდენიმე კაცის არაკეთილსინდისიერი მაქინაცია.

ყველაფერი გამოჩნდება ძალიან მალე.

არჩევნები ახლოვდება და კიდევ ჩატარდება მიუკერძოებელი კვლევები.

მათი რეიტინგი აღარ გაიზრდება და მათთვის სამწუხაროდ, ეს იქნება მათი პოლიტიკური სიკვდილი. ეს არის ნაციონალების ბოლო ამოსუნთქვა და ამიტომაც კისრულობენ ყველაფერს.

ადვილი შესაძლებელია, არჩევნებში ბარიერიც კი ვერ გადალახონ.

თუმცა დღეს არ არის ისეთი სიტუაცია, რომ ვინმეს მათთან ან ვინმესთან ანგარიშსწორება ან კონფრონტაცია მოუნდეს.

აზრადაც არავის მოუვა ეს თავში.

შეიძლება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენს პრეზიდენტს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მოსალოდნელი იყო პოლიტიკური დესტაბილიზაცია ქვეყნის შიგნით და პრევენციის მიზნით გააკეთა ისეთი ტიპის განცხადება, როგორიც გააკეთა, მაგრამ დესტაბილიზაციის საფუძველი, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის საშიშროება დღეს სახეზე არაა.

„რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელობამ კი მოუწოდა ხალხს გამოსვლისკენ, მაგრამ, როგორც დავინახეთ, არ შეიკრიბა იმ რაოდენობის მომიტინგეები, რომლებიც, დავუშვათ, დესტაბილიზაციას გამოიწვევდნენ.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ჩვენი ხელისუფლება დღეს ძალიან გონივრულად იქცევა და დარწმუნებული ვარ, რაც უნდა მოხდეს, ძალისმიერი მეთოდები არ იქნება გამოყენებული. კიდევ ვიმეორებ, ეს ძალიან სურთ ნაციონალებს, მაგრამ არც იოცნებონ ამაზე.

**— საუბრის ჩანაწერით ცხადი ხდება, რომ ეს სურთ.**

— ეს კაცი, სააკაშვილი, ამბობს: მოიტანეთ რკინები, ააგეთ ბარიკადები, ჯანმაგარი ტიპები დააყენეთ დაცვად, „ბაევიკები“ მოიყვანეთო.

რა „ბაევიკები“, რის კუნთმაგარი ბიჭები...

მეომრები უნდათ ტელევიზიის წინ შეკრიბონ და იომონ?!

თუ ომი არ უნდათ, „ბოევიკები“ რაში სჭირდებათ?!

მე არ გახლავართ იურისტი, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის შეიარაღებული ძალით ხელისუფლების დამხობის მცდელობა.

**ირანდა კალანდაძე**
593 561 118



**„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფის მოსაზრებას, რომ დაიწყოს ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენ მარგველაშვილის დაუყოვნებლივ გადადგომასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოყვა.**

**„საერთო გაზეთს“ ამ თემაზე მწერალი მერაბ შათირიშვილი ესაუბრა.**



# მერაბ შათირიშვილი:

# თუ ამ სისტემის შემქმნელი „ნაცმოძრაობა“ არ გასამართლდა, „ქართული ოცნება“ ამას გადაჰყვება, რადგან იგი „ნაცმოძრაობასთან“ გაიგივდება

- მარგველაშვილის ხასიათი მისი გაპრეზიდენტებისთანავე გამოჩნდა, მან უარი განაცხადა, პრეზიდენტის ინაუგურაციას დასწრებოდნენ საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელები, ის ადამიანები, რომლების დახმარებითაც გახდა პრეზიდენტი. შემდეგ რაც მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება. სხვა რას ფიქრობს არ ვიცი, მაგრამ პირადად მე გავემიჯნე „ქართულ ოცნებას“, რადგან არ მომეწონა კოაბიტაცია, თუმცა მის მტრად არ ვქცეულვარ, ხალხთან ერთად ვცდილობ ამ გუნდის გაჯანსაღებას, ვერასოდეს მნახავთ „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგე გუნდში? მარგველაშვილს თუ რაიმე არ მოწონდა, შეეძლო გუნდის შიგნით ეკამათა ამ საკითხზე, გვერდით კი არ უნდა გამდგარიყო და ნაციონალების რუპორი გამხდარიყო. იგი ფაქტობრივად, ე.წ. ლიბერალური ფრთისა და ვაიოპოზიციური პარტიების მამამთავრად იქცა, „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს. როცა ადამიანს ერთგულება შეუძლია, ის სამშობლოს ერთგულიც იქნება. შეიძლება გარკვეულ პოლიტიკურ ნიუანსებში არ ვეთანხმებოდე ირაკლი ღარიბაშვილს, მაგრამ მისი ერთგულება თუნდაც ბიძინა ივანიშვილის მიმართ, მონობას კი არა, ქვეყნის ერთგულებას ნიშნავს. გიორგი მარგველაშვილი ერთგული არ აღმოჩნდა, რაც ქართველმა ხალხმა კარგად დაინახა, რომლისთვისაც ერთგულება ბევრს ნიშნავს. გიორგი მარგველაშვილი გონს თუ დროზე არ მოეგება, არ ჩამოვა ყალბად ფრთაშესხმული კვარცხლბეკიდა, პრეზიდენტობის შემდეგ მუდმივად მოუწევს ქართველ ხალხთან დაპირისპირებულ ბანაკში ყოფნა, ეს არის ორგული კაცის ბედი.

**- სააკაშვილი-გვარამია-ბოკერიას სატელეფონო საუბრების გახმაურების შემდეგაც. „ნაცმოძრაობა“ იხტიბარს არ იტეხს და აქეთ გვიტევს.**

**რა კომენტარს გააკეთებდით ამაზე?**

- ფაქტია, ნაცმოძრაობა ვეღარ მოვა ხელისუფლებაში, რადგან ამის რესურსი, ელექტორატის მხარდაჭერა არ გააჩნია, მაგრამ აქ მეორე უბედურებაა, რაც თან სდევს კოაბიტაციას, რომელსაც შეცდომად კი არა, დანაშაულად მივიჩნევ. სწორედ კოაბიტაციამ დაამხო ქართველი ხალხის მუხტი, ენდიაიც აცხადებს, რომ გამოკითხულთა 60%-ს არ აინტერესებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ნაციონალების მთავარ ოპოზიციურ პარტიად აღიარებამ გამოიწვია ეს მოსახლეობის ეს ნიჰილიზმი, ამან მისცა ნაცმოძრაობასა და ენდიაის კოზირი, რომ იმ 40%-ში, როგორც უნდათ ისე დააბალანსონ პოლიტიკური პარტიების რეიტინგები, ნაციონალებს 13% „გამოუწერეს“, ხოლო „ქართულ ოცნებას“ 12%. აი, ამის საშუალება მიეცა ენდიაისა და იმ ერთ პროექტში არსებულ ძალებს, რომლებიც ნაცმოძრაობისა და ასე ვთქვათ, აგრესიული დასავლეთის ბნელ გეგმებს ახორციელებს საქართველოში. ამიტომაა კოაბიტაცია დიდი შეცდომა. სამეგრელოში სამალავების აღმოჩენიდან მეორე დღესვე უნდა გასაჯაროებულიყო ის შემზარავი კადრები, მაინც ხომ არაფერი დაიმალებოდა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს ნახავს ქართველი ერი, რა საჭირო იყო ასე დოზირებით მიწოდება, რამაც შეიძლება სიგიჟის ზღვრამდე მიიყვანოს საზოგადოება. ამ საშინელების გამჟღავნება ეფექტურად უნდა მომხდარიყო, მსოფლიოს უნდა დაენახა რა სისტემა შექმნა ნაცმოძრაობამ, მარტო ის რვა კაცი კი არ უნდა დაესაჯათ, რომლებიც ადამიანებს აწამებდნენ და ღირსებას ულახავდნენ, ამ სისტემის შემქმნელები უნდა დასჯილიყვნენ უფრო მკაცრად, როგორც ფაშიზმის იდეოლოგები დასაჯეს ნიურნბერგის პროცესზე.

ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებშიც კი არ ხდებოდა ასეთი რამ. ამის შემხედვარე დარწმუნდები, რომ ერის ნაწილი ავადაა და თუ ეს მეტასტაზები არ მოიკვეთა, დავიღუპებით. ერთადერთი შანსი აქვს „ქართულ ოცნებას“, თუმცა არ ვიცი ამას როგორ შეძლებს, თვითონ ქართულმა საზოგადოებამ უნდა გამოვიღვიძოთ, განსაკუთრებით ნიჰილისტურად განწყობილ 60%-ს მოვუწოდებ, 2016 წლის არჩევნებზე ყველა უნდა მივიდეთ, რომ „ქართული ოცნება“ ჯანსაღი უმრავლესობით შევიდეს პარლამენტში. სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ნაცმოძრაობის პოლიტიკური სიცოცხლე, ქართველი ერისა და ეროვნული ღირებულებების დამარხვაა. ამ ჯანსაღმა უმრავლესობამ 2016 წელსვე უნდა დაიწყოს ამ მახინჯი სისტემის გასამართლება, თუ ამ სისტემის შემქმნელი ნაცმოძრაობა არ გასამართლდა, „ქართული ოცნება“ ამას გადაყვება, რადგან იგი ნაცმოძრაობასთან გაიგივდება. პრეზიდენტი ხარ თუ ჩვეულებრივი მოქალაქე, როცა ამ პოლუსებს შორის არჩევანს აკეთებ და იმ გუნდის წინაღმდეგ მიდიხარ, რომელმაც ხელისუფლების სათავეში მოგიყვანა, მითუმეტეს ნაცმოძრაობის მხარეს დგები, ვგულისხმობ გიორგი მარგველაშვილს, გამოდის სინდისის ნატამალი არ გაგაჩნია და რომელ პრეზიდენტობაზე გაქვს პრეტენზია.

**- ბატონო მერაბ, პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი თურმე სახელისუფლებო გადატრიალებისთვის მზად ყოფილა და ნაცმოძრაობის ყიჟინა, აქაოდა, სიტყვის თავისუფლებას ვიცავთო „რუსთავი-2“-ს სახით, მორიგი ფარსი აღმოჩნდა. რა უნდა გააკეთოს ამ დროს ხელისუფლებამ?**

- მე არაერთხელ მითქვამს და თქვენი გაზეთის ფურცლებიდანაც გავიმეორებ, რომ ქვეყანაში მზადდება გადატრიალება, რადგან ნაციონალური მოძრაობა რევანშისტული ძალაა. საქართველოში სანამ იარსებებს რევანშიზმი, არც ქართველ ერს დაეტყობა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და არც ქვეყანას ექნება წინსვლა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში. სწორედ დემოკრატიულობამ, იმ საშინელების არგანმეორებამ რისი შემოქმედიც ნაცმოძრაობა იყო, გამოიწვია ის, რომ ხალხი „ქართულ ოცნებას“ უნიათოდ თვლის. არადა ისტორიულად სწორი იყო ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის ქმედება. გადავხედოთ წინა ოცწლიან ბატალიებს, განიდევნა ეროვნული ხელისუფლება, რასაც მოყვა სამოქალაქო დაპირისპირება, ხოლო შემდგომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა. გავიხსენოთ როგორ აქციეს კეთროვნებად ზვიადისტები, იყო დევნა-შევიწროება, ქუჩაში სროლები და სისხლისღვრა, სამეგრელოს ტერორი. ედუარდ შევარდნაძე „მხედრიონისა“ და სხვა ბანდფორმირებების ხელშეწყობით მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა მერე „მშვიდობიანი“ და „ჰუმანური“ პრეზიდენტი გახდა, დაიჭირა „მხედრიონისა“ და გვარდიის ხელმძღვანელები და ვითარებაც მეტნაკლებად განიმუხტა. სააკაშვილი და მისი გუნდიც რევანშიზმით მოვიდა ხელისუფლებაში, როგორც მოექცნენ წინა ხელისუფლების „არათავისიან“ წარმომადგენლებს, ესეც ყველას კარგად მოეხსენება. ერთი სიტყვით, ყველა ახალმოსული, წინა მთავრობის წარმომადგენლებს ატერორებდა. სააკაშვილი უფრო შორს წავიდა, თავის გუნდიანად მოკლე ხანში მილიონერი გახდა, დაიწყეს ბიზნესის ტერორი, ქონების უკანონოდ წართმევა და საბოლოოდ „ყავარჯნიანთა დინასტიად“ ჩამოყალიბდნენ. წარმოიდგინეთ, „ქართულ ოცნებასაც“ ასეთივე შურისძიება რომ დაეწყო, ხომ მუდმივად ვივლიდით მოჯადოებულ წრეზე, ამ პირობებში ქვეყანას განვითარება არ უწერია. მე „ქართულ ოცნებას“ უბრალოდ იმას ვსაყვედურობ, რომ კანონიერ ფარგლებში უნდა ყოფილიყო მკაცრი, სამეგრელოში ნაპოვნი ფაილების განადგურებაზე კი არ უნდა ესაუბრა, მსოფლიოსთვის უნდა ეჩვენებინა და ნაცმოძრაობა გაესამართლებინა, დაესაჯა, როგორც ამ სისტემის შემქმნელი. ეს არის დემოკრატია, რომელსაც სრული დაცვის გარეშე ვერ შეინარჩუნებს. ამ ყბადაღებულმა კოაბიტაციამ ხელფეხი შეუკრა მთავრობას, ამას თვითონ თანამდებობის პირები მეუბნებიან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს,



რომ სახელისუფლებო შტოებში დასაქმებულთა დაახლოებით 40% ყოფილი ნაციონალია, მედროვე, რომლებიც საშიშნი არიან, რადგან არ არიან „ქართული ოცნების“ კონტიგენტის მენტალობის, აქ არ ვგულისხმობ ალიანსში შენავალ პარტიებს. ეს ყველაფერი დისონანსს იწვევს, იმიტომაც შეაქცია ზურგი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა პოლიტიკურ ცხოვრებას, რაც ქვეყნის ტრაგედიაა.

2012 წელს უდიდესი ძალისხმევით მოპოვებული გამარჯვება წყალში იყრება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ქართულმა საზოგადოებამ უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა, რადგან, როგორც ჩანს 2012 წელს ყველაფერი არ დამთავრებულა.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ელიზბარ ჯაველიძე: ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად დასტურდება, რომ შეთქმულებას აწყობდნენ, დაუძახეს პროკურატურაში, ყავა დაალევინეს და სახლში გაუშვეს... საქმეა ახლა ეს?!



გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე:**

**— ბატონო ელიზბარ, ქვეყანაში ვითარება დღითიდღე მწვავდება. უკრაინულმა „ვიკილიქსმა“ გვარამია-ბოკერია-სააკაშვილის ფარული სატელეფონო საუბარი გაასაჯაროვა. რა მოლოდინი გაქვთ?**

— ბოლო დროს, ქვეყანაში, ბევრი აღმაშფოთებელი და სკანდალური რამ ვიხილეთ. სხვათა შორის, შუა საუკუნეებში ასეთი მოსაზრება ბატონობდა: ადამიანს შეუძლია როგორც ანგელოზზე მაღლა ამაღლება, ასევე, ცხოველზე დაბლა დაშვებაც. ცხოველის მოქმედება ინსტიქტური, არაცნობიერია. დღევანდელი საზოგადოების აქტიური ნაწილი, რომელიც „რუსთავი2“-ს უყურებს და „ნაციონალების“ მომხრეა, ცხოველზე დაბლა დგას. ნაცებზე საუბარი საერთოდ, არ ღირს, ისინი მატლები არიან, რომლებიც ქართულ სულიერებას, ზნეობას დაეხვიენ, ამყრალებენ და ჯიჯგნიან. ბოლო დროს გავრცელებული კადრების ხილვის მერე, როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ამ რეჟიმის, სატანების გამართლებაზე იფიქროს, რომელთაც ასეთი რამ დაუშვეს — მამის, შვილის, მეუღლის წინ მამაკაცის გაუპატიურება, ბოლომდე ყურებასაც კი ვერ გავუძელი. არავინ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ იღებდნენ ამ კადრებს ეს ნაძირლები. საქმე იმაშია, რომ ამით მიხეილ სააკაშვილისთვის უნდა ესიამოვნებინათ. სააკაშვილს კალიგულას ვადარებ, რომელთა ქცევების უმეტესობა ერთმანეთს ერთი-ერთში ემთხვევა. კალიგულა მხდალი, მშიშარა იყო, ასეთივეა, სააკაშვილიც. გეტყვით, კიდევ რაში ვამსგავსებ ყველაზე მეტად: როცა ქვეყანაში საქონლის ხორცი ძვირდებოდა, კალიგულა თავის ნადირებს — ლომებს, ვეფხვებს დატყვევებულ ადამიანებს უგდებდა, მათ ცოცხლად აჭმევდა, რასაც თავად სიამოვნებით უყურებდა. ჩვენს რეალობაში გადაღებული გაუპატიურების კადრები კი განკუთვნილი იყო მიხეილ სააკაშვილისთვის, რათა ამ ნაძირალას, ლხენის დროს, წამების კადრების ყურებით ნეტარება განეცადა, ნეტარება იმისა, რომ იგი უძლეველი იმპერატორი იყო. ყოველივეს შემდგომ აქტიური გამოსვლები იმის შესახებ, თითქოს, „რუსთავი2“ თავისუფალი სიტყვის სიმბოლოა, ქართველი ერისთვის შეურაცხმყოფელია. „რუსთავი2“-მა უამრავი ბოროტება ჩაიდინა, ქართული საზოგადოება ზნეობრივად, სულიერად ათგზის გარყვნა, გააჩაღა რევოლუციები, რის შედეგადაც დანგრეული საქართველო მივიღეთ. ამ ტელე-არხს არცერთი დადაებითი ნაბიჯი არც ზნეობის არც პოლიტიკის, ხელოვნებისა თუ ეროვნულობის საკითხში, არ გადაუდგამს. იგი ურჩხული-მანქანაა, რომელიც ყოველგვარ ეროვნულს ანადგურებს, იმ სისტმის ერთი ძლიერი ნაწილია, რომელიც დღესაც სულიერებისა და ერის განადგურებაზე მუშაობს. დღეს, ამ ტელევიზიის საშუალებით არენაზე გამოდიან უწიგნურები, უვიცები და სხვის წიგნიერებაზე მსჯელობენ, უზნეონი, რომელთაც მამაკაცის გაუპატიურება ნორმალურად მიაჩნიათ და სიამოვნებთ, ვერც იმაში ხედავენ რაიმე პრობლემას, რომ მათ მიერ მხარდაჭერილი ხალხი, ახალგაზრდა, უდანაშაულო ბიჭებს ქუჩაში ხოცავდა, სანდრო გირგვლიანი გაიტაცეს და წამებით, დანით მოკლეს, 300 ათასამდე ქართველი მართლმსაჯულების ფილტრში გაატარეს და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. რეჟიმი, მთლიანად, რომლის თავკაცი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ, ერის განადგურებისკენ იყო მიმართული. მისი ტახტის ძლიერება სწორედ, ქართული ცნობიერების, ტრადიციების, ზნეობის შერყვნაზე იდგა, რაც მეტს დაანგრევდა, მით უფრო ძლიერდებოდა. ასეთი კაცი, თავისუფლების სიმბოლოდ აღიარებულმა ქვეყანამ, დემოკრატიის შუქურად შერაცხა, რაც თავის მოჭრა, კაცობრიობის მასხრად აგდება, ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხებაა. ახალი ხელისუფლების დანაშაულია ის, რომ ამ ნაძირლებს, ვიგინდარებს, დღემდე არ გაუსწორდა, ისინი ხომ დედის მუცლიდან ნაშობნი კი არა, არამედ სატანის მოდელზე მორგებული არსებანი არიან, რომელთაც სული არ აქვთ. „ნაციონალური მოძრაობა“, თავის თავკაციანად, სატანური ძალაა, რომელიც თავის დამბადებელს — სამშობლოს სპობს, ისე როგორც მათი მწერლების ნაწილი — სქესობრივ ლტოლვას საკუთარი დედის მიმართ განიცდიან, საიდანაც წარმოიშვნენ! მავანი, ამ ხალხის მიმართ თანადგომას გამოხატავს, რაც ჩემთვის, ყოვლად გაუგებარია. ესაა ხალხი, რომელთათვისაც მხოლოდ პარტიული საქმიანობის აკრძალვა არ კმარა. თითქოს, უკიდურესი მოთხოვნა რაც გვაქვს ისაა, რომ „ნაცმოძრაობა“ ავკრძალოთ. არა ბატონებო, პარტია კი არა, მათ, საერთოდ, საქართველოში ყოფნა უნდა აეკრძალოთ. რაღაც კუნძული უნდა გამოინახოს და, კეთროვანების მსგავსად, იქ უნდა დაასახლო, რათა იქვე ჩაძაღლდნენ. დიახ, ჩაძაღლდნენ! ქართველი ხალხისგან ნაშოვნი მილიარდებიდან, მანეთ-მანეთი უნდა გადაუხადო, რათა ნელ-ნელა შიმშილით დაიხოცნონ. აი, ასეთი მდგომარეობაა დღეს. „ნაციონალები“ ეს ხვლიკები, არჩევნების შემდეგ სოროებში იყვნენ შემძვრალნი, მაგრამ კოაბიტაციამ, რომელიც ჩვენმა „დიდმა მეგობარმა“ ამერიკამ თავს მოგვახვია, ისინი გააცოცხლა, არენაზე გამოიყვანა და დღეს, ისე ცეკვავენ, ჭაბუკიანი გეგონებათ. ძალიან მანცვიფრებს ხელისუფლების პოზიცია. ასეთი ფაქტების დადების შემდეგ, როდესაც თავად აცხადებენ რომ ეს სატელეფონო საუბარი ავთენტური, ნამდვილია, ხელისუფლების პოზიციის ნამდვილად გამკვირვებია. რატომ ალაპარაკებენ მათ ამდენს? რა უფლება აქვს გვარამიას რომ ამბობს მეორედ მოსვლას მოგიწყობთო, ერთი ღერი თმაც რომ ჩამოსძვრეს ჩემს რომელიმე თანამშრომელს, ხელისუფლების ბრალი იქნებაო. ამას როგორ ითმენენ?! გვარამია არის ნაძირალა, მშიშარა, მხდალი. ვინც მომიგზავნეს ჩემი მეგობარიაო, ამბობს. მას ვეუბენბი: შენი მეგობრის დედაც და შენი დედაც... იცით, რაზე ვარ გაბრაზებული? — ბოკერია რომ გვეუბნება, თავისუფალ სიტყვას ვიცავო. რომელ თავისუფალ სიტყვაზე მელაპარაკება? სწორედ, გიგა ბოკერიას ბრძანებით შევარდნენ „იმედში“. თუ გნებავთ, ნინო ბურჯანაძეს ჰკითხეთ, ბოკერიას მიერ გაიცა ბრძანება, რათა „იმედში“ შევარდნილიყვნენ. ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ურტყამდნენ ჟურნალისტებს პანღურებს, წიხლებს. დღეს, ამ ჟურნალისტების პოზიციას რომ ვისმენ, ვფიქრობ, მართლა პანღურის ღირსები იყვნენ. ეს ჟურნალისტთა კორპუსი სულაც არ ფიქრობს რა სჯობს სამშობლოსთვის, სახელმწიფოსთვის. მოვისმინეთ, როგორ ელაპარაკებოდა გვარამია მიხეილ სააკაშვილს ფულზე, როდესაც თვეში 100 ათასი დოლარი აქვს? მას მივმართავ — შე გათახსირებულო, სად მიგაქვს ეს ფული. ბოლო ორ თვეში დაახლოებით, 50 ათასი დოლარი აქვს აღებული. სად მიაქვს ამ გათახსირებულს, რით ვერ გაძღა მისი მუცელი? უბრალოდ, ამ ხელისუფლების მიკვირს — დამნაშავეებს დაიბარებენ, დაკითხავენ და უშვებენ. ასევე, დაიბარეს გვარამია, ბოკერია, დაკითხეს და გამოუშვეს. ისინი დამნაშავენი არიან, რომ დაიბარებ და დაკითხავ, აღარ უნდა გამოუშვა. ესენი კიდევ, დაიბარებენ, მგონი, იქ, ყავასაც ალევინებენ და მერე უკან უშვებენ და ქუჩებში ამაყად დადიან. პირადი მაგალითიდან გეტყვით: ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, დღეს პარლამენტის წევრი, აკადემიკოსი კიღურაძე მაშინ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, რომელმაც „21-ე საუკუნე - კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების“ არჩევნები გააყალბა. პირადად, ამ არჩევნებში ვიღებდი მონაწილეობას. სხვათა შორის, დაგვირეკეს და მოგვილოცეს არჩევნებში 14%-ის აღება, მერე, შევარდნაძე ისრაელიდან ჩამობრძანდა და დღევანდელ აკადემიკოსს, პარლამენტის გამგეობის თავმჯდომარეს ვანო კიღურაძეს გაყალბებისკენ მიუთითა. ვანომაც ასწია თამასა და ჩვენ გარეთ დავრჩით. მერე, აკადემიაში მოდიოდა და ტრაბახობდა — აბა, ახლა, ზვიადისტებს შევიყვანდი პარლამენტშიო?! კიღურაძე, ეს აბსოლუტურად ანტიეროვნული კაცი, დღეს, ეროვნულობაზე დებს თავს, ხან ვის მიუხტება და ხან ვის, აკადემიას ებრძვის, ინტრიგანია. ყოველივეს მერე, ჟურნალისტებთან კონფერენციაზე ვთქვი: მართალია, გარეთ დაგვტოვეს, მაგრამ თუ ოპოზიცია გავერთიანდებით და კონსტიტუციური მეთოდებით ბრძოლას დავიწყებთ, ამ ხელისუფლებას შევცვლით-მეთქი. ერთმა ჟურნალისტმა, რომელიც დღეს პარლამეტარია, დაწერა: ელიზბარ ჯაველიძემ ხალხს დამხობისაკენ მოუწოდაო. მეორე დღეს, შევარდნაძე შეშფოთდა, დამხობისკენ მიმართული მოწოდებები კეთდებაო, მთელ სოლოლაკს ალყა შემოარტყეს, დამაპატიმრეს, შემდეგ გადასცეს — ობიექტი აყვანილია და ალყა მოხსენითო. ირაკლი ბათიაშვილს რაც უქნეს, იცით — ტელეფონზე ემზარ კვიციანს ესაუბრებოდა, ისე მოიქეცით, ხალხი არ დაშავდესო და დააპატიმრეს. ინტელექტუალური დახმარების გამო, ლამის, უვადო პატიმრობა მიუსაჯეს. ცხონებულმა გურამ შარაძემ, რომელმაც საჯარო ბიბლიოთეკაში იმ პიროვნების სურათი ჩამოხია, რომელიც ახალგაზრდობას რყვნიდა, ორი კვირით დააპატიმრეს. ამ ნაძირლებს მიიყვანენ, დაკითხავენ და უშვებენ. ეს რას ნიშნავს? ბოკერია დაკითხვიდან ამაყად გამოვიდა და კიდევ ტუტუცურად ლაპარაკობდა. მე, როგორც ერთი მოქალაქე ელიზბარ ჯაველიძე პირდაპირ ვაცხადებ: სადაც გვარამია — ბლანჟიანი პიდარასტი შემხვდება, თმის ღერს არა, მაგრამ ყბას ჩამოვუღებ, წავიდეს მერე და ხელისუფლებას დააბრალოს. ქართველი ხალხი იმ დონემდე არ მიგვიყვანონ, რომ ბოკერია და მისი ცხრა ღობეზე გადამხტარი ქალბატონი რომლებიც ერს წამლავენ, სახლებიდან გამოვათრიოთ და ადგილზევე დედა ვუტიროთ. სჯობს, ხელისუფლებამ ხალხი ამ დონემდე არ მიიყვანოს. ამიტომ, პირადად მოვითხოვ, ესენი უნდა დაისაჯონ. ამ სატელეფონო მოსმენის მერე, მათი პატიება არ შეიძლება, ეს პირდაპირი მითითებაა, რომ რევოლუცია უნდა მოხდეს. ეს ყველაფერი მართული, მაედნისკენ მიმართული იყო. ამას სააკაშვილი თავისი ბნელი ჭკუით ვერ მოხარშავდა, მას ვილაცები კარნახობენ.

**— ბატონო ელიზბარ, ერთადერთი ადამიანი ხელისუფლებიდან ვინც ღიად საუბრობს, რომ „ნაციონალებთან“ — ამ ბანდასთან საუბარი არ შეიძლება, პრემიერი ღარიბაშვილია, თუმცა, ამის გამო, მას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ.**

— ღარიბაშვილი ახალგაზრდა კაცია, შეიძლება, რაღაც შეეშალოს, მაგრამ რატომაა მთელი „ნაცები“ და ე.წ. ოპოზიცია მასზე გადამტერებული?! ის ვინც „რუსთავი2“-ის „თავისუფალ სიტყვას“ იცავს, სირცხვილია, ოპოზიციად იწოდებოდეს. იმიტომ აიფოფრნენ, რომ ღარიბაშვილი ქართული გენის პოზიციებს იცავს, იგი ამბობს: მიუღებელია ერთსქესიანი ქორწინება, ასევე, ნაცებთან ნორმალური საუბარი — ესაა ბანდა, რომელსაც დანაშაული არ უნდა ეპატიოს. ღარიბაშვილმა თავის პოზიციით ქართველი ერის, ხალხის ინტერესები გამოხატა, ამიტომაც გაღიზიანდნენ პოსტ-მოდერნისტული ლიბერალები თუ ლიბერასტები. მის წინააღმდეგაა შემართული მარგველაშვილიც, ალასანია, ნაცები. ეს ერთი ჯგუფია, მათი აზროვნება ერთ ქვაბშია მოხარშული. ეს გახლავთ „თავისუფლების ინსტიტუტში“ მოხარშული თავისუფალი აზროვნება. ვითომ, თავისუფლებისათვის იბრძვიან და რაღაც, საშინელებას ქადაგებენ.

**— ბატონო ელიზბარ, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფის ღია წერილი გამოქვეყნდა: „გიორგი მარგველაშვილი — „სააკაშვილი-2“, რომელიც „ნაციონალი თალიბების“**

8 gv.








იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## როპერტ სტურუა ამერიკის ელჩს: რას ერჩით ჩემ პატარა ქვეყანას? ვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ თუ როგორ მოვიქცეთ?

რეჟისორი რობერტ სტურუა საქართველოში ამერიკის ელჩს, იან კელის მიმართავს:



ძალიან მიყვარს თქვენი ქვეყანა და დემოკრატიის პრინციპები, რომელიც ამერიკის პატრიარქებმა ჩამოაყალიბეს ფრანგი გამნათლებლების ნაშრომებზე დაყრდნობით; მაგრამ მინდა შეგეკითხოთ და, იმედია, პასუხსაც მომახსენებთ, (თუ სერიალი **The House of Cards** მთლად სიმართლე არ არის): რას ერჩით ჩემ პატარა ქვეყანას? რა სიმდიდრე აღმოაჩინეთ ჩვენ მიწაზე — ნავთობი თუ ოქრო, ასე რომ ზრუნავთ ქართველებზე? დღეს, როცა ყველაფერს უსმენენ, ხედავენ, ისე რომ ტუალეტში შესვლა გრცხვენია, ქალის კოცნაზე ხომ არაფერს ვამბობ, პანიკური შიში მიპყრობს — კოსმოსიდან გვიცქერენ — რატომ იცავთ იმ ავა-



ზაკთა ბანდას, საქართველო რომ გაანადგურა, მოსპო დემოკრატია, გახრწნა და ფულებით გაბერა ვიღაც-ვიღაცა ჩინოვნიკები; რატომ ურეკავთ, არიგებთ და ასე საეჭვოდ ეხმარებით ავადმყოფს, ვისაც ნამდვილი ამერიკელი ხელსაც არ ჩამოართმევდა (მითუმეტეს, რომ **CIA**-მ ყველაფერი იცის?)

იქნებ ამიხსნათ, რა ბოროტება დაატყდა ჩვენ პატარა ერს, რომ ხალხის სურვილს არ ითვალისწინებთ, და გვიკრძალავთ საკუთარ აზრს და გვკარნახობთ თუ როგორ მოვიქცეთ? თუ რაღაც დიდი სტრატეგიული საიდუმლო არ გახლავთ, ბატონო ელჩო, თუ ამის უფლება გაქვთ, დიპლომატიურად მაინც მიპასუხეთ. ამერიკის პატრიოტი,

რ. სტურუა!

**P.S.**

თუ ინებებთ, პრეზიდენტებზე ცალკე ვისაუბროთ!



## ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად დასტურდება, რომ შეთქმულებას აწყობდნენ, დაუძახეს პროკურატურაში, ყავა დაალევინეს და სახლში გაუშვეს... საქმეა ახლა ეს?!

7 gv.

**მხარეზე დადგა, საქართველოს პრეზიდენტობიდან უნდა გადადგეს!“ თქვენ, პირველი იყავით, ვინც ამბობდა, რომ მარგველაშვილის გაპრეზიდენტება არ შეიძლებოდა. რას ეფუძნებოდა თქვენი მოსაზრება?**

— მოგახსენებთ. მარგველაშვილმა მშვენივრად იცოდა, რომ ივანიშვილის გარეშე მისი ავტორიტეტი საცერში შემორჩენილ ქატოს ჰგავდა. მან თავისი მოღვაწეობის პრინციპი კიდევაც შეადარა პლასტელინს, რითაც თქვა, რომ საკუთარი ხედვა და პოზიცია არ გააჩნია, უპრინციპო მოღვაწეა და „პლასტელინივით მოერგება“ დღევანდელ ყოფას, ნებისმიერ პოლიტიკურ წყობას და პლატფორმას. ამაზე მაშინვე ვთქვი, რომ მარგველაშვილს „ვაზელინად“ გადაქცევამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რამ ჩამოძიყალიბა მის შესახებ წარმოდგენა: ჟურნალში „დრო მშვიდობისა“ მის ერთ მცირე წერილს მივაგენი სათაურით „ნი-ჩურტა, მე ქართველი ვარ“. ეს უნიჭოდ და უხეშად გამოჩორკნილი სათაური იმთავითვე მიგვანიშნებს ავტორის ცინიკურ და გამქილავ თვალთახედვაზე. იგი, სარკაზმის ნიღაბს ამოფარებული, ცდილობს აგვიხსნას ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური ავადმყოფობის მიზეზები. მისი წერილის მუზა ვყოფილვართ ჩვენ — ქართველები, XIX საუკუნის ერი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილები — გრუზინები და Georgian National–ები,რანნი, კახნი, ჭანნი და სხვა. მისი სარკაზმი ამ ჩამონათვალშივე იჩენს თავს. მოკლედ გეტყვით, როგორ ახასიათებს ამ წერილში მარგველაშვილი და რა დიაგნოზს უსვამს ქართველ ერს: — გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით; მისი ფსიქიკური განვითარება შეჩერდა გარკვეულ ეტაპზე და ვერ მიაღწია ზრდასრულ ფორმამდე. მას აქვს ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება; ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზეა დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, როდესაც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება. ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ, ის „პამპულაობას“ თამაშობს; ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს. ჩვენ ბავშვები ვართ, დავრჩით ბავშვებად და ბავშვების გარემოში ვტრიალებთ.შესაბამისად, ჩვენი ხელოვნებაც იმიტაციის დონეზეა. მაინც მთავარი მიზეზი ჩვენი გონებრივი სისუსტისა ყოფილა ლოთი მამა (რუსეთის იმპერიის სახით) და გადაჭარბებულად მზრუნველი ქართველი დედა, რომლის წყალობით მივიღეთ კაცი ბავშვის ფსიქიკით, ზრდასრული ადამიანის ძირითადი თვისებები — პასუხიმგებლობა და სოციალური აზროვნება რომ არ გააჩნია. მოკლედ, მარგველაშვილის აზრით, ქართველი ერი ისეა დაავადებული, რომ მისი განკურნება ყოვლად შეუძლებელია. აი, ასეთი თავზარდამცემი დიაგნოზი აქვს დასმული მარგველაშვილს ქართველი ერისთვის. მინდა გითხრათ, რომ განუკურნებელი სენით, რომელსაც ქართველ ერს მიაწერს, თავადაა შეპყრობილი. აქვე, მისი ავადმყოფობის ჩემს დიაგნოზსაც გაგიმხელთ: — ჭაობში გაზრდილი ლერწამივით აწოწილი, ტანსრული, ახოვანი, მაგრამ გონებრივად სუსტი, მსუბუქი დებილობის ფორმით; მისი ფსიქიკური განვითარება და აზროვნება შეჩერდა გარკვეულ, ადრეულ ეტაპზე, მაგრამ სამწუხაროდ, საკუთარ თავზე ზეალმატებული წარმოდგენა აქვს და ყოვლისმცოდნე ფსიქოლოგ-ფილოსოფოსად მიიჩნევს თავს. ამის მიზეზი, თუ მის მსჯელობას გავითვალისწინებთ, არის ბავშვის ზრდის მძიმე და რთული პროცესი, რომელიც ჰორმონების რეგულაციით მიმდინარეობს და ხდება მისი სქესობრივი თუ პიროვნული ჩამოყალიბება: თუ იგი ირღვევა, მძიმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ჭაბუკობის ასაკში რომ იჩენს თავს. ახლა, ძნელი დასადგენია როგორ მიმდინარეობდა მარგველაშვილის „სეკვესტრაციის“ პროცესი, მაგრამ ერთი უდავოა, მთლად ნორმალურად არ წარიმართებოდა, რასაც, მისი თუნდაც ფეთქებადი ხასიათი გვაფიქრებინებს. როგორც ამბობენ, იგი წამიერად კარგავს კონტროლს და თავადაც არ უწყის სტრესულ მდგომარეობაში რას იქმს. მაგრამ თუ მისას ვირწმუნებთ, იგი უკიდურესი სტრესის დროს, ჩანთიდან გორგალს, საქსოვ ჩხირებს იღებს და ქსოვას იწყებს. სააკაშვილმა დაძაბულ სიტუაციაში მიწაზე იფორთხიალა, მერე, ჰალსტუხის ჭამა დაიწყო. ამ საქციელმა განსაკუთრებით „დააფრთხო“ რუსი ჯარისკაცები. მარგველაშვილი თუ დაძაბულ ვითარებაში გორგალს ამოიღებს და ქსოვას დაიწყებს, ჩვენი მტრები ისე „დაფრთხებიან“, უკან მოუხედავად გაქუსლავენ. აქვე, „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან მინდა მარგველაშვილს ვკითხო — ბატონო გიორგი, მარგინალური ფსიქოლოგიის მკვლევარო, თავად მარგინალო, რატომ გახდით ამ დაავადებული, გონებასუსტი, ნახევრად დებილი, განუკურნებელი სენით შეპყრობილი, „მარგინალი“ ერის პრეზიდენტი?! ეს ხომ თქვენივე დასმული დიაგნოზია და განა ისეთი რა ჯადოქარი აქიმი ბრძანდებით, რომ შეგიძლიათ დაქცეული ქვეყანა და დაავადებული ერი ფეხზე წამოაყენოთ?! თქვენ, ეს არ შეგიძლით, ამიტომ გვერდზე გადექით და გიჯობთ, წინდების ქსოვას მიჰყოთ ხელი. ასე უფრო უპრიანი იქნება ქვეყნისთვისაც და ქართველი ერისთვისაც! ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი! თუ რამე მეშლება, არ გეწყინოთ, მომიტევეთ, ნი-ჩურტა, მეც ქართველი ვარ!



სამწუხაროდ, ივანიშვილს მისი სჯეროდა, ამბობდა, მარგველაშვილს თუ არ აირჩევთ, საქართველოდან წავალო. სწორედ, მაშინ დავწერე წერილი, თუ რას წარმოადგენდა ამჟამინდელი პრეზიდენტი, მაგრამ როგორც ჩანს, ეს ბატონ ბიძინას არ წააკითხეს. მარგველაშვილი „თავისუფლების ინსტიტუტში“ გაზრდილი კაცია, რომელიც ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი აზროვნებით იკვებება. როგორ შეიძლება ამ კაცზე ლაპარაკი. პირველი ლედი კიდევ მარიხუანას ეწევა. ახლა, პირველი კაცი გახდა იმიტომ, რომ „ნაციონალებს“ ვითომ, ე.წ. ოპოზიციას მიუდგა. სადაა ოპოზიცია? ნათელაშვილს არ რცხვენია ვითომ ერის კაცად რომ მოაქვს თავი. დიდხანს, პატივს ვცემდი. ახლა, რას აკეთებს? მითხრეს, რომ ყველა განცხადებაზე დიდ თანხას იღებსო. ესაა პოლიტიკა, სამშობლოს სიყვარული? ვინ მისცემს მაგას ხმას? იმ კაცს ვცემ პატივს, ვისაც პარლამენტში შესვლა კი არ უნდა, არამედ ვისაც სამშობლო ეყვარება. აქვე, მამუკა კაციტაძეზეც მინდა ვთქვა, რომელსაც ძალიან მდიდარი კომკავშირული წარსული აქვს, დღეს „მემარჯვენეებშია“ და მარგველაშვილს თავგამოდებით იცავს, რამეთუ იმედი აქვს, რომ მარგველაშვილი პარტიას შექმნის და მისი ძალით, პარლამენტში მოხვდება. ვაი, მაგის პატრონს. მამუკა კაციტაძეს ურჩევნია წესიერად დაითვალოს რამდენი ამომრჩეველია საქართველოში, დიდი თანხა რომ წაიღო და საერთოდ სია არ შეუცვლია, ამაზე აგოს პასუხი და დიდი ორატორივით მარგველაშვილზე მერე ილაპარაკოს. რაც მარგველაშვილია ეგეც ისაა.

აქვე, მინდა ბატონ ბიძინას მივმართო — პატივს ვცემ მის დიდებით ქველმოქმედებით საქმიანობას, რაც გააკეთა ამის არდაფასება შეუძლებელია, მაგრამ დაანებოს იმ ძალას თავი, რომელიც იგივე მსოფლმხედველობრივი სისტემისაა, როგორისაც ნაცებია, ვგულისხმობ, „რესპუბლიკელებს“. „რესპუბლიკელები“ საქართველოს სიკეთეს არასოდეს მოუტანენ. გადახედოს მათ განცხადებებს, ბიოგრაფიას, როგორ დაფუძნენ, როგორ უშვებდნენ ერთმანეთს, კა-გე-ბესთან როგორ იყვნენ შეკრული. წარსული თუ არ გავითვალისწინეთ, აწმყოს როგორ შევაფასებთ. დღეს, ყველა ნაძირალა ტელევიზიით გამოდის, არცერთ ღირსეულ ერის შვილს ეკრანს არ აკარებენ. ე.ი. რა ვქნათ? — საქართველო ამ პოსტ-ლიბერალიზმს გადავაყოლოთ?

**— მარგველაშვილზე საკმაოდ ამომწურავად ისაუბრეთ, მაგრამ მაინც გვითხარით, მწერალთა და ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რამეს ხომ არ დაამატებდით?**

— ქართველი მწერლების დიდი ნაწილი ვისაც სამშობლო უყვარს, ე.წ. საბაისტების თუ პიდარასტების გარდა, ვერ წარმომიდგენია, მარგველაშვილს უჭერდეს მხარს. საინიციატივო ჯგუფის „კრიტიკოსებმა“ რადგან ქართულ მიწაზე დადიან, კეთილი ინებონ და ქართულად იაზროვნონ, თორემ უცხო ქვეყნებში დაბეჭდილი არც მოთხრობა და არც ლექსი არ უშველით, ქართველი ხალხი მათ ხეზე ჩამოკიდებს, აი ასე გაფარჩხულად. ეგენი ჩემთვის მწერლები არ არიან, ნამდვილ მწერლებს კოჭის ძირამდეც ვერ მიწვდებიან. გოგიბედაშვილი და მისი მსგავსნი იცით როგორ არიან? — ნიაღვარს ნაფოტები რომ მოჰყვება, ეს ნაფოტები სადღაც შემორჩება და მერე სულ გაქრება. ვის დაჰკარგვიან, საიდან მოვიდნენ, რას ქმნიან, რას ჩორკნიან, ნერვები მეშლება მათზე საუბრისას.

ბოლოს, დასკვის სახით მინდა ვთქვა: ჩემი პოზიცია ასეთია — დღეს ზომიერება, გონიერება, მაგრამ პრინციპულობაც გვმართებს. არ უნდა დავუშვათ, რომ ვიღაც ნაძირლები ბოგინობდნენ. გურამ შარაძე, ბათიაშვილი და თუნდაც, თქვენი მონა-მორჩილი, ამათ არც შევედრებით, მაგრამ ციხეში წამაჭიკჭიკეს და მერე, იძულებული გავხდი უცხოეთში გავქცეულიყავი. ესენი ვინ აგდიან — ქვეყანა, სამშობლო უყვართ, რამე სასიკეთო ნაბიჯი გადაუდგამთ, წიგნი დაუწერიათ, რამე შეუქმნიათ თუ რა ხდება? ბოდიში მომითხოვია, მაგრამ არ შეიძლება ბოზობისა და პიდარასტობის გამო ადამიანს აწინაურებდნენ. დღეს ასეა. საზოგადოება გაყოფილია — ერთია ჯანსაღი ნაწილი და მეორე — პიდარასტები. დღეს, პიდარასტების ზეიმია და ეს უნდა მოვსპოთ. მსაყვედურობენ, სიძულვილის ენით საუბრობსო, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ — ვინც არ არის კახაბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

**თამარ შველიძე**

555 23 28 24



## პეტრე მამრაძე:

# ყარამანიშვილები „რუსთავი-2“-ის ცრუმაგიერი პირები არიან და არა მესაკუთრეები

**ვესაუბრებით „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს ბატონ პეტრე მამრაძეს.**

**— ბატონო პეტრე, რას იტყვით სააკაშვილის პოლიტიკური გააქტიურების შესახებ, შეიცავს თუ არა მისი მოწოდებები დანაშაულის ნიშნებს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც არც ბოკერია და არც გვარამია არ უარყოფენ იმას, რომ ისინი ხშირად ღებულობდნენ მისგან რჩევებს, როგორც ადრე ისე ახლაც, რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ეს ყოველივე?**

— ცხადია, ეს ჩანაწერები ბევრმა მოქალაქემ მოისმინა, სადაც ჩანს ერთი მნიშვნელოვანი რამ, კერძოდ ის, რომ გვარამია პირდაპირ არას არ ეუბნება, ხომ შეეძლო ეთქვა, რომ მიშა, მე ამას ვერ გავაკეთებ, ეს ხომ კანონის დაუმორჩილებლობაა? მე შევახსენებ ყველას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას, როცა ის ძალაში შედის. უკვე კანონის ფუნქცია აქვს. ამას გვარამია არ ამბობს. მე მჯერა, რომ მას არ უნდოდა შეესრულებინა ყოველივე ის, რასაც მიშა ავალებდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ კარგი ადამიანია, არამედ იმიტომ, რომ ამჯერად ის ამასა ვერ განახორციელებდა.

სააკაშვილი იბრძვის „რუსთავი-2„-ისთვის იმიტომ, რომ ის მისი ფაქტიური მფლობელია და არა ძმები ყარამანაშვილები, რომლებიც მისი მეგობრები არიან ძველი დროიდან, როცა მიშა კიევში სწავლობდა. ყარამანიშვილები ახლაც უკრაინაში ცხოვრობენ, და **ამ ტელეკომპანიის ცრუმაგიერი პირები არიან და არა მესაკუთრეები**. ფაქტობრივად, ჩანაწერებიდან ჩანს, რომ ბოკერიასაც და გვარამიასაც სააკაშვილი პროვოკაციისკენ მოუწოდებს. ეს მეთოდი საქართველოში საკმაოდ აპრობირებული მეთოდია, სამწუხაროდ. ხალხის აქციებისაკენ მოწოდება მიშასაგან პირველი ხომ არის, ამ სამი წლის განმავლობაში, ის ხშირად რეკავს „ნაცების“ ოფისში და პროვოკაციებისაკენ მოუწოდებს, ეს უკანასკნელნი კი ჯერჯერობით ამას ვერ აკეთებენ იმიტომ, რომ არც ამის ფინანსური შესაძლებლობა არა აქვთ და არც ხალხის გამოყვანის უნარი. ერთი ორჯერ ხომ სცადეს, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ. გვარამია ვერ უდასტურებს მას იმ „შეკვეთის“ შესრულებას, რომელსაც მიშა ავალებს იმიტომ, რომ კარგად იცის, რომ ეს ყველაფერი დღეს უკვე აღარ გამოუვა და თუ მაინც შეეცდება, გაბითურდება. იმდენად, რამდენადაც ყოფილი პრეზიდენტი „რუსთავი-2“-ის მფლობველია, იძლევა დავალებებს, მაგრამ ის განუხორციელებელია.

ბოკერიას პოზიცია ამ საუბრის შემდეგ საინტერესოა იმით, რომ ის ჯიუტად იმეორებს იმას, რომ დიახ, ის ესაუბრება ჩანაწერში მიშას და ის მართალია. **იმაზე მეტი ცინიზმი არ არსებობს, რომ ეს ტელევიზია დამოუკიდებელია ნაციონალებისაგან. საერთოდ, როცა დასავლეთში ამბობენ, რომ რომელიმე მედია საშუალება დამოუკიდებელია, იგულისხმება მისი დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან — დღეს ამ შემთხვევაში ეს ტელევიზია ასეა, დამოუკიდებელია დღევამდელი ხელისუფლებისაგან და არ ყოფილი მთავრობისაგან**. ვის დავალებებსაც ის ცხრა წლის განმავლობაში ასრულებდა.

სამწუხაროა, რომ ევროპას არ აინტერესებს ის, რომ ეს ტელევიზია დღემდე დარჩა სააკაშვილის ნარჩენების რუპორად.

**— ტელევიზიის მფლობელი ყარამანაშვილები რატომ ხმას არ იღებენ?**

— იმიტომ, რომ ეს არის მათთვის დიდი თავის ტკივილი, ჩანს, რომ სააკაშვილის ხათრითაც კი არ დაიწყეს პირადი ბრძოლა.

**— ციხის კადრების გამოქვეყნების შემდეგ, კიდევ ერთხელ გაიშიფრა ის არასამთავრობოების ნაწილი თუ ცალკე პიროვნებები, რომელნიც ძველ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს, ისინი აპროტესტებენ ამ ფაქტების გამოაშკარავებას, თუმცა, არ მოითხოვენ შემსრულებელთა დასჯას, რაც ძირითადი მოსახლეობის აზრია...**

— 2012 წლის არჩევნების შემდეგ, ნაციონალებმა, რომელთაც ჰქონდათ მაშინ სერიოზული ფინანსური რესურსი, შექმნეს მათი მხარდამჭერი და ერთგული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელნიც ახლა მათი ერთგული მხარდამჭერები არიან და დღედაღამე დადიოდნენ სასამართლოზე ტელევიზიის დასაცავად. როდესაც ნივთმტკიცება, ანუ ეს კასეტები გაანადგურეს, მაშინ არავის უფიქრია ის, რომ ეს კადრები ერთჯერადი არ იყო და მას შეიძლება მრავალი ასლი ჰქონოდა, ამიტომ იმის თქმა, რომ ხელისუფლებამ ის დღეს ვინმეს გადასცა, აბსოლუტური სისულელეა, მათ ეს არ სჭირდებოდათ. გარდა ამისა, ეს კასეტები დაცვის მხარესაც ხომ გადასცეს? ის ხომ არ განადგურებულა? დაადგენს ვინმე, სად არის ისინი დღეს? ცხადია, არა! ან ვინმე გაარკვევს იმას, რომ მილიარდერი კალამპოსკი ამას ვერ შეიძენდა. ნებისმიერი პირისაგან, ვისაც მისი ასლი ჰქონდა? რა თქმა უნდა, შეეძლო. ამაზრზენია ფაქტი, რომ ზოგიერთი თუნდაც ხელისუფლების წარმომადგენელი ამბობდა იმას, თუ რატომ გავრცელდა ეს კადრები და არა იმას, თუ ვინ ჩაიდინა ეს სისასტიკე! ამ ფაქტს რატომ უარყოფენ? ერთსაც შეგახსენებთ, რომ გერმანიაში მთავრობისა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავდა პროგრამა, სადაც სკოლის მოსწავლეებიც კი დაჰყავთ კრემატორიუმებში და აჩვენებენ იმას, რაც არასოდეს არ უნდა განმეორდეს, ეს კანონშია ჩადებული და ზუსტად არის რეგლამენტირებული. აჩვენებენ ხალხს იმიტომ, რომ ის არასოდეს აღარ განმეორდეს.

**— სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო, იქ მერის არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, რამდენად შესაძლებელია დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში მისი ექსტრადირება?**

— ასეთ შემთხვევაში ექსტრადირება უკვე შეუძლებელია, ჩაკეტილ წრეში აღმოჩნდა, უკრაინის ხელისუფლება მას საქართველოს არ გადმოსცემს, არც რომელიმე სხვა ქვეყანა, იმიტომ, რომ ის უკვე უკრაინის მოქალაქეა. რაც შეეხება ჩანაწერების გამოქვეყნებას, ბოკერიასაც და გვარამიასაც უფრო აწყობთ ეს სიტუაცია, იმიტომ, რომ მომავალში ისინი ასეთ დავალებებს ველარ მიიღებენ.

**— ვფიქრობ, ამ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიებაც ჩიხში მოექცა, როგორც არ უნდა დაუმტკიცონ სააკაშვილს დანაშაული, ვერ დაიჭერენ, მაშინ რა აზრი აქვს ამ გამოძიებას?**

— გამოძიებას აზრი ყოველთვის აქვს, უბრალოდ, ამ საქმეში დროში დაიწვნენ, საქმე უნდა გამოეძიათ, ვიდრე მიშა აქ იყო, ეს იყო პერიოდი 2012 ოქტომბრიდან 2013 წლის ოქტომბრამდე, პროკურატურას რომ მაშინ დღე და ღამე ემუშავა, ეს საქმე გახსნილი იქნებოდა.

დღეს, სააკაშვილს მხოლოდ პოლიტიკური იმიჯი დაუზარალდა კადრების ჩვენებითა თუ ჩანაწერების გამოქვეყნებით და მეტი არაფერი. ვერ ვიტყვი, რომ ადრე უკეთესი იმიჯი ჰქონდა, რადგან 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მერე ის ევროპელებისათვის იყო თავის ტკივილი და ბუასილი — როგორც მას უწოდებდნენ და მხოლოდ თავისი ლობისტების საშუალებით აღწევდა მიზანს, რომელთაც დიდ თანხებს უხდიდა. ეს ადამიანები ახლაც არიან, კვლავაც ლობირებენ მილიონების ფასად. მათი მიზანი კი იყო ის, რომ სააკაშვილი გამოსულიყო პუტინის წინააღმდეგ. მათი უმეტესობა ორმაგი სტანდარტებით თამაშობს.

**— ახალი ხელისუფლების არჩევიდან მეოთხე წელი დაიწყო, ეკონომიკური მდგომარეობა კვლავ მძიმეა, წინა ხელისუფლების მარწუხებისგან ხალხი გათავისუფლდა, მაგრამ თუ ეკონომიკურადაც არ გამოსწორდა მდგომარეობა ქვეყანაში, ეს კვლავ პრობლემებს შექმნის ხელისუფლებისათვის...**

— სამწუხაროდ, დღეს მოსახლეობის დიდი ნაწილის განწყობა „ქართული ოცნების„ მიმართ ცხადია შეიცვალა, მაგრამ ეს ორი რამით იყო განპირობებული. პირველი არის ის, რომ მოლოდინი იყო გადაჭარბებული, ხალხი მეტს ელოდა, რადგან იყო ასევე დანაპირები. მეორე არის ის, რომ ხვალ რომ არჩევნები იყოს, ფიქრობთ, რომ ნაციონალებს მისცემს ვინმე ხმას? ცხადია, არა, ხალხი კვლავ „ქართული ოცნებას“ დაუჭერს მხარს, თუნდაც იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა არ არის. ასევე ვიტყვი, სახიფათოა ისიც, რომ „ოცნების“ ზოგიერთი წარმომადგენლები არ აღიარებენ რეალობას. სად არის ის 90 ათასი სამუშაო ადგილი, რომელიც შეიქმნა? რატომ რეალურად არ ასაბუთებენ ფაქტებს?



თუ ხელისუფლებას ეს ციფრები აქვს, ეგებ დეტალიზაცია მოახდინოს?

**დღეს ჩვენ ქვეყანაში განვითარდა პატრონ-კლიენტური სისტემა,** პარლამენტარები თუ მინისტრები თვლიან, რომ **მათი პატრონი არის ბიძინა ივანიშვილი და მასზე არიან დამოკიდებულნი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს უდიდესი ქველმოქმედი პიროვნება დღეს არავისაც არ მართავს, არც ქვეყნის საქმეებში არ ერევა**. და მოლოდინი იმისა, რეომ მან უთხრას რამე და მერე გააკეთებენ თანამდებობის პირები რაიმეს, ცრუ მოლოდინია.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# როდის უნდა გაირკვეს, ვისი პაციენტები არიან „ნაციონალები“ – ლუკა ოდილავაძის თუ ნოშრევან კუჭუხიძის?

მიხეილ სააკაშვილი თავის ოფიციალურ „ფეისბუქ-გვერდზე“ აქვეყნებს, რომ უკრაინულ ვებგვერდ uareviw.in.ua-ს მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერების ავტორი პუტინის სპეცსამსახურებია. ანუ რას ამბობს სააკაშვილი? – აღიარებს, რომ ყველა ის საუბარი, რომელიც გამოქვეყნდა, მისი და კეზერაშვილის; მისი და ადეიშვილის და ა.შ უკრაინელების ჩათვლით, სრული სიმართლეაო. ისიც კი, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრზე ილაპარაკეს და მის მეუღლეზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეზე; საქართველოს პრეზიდენტზე...

ის დროა, ვინც კი ნახსენები ჰყავს მიხეილ სააკაშვილს საუნაში თუ სატელეფონო საუბრებში თანამოაზრედ თუ თანამზრახველად; ასევე, პარლამენტარებსა და ცალკეულ პირებს, რომლებიც სამართლებრივი სივრციდან გასვლას აანონსებდნენ; მათ მხარდამჭერებს კანონის საწინააღმდეგო ქმედებებში (თუ ასე ჩათვლიდნენ სწორად) ყველას ერთად შევახსენოთ და მათთან ერთად პროკურატურასაც რომ არსებობს

მუხლი 315. შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (27.04. 2007 №4698)

1. შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-იდან 8 წლამდე.

2. ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 7-იდან 15 წლამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 15-იდან 20 წლამდე.

საქართველოს პროკურატურა, გესმით?! თანამდებობრივად პატარა კაცი არ არის მიხეილ სააკაშვილი, ადამიანი, რომელიც საქვეყნოდ გამოდებულ აღიარებით ჩვენებას წერილობით გჩრით ხელში და ასახელებს თანამზრახველებს და თქვენ, მართლა, ყურებიდან ხომ არ ახველებთ?

ქართული მხატვრული ფილმი „შერეკილები“ გაგახსენდება კაცს – არ არის გამორიცხული ცოტა ხანში პროკურატურასა (ლუკა ოდილავაძე) და ფსიქიატრებს (ნოშრევან კუჭუხიძე) შორის დავა ატყდეს ბაჯაღლო მასალა მიხეილ სააკაშვილზე...

ბიჯო, ვიღაცა ხარ! პუტინს და ივანიშვილს კი არა, თუგინდ ბუჟუმბურელ მეჯღანეს მოესმინა, თქვენ ის თქვით, სახელმწიფო გადატრიალებას რომ აპირებდით სისხლიანი სცენარით, როგორ იყო! შვილიანი ქალი რომ უნდა შეგეწირათ მსხვერპლად – როგორ იყო; თავ-პირის დალეწვები რომ უნდა აგეტეხათ – როგორ იყო; თვით გვარამიაც რომ უნდა მიგეგვარამიებინათ – როგორ იყო...

სააკაშვილის ჭკუის ამბავი საქართველოზე უკეთ გაღმა იციან, მაგრამ ნეტავ, ის როდისღა გამოაშკარავდება მსოფლიო დონეზე, რატომ იცავენ და ეფერებიან ასე განსაკუთრებულად სააკაშვილს, რატომ ინახავენ?...

„ეს არის ღალატი იმ ღირებულებების რისთვისაც ჩვენ მოვედით 2012 წელს ერთად ხელისუფლებაში, ეს უნდა დაგვემთავრებინა“, – საქმეში ჩაეჩარა ირაკლი ალასანიაც და დიდი წუხილი გამოთქვა რომ პოლიტიკური პოლიცია კვლავ აგრძელებს პოლიტიკური ნიშნით სანქციების გარეშე მათი პოლიტიკური აქტივობების შესწავლას და მოსმენას, თუმცა იქვე სააკაშვილიც დატუქსა და „მიაჩმორა“, რა ბარიკადებზე ლაპარაკობს, 2008-ში თავის ჯიპს ასწრებდა, ისე გამოიქცა ბრძოლის ველიდანო (თვითონ ხომ მეწინავე რაზმს საქართველოს დროშით მიუძღოდა).



რა აბდაუბდა ილაპარაკა ალასანიამ, თვითონაც ვერ გაიგებს, ალბათ, 2009 წლიდან ვერ გარკვეულა და ასე უცბად რა გაარკვევს, მაგრამ ხმის ამოღება და რაღაცის ბჟუტური ულირდა მხოლოდ იმიტომ მაინც, რომ მთავრობის მეთაური, ირაკლი ღარიბაშვილი ეხსენებინა როგორც უპასუხისმგებლო და აგდებულად მომქცევი, რომელმაც შესაძლოა შარში გახვიოს ქვეყანა და „თავისუფალმა დედმოკრატებმა“ გადაწყვიტეს უჩივლონ ირაკლი ღარიბაშვილს ქართველი ხალხის შეურაცხყოფის გამო. (ნინო გოგუაძემ ავისმომასწავებლად დატკეპნა, იურისტებთან კონსულტაციებს ვიწყებთ, პრემიერის განცხადებებზე თუ იქნება სამართლებრივი საფუძველი სარჩელის შეტანისა, როგორც შუღლის გაღვივებისა და ქართველი ხალხის შეურაცხყოფისთვის, ვუჩივლებთო. ნეტავ, უჩივლეს?)

საქმეში სოციალური ქსელიც ჩაერთო – ლელა წურწუმიასი არ იყოს, ჩემი კახა მამულაშვილი კი არ დააკავეს ნარკოტიკებზე, ვიღაც სხვაო, კახა მამულაშვილების მეტი რა არისო – ვარიანტი შემოაგდეს, მართლა სააკაშვილი, ბოკერია და გვარამია კი არ არიან, პაროდისტების მონაწილეობით შესრულებული ეს იაფფასიანი ჩანაწერები დაბალი დონის ბრბოზეა გათვლილიო. თვით ეს ჩანაწერი კი, ალბათ, იმ „პრადვინუტებზე“ იყო გათვლილი, რომლებიც ასე საოცრად მომრავლდნენ, აბსოლუტური უმეცრები...

„ბარიკადებს, რევოლუციას ვერ ვხედავთ. რომც ყოფილიყო ეს მიხეილ სააკაშვილის გეგმა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და ტელეკომპანიის მენეჯმენტი მას არ დაეთანხმა, რადგან მსგავსს ვერაფერს ვხედავთ „რუსთავი-2-ის“ ეზოში“, – დაარეხვა მედიამკვლევარად წოდებულმა ნინო დანელიამ.

„არ არის საინტერესო ამ პროცესებში უკრაინის სახელმწიფო მოხელის პოზიცია და ის არ უნდა ერეოდეს მიმდინარე პროცესებში. ამ ჩანაწერებმა ნიკა გვარამიას მიმართ ხელისუფლების მუქარა და შანტაჟი დაადასტურა,“ – განაცხადა „რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელმა ელენე ხოშტარიამ.

რა უნდა ელაპარაკო ახლა ამ ყურფიჩორა ქალებს, ვერ გაუგიათ მარჯვნიდან აქანებთ თუ მარცხნიდან...

ვიღაც-ვიღაცებისთვის ცხვირპირი უნდა დაენაყათ, ბავშვიანი ქალი უნდა მოეკლათ, ტყვია უნდა გავარდნილიყო, გვარამია უნდა მიეგვარამიებინათ და მაინც არაფერი, კაცო?!

ჩვენში დარჩეს და, როგორც ჩანს, „ნაცბანდის“ ნაწილი დარწმუნებული და მომხრე იყო „რუსთავი-2-ის“ საშუალებით კიდევ ერთი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში და აუშვეს აფრები – პარლამენტის დეპუტატებმაც ბლომად აცხვეს ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები პირდაპირი ეთერით. წიკლაური, გაბაშვილი, მინაშვილი... (მიუკერძოებელო ჟურნალისტებო, აბა, რამდენნი ხართ, დაიჯესტი სასწრაფოდ!)



„თუ ერთი კაცი დარჩა დაუსჯელი, ეს „ვირუსი“ ისევ გავრცელდება“ – თქვა პაატა ბურჭულაძემ და ყური არავინ შეიბერტყა, ჰოდა, იჩინა თავი „ვირუსმა“.

„მართლაც რომ უუნაროა მთავრობა, როდესაც საუბრობს სამართლიანობის აღდგენაზე და ვერც ერთი საქმე ვერ მიიყვანა ბოლომდე“ – წუხდა „ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილ ფრინველად“ სახელდებული „ნაცი“ გიორგი ვაშაძე. (პარლამენტის სხდომა 2014 წლის 6 თებერვალი)

„– აი, თქვენს პროკურატურაში 8 ათასზე მეტი განცხადება რომ არის შემოსული, აი, მაგ განცხადებებში წერია იმ „ნაციონალებისდროინდელი“ პროკურორების კონკრეტული სახელები და გვარები, ვინც ბიზნესს და მოსახლეობას ატერორებდა...

– მერე?

– მერე რა და, გვერდით კი ნუ იყენებთ და კი ნუ მიიტმასნით, დაიჭირეთ!!!“ – გეზს აძლევდა სამართლიანობის აღდგენის დაგვიანებით ასევე აღშფოთებულ-შეწუხებული „ნაცი“ მიხეილ მაჭავარიანი ე.წ „ქართულ ოცნებას“ – ვიქტორ დოლიძეს. (TV-3 „დიდი პოლიტიკა“. 2013 წლის 20 დეკემბერი)

„თუ ვინმეს ამ ქვეყანაში უნდა სახელმწიფო ხელისუფლების გადატრიალება და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, ის უნდა დაისაჯოს აუცილებლად ყოველთვის, ამ მთავრობის თუ სხვა მთავრობის დროს, რადგან ხელისუფლება ქვეყანაში, ეს არის ხალხის მიერ არჩეული ძალა და ხელისუფლების დამხობა არის ხალხის ნების წინააღმდეგ სვლა. ოღონდ, საკუთრივ ხელისუფლებასაც უნდა ახსოვდეს, რომ ის პასუხისმგებელია ხალხის წინაშე და ხალხის წინააღმდეგ სვლა მისთვისაც არის დანაშაული,“ – აგერ ორიოდე დღის წინ დასჭექა თვით გვარამიამ.

მეტი და სხვანაირად რაღა თქვან ამ მამალმა „ნაცებმა“? ის, რომ ერთ გუნდად შეკრული „ნაცები“ შიგნიდან ირღვეოდნენ, ხმად გამოსული იყო, მაგრამ ისედაც ხომ ცხადია, გონიერი კაცი არავის ჩაჰყვება არანაირ საფლავში საკუთარი ნებით, ამდენად, საინტერესოა, ცალკეული თანამდებობის პირები თუ უბრალოდ საჯარო მოხელეები, რატომ მიჰყვებიან?

მართალია, წინა დღეებში ხან ხალხს მოუწოდებდა, მოდით, დაიცავით „რუსთავი-2“ ანუ მართალი სიტყვაო, ხან სხვა მსხვილ (სად ნახა) ოპოზიციურ პარტიებს, მინიმუმ ათ-ათჯერ გთხოვთ, ნუ დაგვტოვებთ „ნაციონალების“ ამარა, დადექით ჩვენ გვერდზეო, მაგრამ გავროშობა რომ ჩაეშალათ, ჩვენ აღარ მოგიწოდებთ მოსვლისკენო – თითქოს მიმსვლელების ჭყლეტვა იყო...

კაცმა რომ თქვას, უტვინო კაცი არ არის გვარამია, მაგრამ „ცნობილი რეჟისორია“; აუდიოჩანაწერში ეტყობოდა რომ არ იზიარებდა „ბელადის“ ენთუზიაზმს, მაგრამ რომ დასცლოდა, შემსრულებელი იყო... საინტერესოა, ადამიანები რატომ მიდიან ნეტავ ბოროტების სამსახურში?

ერთი რამ ვიკითხოთ, რა გახდა ასეთი „რუსთავი-2“, რატომ ატეხეს ასეთი ამბავი ამ ტელევიზიის გამო უკვე მეორედ? როგორც გაირკვა, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც პრეზიდენტთან იმყოფებოდა შეხვედრაზე, ადასტურებდნენ, რომ „რუსთავი-2-თან“ დაკავშირებული საკითხი არაფერი იყო გარდა იმისა, რომ მიმდინარეობდა წართმეული ქონების უკან დაბრუნების პროცესი, აბა, რა ქვემდინარებებია საძიებელი? ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი, რომ საფრთხე სიტყვის თავისუფლების დაკარგვაში კი არ იმალება, არამედ დანაშაულში, რომელიც წლების მანძილზე (რაც ტელეკომპანია სააკაშვილის საკუთრებად იქცა) მეორდებოდა და აუცილებლად გამოჩნდება ახალი მეპატრონის შესვლის შემთხვევაში, როდესაც ჩატარდება აუდიტი. ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ხომ სწორედ იმაზე ატეხეს განგაში, რომ საბუთები არ უნდა შემოწმებულიყო და გაუვიდათ კიდეც, მას შემდეგ კი კიდევ რამდენი წელი გავიდა, ანუ რა ამბავში იქნება დოკუმენტაცია, ვინაა მისი გამსწორებელ-გამთეთრებელი...

კაცმა რომ თქვას, ახალი, ფაქტობრივად, არაფერია. ყველამ იცოდა რომ „რუსთავი-2“ სააკაშვილის, ანუ სააკაშვილის „ნაცმოძრაობისაა“ (ვიტყვით სააკაშვილს, იგულისხმება „ნაცმოძრაობა“); ყველამ იცოდა, რომ სააკაშვილი თავის თანამზრახველებს ელაპარაკებოდა; ყველამ იცოდა, რომ სააკაშვილი დიდი ხანია დესტაბილიზაციას ეშურებოდა და რაღაცებს გეგმავდა; ყველამ იცოდა, რომ საკუთარი ძალაუფლების დაბრუნების გამო ნებისმიერ მსხვერპლზე წავიდოდა; ყველამ იცოდა, რომ მისთვის გვამები არაფერია და ა.შ ნებისმიერ ასპექტში, ყველამ ყველაფერი იცოდა...

ამ ფონზე, საინტერესოა, სად არიან ის მართლაცდა „იდიოტი უცხოელები“ (როგორც სააკაშვილი მოიხსნიებს), რატომ არ შფოთავენ და ჰკროწავენ თავისებურ ბრტყელ-ბრტყელს?

**გიორგი ჩხეიძე**

# ანი დარსალია:
# სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე მომუშავე ნაციონალები შიდა არეულობებისთვის ემზადებიან



**„საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გაერთიანებული საზოგადოების“ ხელმძღვანელი ანი დარსალია ესაუბრა**

— უკრაინულ მედიაში გავრცელდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს ჩადენილი სასტიკი დანაშაულების ამსახველი ვიდეოკადრები და ეს ფაქტი რატომღაც „რუსთავი 2“ მიმართულებით უჩვეულოდ გააქტიურებული პრეზიდენტის ყურადღების მიღმა დარჩა. სწორედ ეს გახდა მარგველაშვილის რეზიდენციასთან ჩვენი და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საპროტესტო აქციის გამართვის მიზეზი. ჩვენ ვითხოვდით, რომ გიორგი მარგველაშვილს, რომელიც „რუსთავი-2“ და ნაციონალური მოძრაობის აქტიურ დამცველად მოგვევლინა, ყოფილი ხელისუფლების დროს ადამიანთა სასტიკი წამების ფაქტებზე საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა. ქვეყანას, რომელიც ევროპულ ღირებულებებზე აქვს პრეტენზია, ამ კადრებმა მთელ მსოფლიოში მოჭრა თავი და ამ დროს ნაციონალების „გათეთრებით“ დაკავებული პრეზიდენტი მომხდარზე კომენტარს არ აკეთებდა. საბედნიეროდ, ჩვენმა ხმამ ადრესატამდე მიაღწია. აქციის მეორე დღეს, გიორგი მარგველაშვილმა გააკეთა განცხადება,



რომ გავრცელებულ კადრებს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა შესაბამისი რეაგირება და საზგადოებას ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი უნდა მიეღო.

**— თქვენ თუ მიიღეთ გიორგი მარგველაშვილის განცხადების მერე ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი?**

— ჩვენ დადებითად ვაფასებთ მარგველაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებას, სადაც მან თქვა, რომ უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი არ უნდა ერეოდეს საქართველოს შიდა საქმეებში. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და ნაციონალური მოძრაობის „მამიდობას“ ხალხის გვერდით დგომა ამჯობინა.

გიორგი მარგველაშვილი მიხვდა, რომ ნაციონალური მოძრაობისგან თავი შორს უნდა დაეჭირა და მისი განცხადებები ადექვატური გახდა. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენ სამწუხაროდ, შევცდით პრეზიდენტის არჩევაში. გიორგი მარგველაშვილი, რომელსაც არასოდეს დაუმალავს გიგა ბოკერიასთან და სხვა ნაციონალებთან მეგობრული კავშირები, კრიტიკულ მომენტში მათ „მაშველ რგოლად“ მოგვევლინა. რაც შეეხება მარგველაშვილის ბოლოდროინდელ განცხადებებს, ვფიქრობ, პრეზიდენტი უბრალოდ, იძულებული გახდა დაეფიქსირებინა სწორი პოზიცია, ვინაიდან, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები კარსაა მომდგარი და საზოგადოება ყველაფერს გამადიდებელი ლუპით აკვირდება. მერწმუნეთ, თუ ხელისუფლება მოსახლეობისთვის ავანსად გაცემული დაპირებების თუნდაც 30% არ შეასრულებს, საქმე ძალიან ცუდად წავა.

**— ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განაცხადა და მას უფლებადამცველი ირაკლი კაკაბაძეც დაეთანხმა, რომ მოსამართლე ურთმელიძის მისამართით გაკეთებული განცხადებით მარგველაშვილმა მოვლენების იმგვარი სცენარით განვითარება შეაჩერა, როგორზეც „ვიკილიქსის“ ფარულ ჩანაწერებში იყო საუბარი..**

— არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა სამწუხაროდ, გია ხუხაშვილის ბევრ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. თუ პრეტენზია გვაქვს, რომ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ პრეზიდენტის ეს განცხადება არადემოკრატიული იყო და საზოგადოებამ აღიქვა, როგორც სასამართლოზე ზეწოლა. სასამართლოს საქმიანობაში ჩარევა კონსტიტუციით აკრძალულია და მოსამართლისთვის მითითებების კეთების უფლება არავის აქვს. რაც შეეხება იმას, რომ პრეზიდენტის განცხადებამ მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარებას ხელი შეუშალა, არა მგონია, ვახტანგ გომელაურის სამსახური ისე მუშაობდეს, რომ ქვეყნის უსაფრთხოება მხოლოდ მარგველაშვილის განცხადებებზე იყოს დამოკიდებული. სამწუხაროდ, მარგველაშვილი პოზიციებს და შეხედულებებს ძალიან ხშირად და სწრაფად იცვლის, ამიტომ მიმაჩნია, რომ უცხო ქვეყნის მაღალჩინოსნის საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის შესახებ გაკეთებული მისი განცხადება პირველი ადექვატური შეფასება იყო, რაც კი მსმენია.

**— რამდენიმე დღის წინ გავრცელდა თქვენი განცხადება, სადაც ამბობთ, რომ „თავისუფალი ზონის“ წევრები რუსთავი 2 შენობაში გამაგრებისა და არეულობების მოწყობისთვის ემზადებოდნენ.. ამ ინფორმაციას რით ადასტურებთ?**

— ეს ინფორმაცია ისევ ნაციონალური მოძრაობისა და „თავისუფალი ზონის“ წევრებისგან მივიღეთ. ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა სტრატეგიული გეგმა, რომ ეს დაზომბირებული ახალგაზრდები, „რუსთავი 2“ შენობაში გაემაგრებინათ. სასამართლოს მიერ მათთვის არასასურველი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ისინი მზად იყვნენ, აღსრულების პროცესისთვის მაქსიმალური წინააღმდეგობა გაეწიათ და არეულობის მოსაწყობად, ერთმანეთის სისხლიც კი დაეღვარათ. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ ჩანაწერებში „ერთი დედის“ სისხლზეცაა საუბარი.. მოკლედ, პროვოკაციებს მოაწყობდნენ და მერე მთელ მსოფლიოს ამცნობდნენ, რომ ხელისუფლებამ სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლა განახორციელა, და ხალხის სისხლი დაღვარა. მიხეილ სააკაშვილის დაგეგმილი რევოლუციაც ამით უნდა დაწყებულიყო. ეს იყო მაგათი სცენარი, მაგრამ „კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“. ფაქტობრივად, გვარამიას ახალი განცხადება, რომ მხარდამჭერებს დასაცავად აღარ უხმობენ, აღიარებაა. ბატონმა ნიკამ მშვენივრად იცის, რომ მათი მზაკვრული გეგმის გამომზეურების შემდეგ, მათ დასაცავად იმ ხალხის მეათედიც აღარ დადგება, რაც აქამდე იდგა.

**— დარწმუნებული ხარ, რომ ნაციონალური მოძრაობის მხრიდან პროვოკაციების საფრთხე აღარ არსებობს?**

— სამწუხაროდ, ასეთი საფრთხე იმ დღიდან არსებობს, რაც ხელისუფლებამ თქვა, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან




კოჰაბიტაციაშია. ამ განცხადებით ხელისუფლებამ ნებით თუ უნებლიედ ხელ-ფეხი გაიხსნა იმ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელიც 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. მიმაჩნია, რომ სანამ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია არ აიკრძალება, მანამდე მუდმივად საფრთხის შემცველი იქნება საზოგადოებითვის. სამწუხაროდ, ამის თქმის საფუძველს ჩვენამდე მოსული ბევრი ინფორმაცია მაძლევს.

**— იქნებ დაგვიკონკრეტო, რა სახის ინფორმაციას გულისხმობ..**

— ჩვენი გუნდი აკვირდება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში მაღალ თანამდებობებზე მომუშავე ნაციონალებს და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეს ადამიანები შიდა არეულობების მოწყობისთვის ემზადებიან. სამწუხაროდ, ნაციონალურ მოძრაობას ამის ბერკეტიც გააჩნია და რესურსებიც. ჩემი ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროში დასაქმებული ნინო შუბლაძის მუშაობაში, რომელიც ნიკა გვარამიას ახლო მეგობარი გახლავთ, აშკარა საბოტაჟის ნიშნები იკვეთება. დავით სერგეენკო ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მინისტრად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ ნინო შუბლაძის სამინისტროში მიყვანა მისი ყველაზე დიდი შეცდომაა. სამწუხაროდ, პროკურატურაში დღემდე თანამდებობებზე რჩებიან უმძიმეს საქმეებში ეჭვმიტანილი ადამიანები და ასეა თითქმის ყველა სტრუქტურაში. თუ ხელისუფლება არ გამოფხიზლდა და „საბოტაჟნიკების“ წინააღმდეგ ადექვატური ზომები არ მიიღო, ადრე თუ გვიან, ნაციონალური მოძრაობა აამოქმედებს თავის „ნაღმებს“ და მერე ყველაფერი გვიან იქნება.

**— როგორ ფიქრობ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაწყებულ გამოძიებას მოჰყვება თუ არა ნაციონალური მოძრაობის წევრების დაპატიმრება?**

— როგორც იურისტი, ყველანაირ სამართლებრივ საფუძველს ვხედავ, რომ ნიკა გვარამიას და გიგა ბოკერიას დაკავება მოხდეს. ყველა ადამიანს ისე უნდა მოექცე, როგორც კანონი, სამართალი, მორალი და შენი საზოგადოება გიკარნახებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

# ლევან კენჭაძე:

# ხუთი წელი ვიჯექი ციხეში — სააკაშვილმა არ მაპატია, ერთ-ერთი მოსამართლის ქორწილიდან არაკაცური საქციელის გამო რომ გავაგდე

**„მე პირადად მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დამაკავეს და ხუთი წელი ციხეში გამატარებინეს. ვთვლი, რომ უკანონოდ მოხდა ჩემი დაპატიმრება, რაც ფაქტებითაც დასტურდება. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, არაერთხელ მივმართე მთავრობას და პროკურატურას, რომ შეესწავლათ ჩემი საქმე, შესწავლას ვინ ჩივის, ისიც კი არ ვიცი საერთოდ თუ კითხულობენ ჩემს განცხადებებს, დღემდე პასუხი არ უღირსებიათ“, განგვიცხადა პოლიციისა და უშიშროების სამინისტროს ყოფილმა მაღალჩინოსანმა, გენერალმა ლევან კენჭაძემ.**



**- ბატონო ლევან, როდის და რატომ დაგიჭირეს, რა ბრალდებით მოგისაჯეს ხუთი წელი?**

- ხუთი კი არა, რვა წელი მომისაჯა პირველი ინსტანციის სასამართლომ, ზემდგომმა ინსტანციამ ორი წლით შემიმცირა სასჯელი, რაც სრულად არ მომიხდია, გარკვეული გარიგების საფუძველზე ვადაზე ადრე გამათავისუფლეს, თუმცა ამაზე შემდეგ. როცა ჯერ შსს-ში, ხოლო შემდეგ უშიშროების სამინისტროში ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელად ვმუშაობდი, ცოტა ხისტი პრინციპი მქონდა, თანამშრომლებსა და მაღალი თანამდებობის პირებს დანაშაულს არ ვპატიობდი, შეიძლება რიგითი მოქალაქისთვის რაღაც მეპატიებინა, მაგრამ როცა ძალოვანი სტრუქტურის, პროკურატურის და ა.შ. თანამშრომლები აშავებდნენ, თუნდაც ქუჩაში საგზაო მოძრაობის წესებს არღვევდნენ, მკაცრად ვთხოვდი პასუხს. აქედან გამომდინარე, ბევრი მყავდა დაპირისპირებული. 2003 წლის ნოემბერში, ვითომდა რევოლუცია



ვალერი ხაბურძანია

რომ მოხდა, რატომღაც ყველა ჩემთან დაპირისპირებული ხელისუფლებაში მოვიდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში უკვე აღარ ვმუშაობდი ძალოვან სტრუქტურებში, 2001 წლის მიწურულს უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ ხელისუფლების სათავეში ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორები მოვიდოდნენ, როცა უშიშროების მინისტრი (ვახტანგ ქუთათელაძე) შეცვალეს, ფაქტობრივად ყველა ხელმძღვანელმა პირმა პატაკი დავწერეთ და სამსახურიდან წავედით. უშიშროების ახალმა მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ხელი მომიწერა სპეციალურ ფორმაზე, რომ სამსახურთან არავითარი დავალიანება არ გამაჩნდა, თადარიგში გამიშვეს და პენსია დამინიშნეს, რის შემდეგაც მუშაობა დავიწყე რუსთავის „აზოტში“ დირექტორის მოადგილედ უსაფრთხოების დარგში. ქარხანა მაშინ რუსული კომპანია „იტერას“ დაქვემდებარებაში იყო. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩემთან სამჯერ მოვიდნენ უცნობი პირები, რომლებიც ვანო მერაბიშვილისა და ბეჟუაშვილების წარმომადგენლებად გამეცნენ, ეროსი კიწმარიშვილიც ხშირად მოდიოდა, მათ მითხრეს, რომ „აზოტის“ გაკოტრება უნდოდათ, შემომთავაზეს, გვერდით დაგვიდექი და წილში შენც იქნებიო. იმ ხალხს, ვინც თანამდებობაზე დამნიშნა, ვერ ვუღალატებდი, ამიტომ კატეგორიული უარი ვუთხარი. იმ პერიოდში სამხედრო პროკურატურამ სს-ის საქმე აღძრა უშიშროების სამინისტროში იარაღის დანაკლისთან დაკავშირებით, მინისტრი ისევ ხაბურძანია იყო. მეც გამომიძახეს, მოწმედ დამკითხეს და გამომიშვეს, საქმე დახურეს, რადგან მათივე თქმით, არაფერი იყო საეჭვო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ხსენებული პერსონების „შუამავლების“ მისვლა-მოსვლა ჩემთან. მანამდე რაღაც გაფიცვებსა და მიტინგებსაც აწყობდნენ ქარხანაში, რასაც საფინანსო პოლიციის (ხელმძღვანელი დავით კეზერაშვილი) შემოსვლა მოყვა ვითომდა შემოწმების მიზნით და ქარხანა დახურეს. იმ პერიოდში რუსთავში „აზოტის“ გარდა, სხვა არაფერი მუშაობდა. პირადად ვიცნობდი მაშინდელ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, მივედი მასთან და ვუთხარი, ბატონო ზურაბ, რუსთავში ერთადერთი ობიექტი მუშაობს და იმასაც აჩერებთ-თქო? მან რომ გაიგო კეზერაშვილმა დახურა ქარხანა, ჩემი თანდასწრებით დაურეკა ზურაბ ადეიშვილს, რომელიც ახალი დანიშნული იყო იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, ძალიან მკაცრად ელაპარაკა, ახლა მოვა შენთან კენჭაძე, რასაც გეტყვის ყველაფერი ისე გააკეთე და ვინც ქარხანა დახურა აქ მომიყვანეო, მას არც კეზერაშვილი მოუხსენებია მაინც და მაინც ზრდილობიან ფორმაში. ადეიშვილი ცხვირჩამოშვებული დამხვდა, ეს რა მიქენი, დღეს პირველად გამოვედი სამსახურში და ჟვანიასთან მიჩივლეო, რა ვიცოდი სად იყო ადეიშვილი. მან ჩემს თვალწინ დაურეკა კეზერაშვილს და ქარხანაზე „ალყა“ მოახსნევინა. ამ ამბიდან მესამე დღეს (სამშაბათი იყო) ისევ მოვიდნენ მერაბიშვილ-ბეჟუაშვილების „შუამავლები“, ბოლოჯერ გაფრთხილებთ, მეტად აღარ მოვალთო, მაგრამ კვლავ უარი ვუთხარი. პარასკევს (2004 წლის 29 აპრილი) რეციდივისტივით ქუჩაში დამაკავეს, როცა შეეძლოთ კაბინეტში დავეკავებინე, ან პროკურატურაში, როცა ჩემს ადვოკატთან ერთად ვიყავი იქ მისული. იმ პერიოდში მთავარი პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი გახლდათ, რომელიც ასევე ნაწყენი იყო ჩემზე. ინფორმაცია მქონდა, რომ სს-ის საქმე იყო აღძრული, მივედი პროკურატურაში და ვიკითხე საჭირო ხომ არ ვიყავი, არა თქვენზე არაფერიაო და გამომიშვეს, ამას მეუბნებიან აპრილის დასაწყისში, 29 აპრილს კი თბილისი-რუსთავის გზაზე ორი ავტომანქანით ვიღაც გადაცმული პირები მაჩერებენ. ესეც სპეციალურად გააკეთეს, მე ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება მქონდა (გენერალს ოფიციალურად სიცოცხლის ბოლომდე აქვს იარაღის ტარების უფლება – მ.ს.), ამიტომ იარაღით დავდიოდი, მით უმეტეს ისეთი თანამდებობაც მქონდა, რაც ამათ კარგად იცოდნენ. როცა ვიღაც მოქალაქე ხელს მიქნევს და მაჩერებს, ხომ შეიძლება ეჭვი გამიჩნდეს და იარაღი გამოვიყენო. ჩემს ბედად, შევნიშნე ერთ-ერთი ავტომანქანის უკანა სალონში როგორ ჩაიმალა ვიღაც, ვიცანი ერეკლე კოდუა, რომელიც ადრე ჩემი თანამშრომელი იყო. მივხვდი, პოლიციელები იყვნენ და გავჩერდი, გადმომცეს, რომ პროკურატურაში მიბარებდნენ, უსიტყვოდ გავყევი. იმავე დღეს დამაკავეს და ბრალად წამიყენეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და ბოროტად გამოყენება. თურმე რომელიღაც ფირმისთვის ცეცხლსასროლი იარაღი ჩემი ხელმძღვანელობის დაუკითხავად გადამიცია, სასამართლოს განაჩენშიც ასე წერია, რისი უფლებაც ხელმძღვანელობის გარეშე არ მქონდა. არადა არსებობს ამ ფირმის წერილი მინისტრის სახელზე, მინისტრის განკარგულება მის მოადგილესა და ჩემს, როგორც ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელის მიმართ, რომ იარაღი გადაგვეცა და ჩემი პატაკი, რომ დავალება შევასრულე. პროკურატურამ ამ დოკუმენტებს ყურადღება არ მიაქცია, თურმე ჩემი ინიციატივით ვმოქმედებდი. ჩემი საქმის პროკურორმა ტყეშელაშვილმა (აწ გარდაცვლილი) მითხრა, ბატონო ლევან, ამ დოკუმენტებს მნიშვნელობა არ აქვს, ოცი კაციც რომ ფიგურირებდეს ამ საქმეში, იმათაც დავიჭერ, მაგრამ დავალება გვაქვს, რომ თქვენ ციხეში უნდა იჯდეთო.

ამ საქმეში მეორე ეპიზოდიც იყო, ფირმისთვის გადაცემული იარაღი გადააკეთეს, რაც დარჩა, უვარგისი იყო და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადავადნეთ, არც ამ იარაღის განადგურების



ზურაბ ადეიშვილი

უფლება გქონდათო, თუმცა ვერც მე და ვერც ჩემს ადვოკატებს აგვიხსნეს რომელი კანონი დავარღვიე, რადგან არცერთი კანონი ამას არ კრძალავდა. თურმე ამ იარაღის გადადნობით სახელმწიფოს 6.000 ლარის ზარალი მივაყენე, მერე როგორც თანამდებობის პირის შემთხვევა, ეს თანხა სამზე გადაამრავლეს და ზარალი 18.000 ლარი გამოიყვანეს.

ჩემი ოჯახის გადახდილი თანხა, წესით ან სახელმწიფო ბიუჯეტში, ან უშიშროების სამინისტროს ანგარიშზე უნდა შესულიყო, თუმცა რამდენიმე ხნის წინ სახელმწიფო ხაზინამ ცნობა მომცა, რომ არ იციან სად წავიდა ეს ფული. მე 6.000 ლარის გამო 8-წლიანი პატიმრობა მომისაჯეს, ხოლო სახელმწიფოში შეტანილი 18.000 ლარი სად წავიდა, კაციშვილმა არ იცის. დედაჩემს დიღომში კერძო სახლი ჩამოართვეს, თუმცა მას სხვა ქონებაც ჰქონდა, ხოლო ჩემს დას ერთ-ერთი სასტუმროს წილი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მე, „დამნაშავეს“ არაფერი ჩამომართვეს, ესენი დასაჯეს, რასაც კონკრეტული მიზანი ჰქონდა. დედაჩემის სახლში ერთი ცნობილი მომღერალი ცხოვრობდა და სააკაშვილს მისთვის უნდოდა ამ სახლის ჩუქება, მაგრამ იმ ქალბატონმა რომ გაიგო რაც მოხდა, „გულუხვ საჩუქარზე“ უარი თქვა. სახლი სახელმწიფო ბალანსზე დარჩა და დღესაც ასეა. რაც შეეხება სასტუმროს, ეგონათ, რომ ის მთლიანად ჩემი დის იყო და ზურაბ ნოღაიდელს უნდოდა მისი „დათრევა“, მაგრამ, როცა გაიგო, რომ სასტუმროს კიდევ ოთხი მეწილე ჰყავდა, მანაც უარი თქვა. ქონების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო პროცესზე, ჩემს ადვოკატს (არჩილ კბილაშვილი) განუცხადებია, ამ პროცესს კენჭაძე და დედამისიც ხომ უნდა ესწრებოდნენო, რაზეც პროკურორ ჯაველიძეს ასეთი პასუხი გაუცია (ამის საოქმო ჩანაწერებიც არსებობს), კენჭაძის დასწრებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს განაჩენისთვისო, იქნებ რას ვამბობდი, მაგრამ წინასწარ იცოდნენ რა განაჩენიც დადგებოდა. ადვოკატის პროტესტი პროკურორის ამ განცხადებაზე არაფრად ჩააგდო მოსამართლემ, წესით ეს სხდომა უნდა ჩაშ-

ლილიყო, მაგრამ ქალბატონ ჭანიშვილს უბრძანებია, კენჭაძე უნდა ესწრებოდეს პროცესს, რის შესახებაც ტელევიზიით ათჯერ იყო გამოცხადებული, დასწრება თუ უნდოდა, მოვიდოდაო. გეგონება არ იცოდა მოსამართლე ჭანიშვილმა, რომ იმ დროს ორთაჭალის ციხეში ვიჯექი. როგორც გითხარით, თავიდან რვა წელი მომისაჯეს, სააპელაციო სასამართლომ ორი წლით შემიმცირა სასჯელი, თუმცა ის მოსამართლე (ამ ქალბატონის გვარი აღარ მახსოვს) იმავე საღამოს გაათავისუფლეს სამსახურიდან. კითხვას ვსვამ, როცა მე „უკანონოდ" გადავეცი ფირმას იარაღი, ნაწილი კი გადავადნე, სად იყო მაშინ ვალერი ხაბურძანია, იმ პერიოდში ის უშიშროების საბჭოში მუშაობდა და ჩვენს სამინისტროს კურირებდა, არ უნდა დაინტერესებულიყო რა ხდებოდა მის საკურატორო ზონაში? იყო მინისტრი, მისი მოადგილეები და ა.შ., ნუთუ ვერავინ გაიგო ლევან კენჭაძე რომ რაღაცას აშავებდა.

**- თქვენთან დაპირისპირებულ პერსონებზე საუბრობდით, ხაბურძანიაც ხომ არ იყო მათ შორის?**

— როცა ხაბურძანია უშიშროების მინისტრი გახლდათ და პენსიაში გამიშვა, ხელი ხომ მომიწერა ცნობაზე, არავითარი დავალიანება არ გაქვსო. ორი წლის მერე გაუნათდა გონება და აღმოაჩინა იარაღის დანაკლისი, რაღაც საეჭვოდ დაემთხვა მისი მეხსიერების აღდგენა, „აზოტის" გაკოტრების საქმეში ჩემი მხრიდან დახმარებაზე უარის თქმას.

ხაბურძანია ვერ მიტანდა, რადგან რამინისტრის მოადგილე იყო, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციის თანამშრომელს, ჩემთან მოვიდნენ, იქნებ ამ თანამშრომელმა არ იჩივლოსო, მაგრამ დახმარებაზე უარი ვუთხარი და კაბინეტიდან გავაგდე ოქრუაშვილი, თუმცა მერე მაინც „ჩააწყეს" ეგ საქმე. თვითონაც ხედავთ რა გუნდი შეიკრა ჩემს წინააღმდეგ, ამათ როგორ მოვერეოდი. მოკლედ, მათ მიერვე შეთითხნილი ბრალდებით, გისოსებს მიღმა გამომამწყვდიეს. რა თქმა უნდა, განაჩენი ევროსასამართლოში გავასაჩივრე. ხუთი წელი და ორი თვე მქონდა მოხდილი, როცა ავჭალის კოლონიაში პროკურატურის საგამოძიებო სამსახურის უფროსი (გიორგი ლაცაბიძე უკვე აღარ იკავებდა ამ თანამდებობას) „მესტუმრა", ბატონო ლევან, ათი თვე დაგრჩათ მოსახდელი, როგორ და რა პირობებში იქნებით, მაგაზე ნუ ინერვიულებთ, მაგრამ გარეთ შვილი გყავთ, თუ არ გინდათ მას გადაუჭრელი პრობლემები შეექმნას, სტრასბურგიდან საჩივარი გამოიტანეთ, როგორც კი განცხადებას გამოიტანთ, სამ საათში სახლში იქნებითო. ჩემი ბიჭი მაშინ სტუდენტი იყო, ინფორმაცია მქონდა, რომ რამდენჯერმე გააჩერა პოლიციამ და გაჩხრიკა, როდის „ჩაუდებდნენ" ნარკოტიკს ღმერთმა იცის. ჩემიანები უარზე დადგნენ, როგორ შეიძლება საჩივრის გამოტანა, მოგებული საქმეაო. მე კი გავძლებდი ციხეში როგორმე, მაგრამ ჩემს შვილს რომ რამე მოსვლოდა, მერე როგორღა უნდა მეცხოვრა, ამიტომაც იძულებული გავხდი დავთანხმებულიყავი. შეიძლება ისიც თქვან, მერე რა მოხდა, გიორგი სააკაძემაც გაწირა შვი-



ირაკლი ოქრუაშვილი

ღაც პირადული მიზეზები ჰქონდა, ვერ მიტანდა მიხეილ სააკაშვილიც თუნდაც იმიტომ, რომ თავისი არაკაცური საქციელის გამო, ერთ-ერთი მოსამართლის ქორწილის სუფრიდან პანღურის რტყმით გავაგდე. დაპირისპირებული ვიყავი ბიძამის თემურ ალასანიასთანაც, მაგრამ მიზეზზე რატომღაც არავინ საუბრობს. უშიშროების სამინისტროში მუშაობის დროს (2000 წელი), ვაზიანის სამხედრო ბაზა ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარებული ღონისძიების შედეგად დაიხურა. დაახლოებით სამთვიანი მუშაობის შედეგად დავადგინეთ, თუ როგორ იყიდებოდა ამ ბაზიდან ცეცხლსასროლი იარაღი გარკვეულ დაჯგუფებებზე, რომლებიც რუსეთში ისევ რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენ. ღონისძიება იმდენად კარგად ჩატარდა, რომ რუსეთის მთავრობამ მხარი დაგვიჭირა და მოსკოვიდან ცხრა გენერალი ჩამოვიდა ამ საქმის შესასწავლად, ძალიან რეზონანსული საქმე იყო. თემურ ალასანიამ, რომელიც მაშინ რუსეთის გრუ-ში (სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველო) მუშაობდა, მითხრა, შეეშვი ამ საქმეს და შენს გასამრჯელოს მიიღებო, მაგრამ უარი ვუთხარი. სასამართლო სხდომაზე, როცა რვა წელი მომისაჯეს, შემოვიდა თემურ ალასანია, თავი დამიქნია და გავიდა. ცხადია, „აზოტის" გამო დაპირისპირებული ვიყავი მერაბიშვილი-ბეჟუაშვილების „კამანდასთან", ჩემი დაჭერიდან ერთ კვირაში ხელში ჩაიგდეს ქარხანა, ხოლო ძველი დირექტორი გაიქცა, ადეიშვილსა და კეზერაშვილზეც გითხარით. რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, იმ პერიოდში აღარ მახსოვს ადვოკატობდა თუ უკვე იუსტიციის

ლიო, იმან სამშობლოსთვის გაწირა, მე საკუთარი თავისთვის ხომ არ გავაკეთებდი ამას? მართლაც, როგორც კი ჩამოვიდა სტრასბურგიდან წერილი, რომ აღარ ვჩიოდი, სამ საათში გარეთ ვიყავი, რამდენიმე ხანში ნასამართლეობაც მომიხსნეს და იარაღის ტარების უფლებაც აღმიდგინეს. ისე გამოდის, თითქოს ის ხუთი წელი არც ყოფილა.

სამი წელია ვიხვეწები დამკითხონ, მივცე ფაქტებით გამყარებული ჩვენება, ვინც იყვნენ ნაციონალები, მაგრამ ვინ გისმენს. ხელახლა მინდა ევროსასამართლოს მივმართო, რადგან აქ სამართალი ვერ ვიპოვე, მაგრამ იქ ისე არ მიიღებენ სარჩელს, თუ საქართველოში ყველა ინსტანციის სასამართლო არ გავიარე, სპეციალურად არ იძიებენ ჩემს საქმეს, რომ ევროსასამართლოთვის მიმართვის საშუალება მომისპონ. ახლახანს კიდევ მივმართე პარლამენტსა და იუსტიციის სამინისტროს, რომ ის მაინც მითხრან, როგორ მოვიქცე. იუსტიციის სამინისტროდან დამიკავშირდნენ, რა ვქნათ, ჩვენ პროკურატურის საქმიანობაში ვერ ვერევითო. თეა წულუკიანი პროკურორის დანიშვნაში თუ ერევა, მისი არჩეული პროკურორი რომ არაფერს აკეთებს, ამაში რატომ ვერ ერევა?

პროკურატურისგან ჩემი საქმის შესწავლას იმიტომ ვითხოვ, რომ გაირკვეს რამდენად სამართლიანი იყვნენ პროკურორი, გამომძიებლები და მოსამართლე. თუ გავმართლდები, ნურავის დაიჭერენ, უბრალოდ ის თქვან, რომ კენჭაძე უდანაშაულო იყოო.

**მანანა სუხიშვილი**

599 51 28 24

# `saerTo gazeTis~ იურიდიული კონსულტაცია

***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***

**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**



* * *

**- რა შემთხვევაში გააჩნია სისხლის სამართლის კანონს უკუძალა?**

- მუხლი 3. სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

1. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამსუბუქებს სასჯელს აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, ან ამკაცრებს სასჯელს უკუძალა არა აქვს.

2. თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში.

3. თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

4. აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

**-როგორია სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხანდაზმულობის საკითხი?**

-მუხლი 71. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან

გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

1. პირი თავისუფლდება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე–3421 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

3. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან.

4. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

5. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

7. გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

8. „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების საქართველოში შემდგომი სამართალწარმოების მიზნით გადმოგზავნისას საქართველოში პროცესის მწარმოებელი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.

მუხლი 76. სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება

გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

1. მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა შემდეგ ვადებში:

ა) ორ წელში იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) ექვს წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

გ) ათ წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს;

დ) თხუთმეტ წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს.

2. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა სასჯელის მოხდას. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება მსჯავრდებულის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების მომენტიდან. ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება სასჯელის მოხდისაგან თავის არიდებამდე გასული დრო.

3. საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

4. ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

6. გარდა ამ მუხლის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხანდაზმულობის ვადის დინება ასევე ჩერდება იმ დროის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია საქართველოში ექსტრადირებული მსჯავრდებულის მიმართ შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელება „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

7. უცხო ქვეყნის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის VI თავის თანახმად საქართველოში აღსასრულებლად გადმოგზავნის შემთხვევაში საქართველოს შესაბამისი ორგანო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მხედველობაში უცხო ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლებს, თუ ისინი ამ მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძვლების ანალოგიურია.

**ინტერვიუ „ერეკლე II-ის საზოგადოების“ ხელმძღვანელთან არჩილ ჭყოიძესთან.**



# არჩილ ჭყოიძე:

# თბილისის „აბრეშუმის გზის“ ფორუმმა კიდევ ერთხელ მიგვანიშნა, რომ საქართველო სამხედრო ნეიტრალიტეტის გზას უნდა დაადგეს

**— რამდენიმე დღის წინ საქართველოში „ახალი აბრეშუმის გზის“ ფორუმი ჩატარდა. უამრავი ქვეყნის წარმომადგენელს მასპინძლობდა საქართველო. რა კომენტარს გააკეთებდით ამასთან დაკავშირებით?**

— ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მოხარული ვარ, რომ „აბრეშუმის გზის“ პროექტი განხორციელების ფაზაში შედის, მაგრამ, უნდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო რამ. ჩვენი მონაწილეობით ამ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი პროექტით ჩვენ, ფაქტობრივად, ევრაზიული კავშირის წევრები ვხდებით, ჩინეთი, რუსეთი, ყაზახეთი, ანუ აზიური ბაზრები ჩვენი ქვეყნის გავლით ევროპის ბაზრებს უნდა დაუკავშირდეს. ამიტომაც არის აუცილებელი საქართველოში იყოს სიმშვიდე, ამიტომაც არის აუცილებელი სამხედრო ნეიტრალიტეტი.

საქართველოს მდგომარეობით, ამიერიდან, დაინტერესებულნი იქნებიან არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნები, არამედ ჩინეთი, აშშ-ი, დასავლეთი, ირანი და მსოფლიოს სხვა დიდი ქვეყნები.

საქართველოში მშვიდობა, პრაქტიკულად, უკვე, ყველა ქვეყნის ინტერესებში შედის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან „აბრეშუმის გზის“ პროექტთან. აუცილებელია, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთთან, ევროპის ქვეყნებთან, ჩინეთთან, რომელიც უძლიერესი აქტორი გახლავთ და სხვა ქვეყნებთან უნდა დაიწყოს საუბრები სამხედრო ნეიტრალიტეტის თემაზე, რომ ეს ქვეყნები საქართველოს ნეიტრალიტეტის გარანტი გახდნენ.

რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობებს, საქართველოს შეეძლება მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან ჰქონდეს ეკონომიკური კავშირები, ვაჭრობა და ა.შ. სამხედრო თვალსაზრისით უნდა ვიყოთ აბსოლუტურად ნეიტრალურნი.

**— ამ შეხვედრით იმის ერთგვარი შეთანხმება ხომ არ იყო მსოფლიოს დიდი ქვეყნების წარმომადგენლებს შორის, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყანა უნდა გახდეს და სამხედრო ალიანსებში გაწევრიანებას თავი უნდა დაანებოს?**

— უსაფრთხოებაზე ფორუმის ფარგლებში საუბარი იყო, მაგრამ, ცხადია, იქ არავის უსაუბრია ნეიტრალიტეტზე.

„აბრეშუმის გზამ“ უნდა გაიაროს საქართველოზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველომ, რეალურად დაიბრუნოს თავისი ისტორიული მისია, იყოს სავაჭრო ბრუნვებისთვის უსაფრთხო, ე.ი. მშვიდობიანი ქვეყანა. მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან გარემოში შეიძლება იმ პროექტების განხორციელება, რომელზეც თბილისის „ახალი აბრეშუმის გზის“ ფორუმზე იყო საუბარი.




როცა ვინმე ლაპარაკობს, რომ საქართველოს მომავალი არის ნატო და ევროკავშირი, ჩვენმა დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა გატეხოს ნავსი და ხმამაღლა აღიაროს, რომ საქართველოს მომავალი არის მშვიდობა, უსაფრთხოება და ნეიტრალური სტატუსი. ბოლოს და ბოლოს ენდი-აი-ს კვლევებმაც დაადასტურა, რომ ქართველი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილს არ სურს ევროინტეგრაცია და ნატოს ალიანსის წევრობა.

**— თქვენ ამბობთ, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ნატო-ში გაწევრიანებაზე? აშშ-ი ამბობდა, რომ ცდილობდა დახმარებოდა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციაში.**

— პირველ რიგში, აღვნიშნოთ ის, რომ არც ნატოს, არც აშშ-ს და დასავლეთს სულაც არ სურთ საქართველოს ნატოში შეყვანა. აშშ-ს მთავარი მიზანი არის, საქართველო იყოს პოლიგონი, რომელსაც გამოიყენებენ რუსეთის, ირანის წინააღმდეგ. აშშ-ი დაინტერესებულია, საქართველო არ გახდეს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, რადგან ამ კონტაქტებით ევროპაც და აზიაც სერიოზულ მოგებას ნახავენ, რაც ხელს არ აძლევს ამერიკის გარკვეულ წრეებს.

ყველას გვახსოვს, რა მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს. აშშ-ი, ფაქტობრივად, ყველაზე ბოლოს ჩაება ომში და 400 000 ადამიანი დაკარგა. იმდენი, რამდენიც დავკარგეთ ჩვენ, მცირერიცხოვანმა ქვეყანამ და, პრაქტიკულად, ყველაზე დიდი სარგებელი მიიღეს თვითონ — მოახერხეს მთლიანად ევროპის კონტროლი.

ჩვენი ამოცანა ახლა უნდა იყოს ის, რომ აქტიურ დიალოგში შევიდეთ რუსეთთან, ჩინეთთან, ევროპასთან, თვით აშშ-სთანაც ნეიტრალიტეტის თემაზე. საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, თავისუფალი ეკონომიკური კავშირები და დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს.

უკვე მობეზრდა რიტორიკული მსჯელობები იმაზე, რას ამბობდა მერკელი, რა თქვა ობამამ, ან რას იტყვის ევროპა. მაგრამ ის ობამა ხომ ამბობს, რომ საქართველოს ნატოში არავინ მიიღებს ჯერჯერობით მაინც?! მაშინ საითკენ მივიწევთ, სად მივდივართ, რატომ მივდივართ, რას გვაძლევს ნატო?!

**— თავდაცვის მინისტრი და მთავრობის რესპუბლიკური ფრთა ამას, ალბათ, ვერ შეეგუება.**

— თქვენ ხუმრობთ, მაგრამ, იცით რას გეტყვით? რესპუბლიკური პარტია, რომელიც 2%-იანი მხარდაჭერით ზის პარლამენტში, არის დემაგოგიაზე და ქვეყნის ინტერესების საკუთარ ინტერესებზე მომრგები ხალხით დაკომპლექტებული.




სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება მიეჩვია იმას, რომ პრობლემები უნდა გადაგვიწყვიტოს ბიძინა ივანიშვილმა, ადრე შევარდნაძეს უნდა გადაეწყვიტა, ასევე ზვიად გამსახურდიასაც, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ყველაფერზე პასუხისმგებელი ვართ ჩვენ, საზოგადოება და არა ერთი ან ორი პირი სახელმწიფო მმართველობაში.

საბერძნეთში, როდესაც საკითხი დაისვა პირადობის მოწმობებიდან გრაფა მართლმადიდებელი ამოეღოთ, ხალხი გამოვიდა ქუჩაში და ვერაფერს გახდა თვით ევროკავშირიც, რომლის წევრიც გახლავთ საბერძნეთი. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინააღმდეგ გამოვიდა საბერძნეთის მოსახლეობა და ვერ მიიღეს ეს კანონი. ჩვენთან აბსოლუტურად უპრობლემოდ იქნა მიღებული მსგავსი კანონი, ამიტომ, როცა თინა ხიდაშელი ან სხვა ვინმე რას ლაპარაკობს, ეს კი არ არის მთავარი, მთავარი არის ქართველი ხალხი, ხალხი კონსტიტუციაზე მაღლა დგას.

საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს, არადა, სძინავს ძალიან ღრმა ძილით და ელოდება გადარჩენას ვიღაცისგან. გადარჩენა იმ ერთი ვიღაცისგან ვერ იქნება. რეალურად შევხედოთ, როცა ვიბრძოლეთ, ერთ კაცს კი არ გაუმარჯვია, არამედ მთელმა ხალხმა გავიმარჯვეთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# ნიკოლოზ კაჭკაჭური: სანამ შსს-ში სატრანსპორტო პოლიცია არ ჩამოყალიბდება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და „საცობებს“ არაფერი ეშველება

**მძღოლთა ასიციაცია ტასატის“ თავმჯდომარე ნიკოლოზ კაჭკაჭური აცხადებს, რომ მოუწესრიგებელ გზებს, გახშირებულ ავტოსაგზაო შემთხვევებს და „საცობების“ შექმნას რამდენიმე მიზეზი აქვს და მათი კომპლექსურად შესწავლის გარეშე, პრობლემის მოგვარება შეუძლებელია.**

— კარგა ხანია, გადატვირთული გზები და „საცობები“თბილისელების გადაუჭრელ პრობლემად იქცა. მოუწესრიგებელი საგზაო მოძრაობის გამო, ახალგაზრდები სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში აგვიანებენ, მათი მშობლები კი სამსახურში დროულად ვერ ცხადდებიან. მთელი ცხოვრება ტრანსპორტის სფეროში ვმუშაობ და ყოველდღიურად უამრავ მძღოლთან მაქვს ურთიერთობა, აქედან გამომდინარე, პრობლემას ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ გამოსავლის ძიებამდე, პრობლემის წარმოქმნის მიზეზებზე უნდა ვიმუშაოთ. ათასჯერ ნათქვამს გავიმეორებ—სანამ შსს-ში სატრანსპორტო პოლიცია არ ჩამოყალიბდება, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას და „საცობებს“ არაფერი ეშველება. პატრულმა ქურდს და ყაჩაღს სდიოს, ოჯახური კონფლიქტები აგვაროს და ძალადობის მსხვერპლი ქალები დაიცვას თუ საგზაო უსაფრთხოებაზე იზრუნოს? საგზაო პოლიცია ცალკე სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდეს და მხოლოდ მოძრაობის უსაფრთხოებაზე იყოს ორიენტირებული. სხვა შემთხვევაში, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობით მონტენეგროს და ალბანეთსაც მალე გავუსწრებთ.

**— მძღოლთა უფლებების დამცველი გზებზე საცობების წარმოქმნის მიზეზთა შორის დაუსრულებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს და წინა ხელისუფლების დატოვებულ მოუწესრიგებელი პარკინგს ასახელებს. ნიკოლოზ კაჭკაჭურის თქმით, მთავრობას უნდა ეყოს იმის ძალა და ნება, რომ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე, სადაც ინტენსიური მოძრაობაა, მანქანების გაჩერება აკრძალოს.**

— დაზიანებული გზებისა და გაჭიანურებული სარემონტო სამუშაოების გარდა, ტრანსპორტის გადაადგილებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის პარკინგის სამსახური. ჩემთვის გაუგებარია, ისეთ ვიწრო ქუჩაზე, სადაც ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ უვლის, პარკინგს რა უნდა? მანქანამ სადღა გაიაროს? პარკინგის სამსახურს აქვს ჩახერგილი კარგარეთელის, პეკინის, ვაჟა-ფშაველას და კიდევ უამრავი ქუჩა. ყველაფერს თავისი წესები აქვს და „სითი პარკი“ იქნება თუ სხვა ამ წესებს უნდა დაემორჩილოს. არ შეიძლება, რომ ერთი კომპანიის ფინანსურ ინტერესებს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების ნერვიული სისტემა გადავაყოლოთ. გასაგებია, რომ დედაქალაქის ავტოსადგომები წინა ხელისუფლების დროს გაიყიდა, მაგრამ მთავრობას უნდა ეყოს იმის ძალა და ნება, რომ ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე, სადაც ინტენსიური მოძრაობაა, მანქანების გაჩერება აკრძალოს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი „სითი პარკის“ ფინანსურ ინტერესებზე ხომ არ უნდა იყოს მორგებული? სანამ პარკინგის სამსახური ჯიბეებს ისქელებს, საცობების გამო, ვიღაცასთან სასწრაფო დახმარების მანქანა იგვიანებს, ვიღაცამდე კი სახანძრო სამსახური ვერ აღწევს. ამ „საცობების“ გამო ლამის რევოლუცია დაიწყოს და „სითი პარკი“ არხეინადაა და ვერავინ ეხება.



**— მძღოლთა უფლებების დამცველის განმარტებით, ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გარდა, საგზაუ მოძრაობის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, უპასუხისმგებლო სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებული მშენებლობები და უკონტროლოდ მიშვებული კერძო ტაქსები.**

— მე განახებთ სახლებს, რომლებიც პირდაპირ ტროტუარზეა აშენებული. არც მანქანის გასავლელია დატოვებული და არც ადამიანების. ბუნებრივია, რომ ასე აშენებული კორპუსი გზას დაავიწროვებს და ავტომობილების მოძრაობას შეზღუდავს. თითქოს ის არ გვყოფნიდეს, რაც წინა ხელისუფლების დროს გაფუჭდა და ასეთი მშენებლობები დღესაც მიმდინარეობს. აი, სულ ახლახან დასრულდა კორპუსი, რომელიც პირდაპირ გზაზე მდებარეობს. კორპუსის წინ მანქანების ორმხრივი მოძრაობაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ხალხი საკუთარ ბინებში შესახლდება, მოძრაობა ცალმხრივზე გადავა. კაცი ბინაში რომ 100 000 გადაიხდის, იმას მანქანაც ხომ ეყოლება? მიწის ქვეშ მხოლოდ ორი-სამი სართულის მაცხოვრებელთათვის სამყოფი ავტოფარეხებია, ამიტომ დანარჩენები მანქანებს სახლის წინ გააჩერებენ და ერთი მიმართულებით მოძრაობას მთლიანად ჩაკეტავენ. აი, ასეთი არასწორად დაგეგმილი კორპუსები აშენდა ისნის გამგეობის გვერდით, ქავთარაძის ქუჩის დასაწყისში და კიდევ უამრავ ადგილზე და ნუ გვიკვირს, რომ ჩვენს გზებზე გამუდმებული საცობებია. ასე თუ გაგრძელდა, თბილისის ქუჩებში მანქანით კი არა, ველოსიპედით გავლაც კი შეუძლებელი გახდება და ერთ მშვენიერ დღეს ქალაქი პარალიზებული გახდება. მისახედი და მოსაგვარაბელია კერძო ტაქსების პრობლემაც. ერთ მგზავრზე მგონი 100 ტაქსი მოდის და ეს 99 ტაქსი ცარიელი დარიხინობს და ისედაც გადატვირთულ გზებს კიდევ უფრო ტვირთავს. სხვა საუბრის თემაა, რომ 21-ე საუკუნეში ტაქსებზე მრიცხველების დაყენება ვერ მოვახერხეთ და აქედან ერთი თეთრი არ შედის ბიუჯეტში. მე მაქვს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ცარიელი ტაქსებისგან ქუჩების განტვირთვას. ამისთვის რაღაც მორიგეობასავით უნდა დაწესდეს და ტაქსების ნახევარი კენტ რიცხვებში ივლის და მეორე ნახევარი ლუწ რიცხვებში. მთელი კვირა ცარიელი მანქანით სიარულს ნახევარი კვირა დატვირთულად მუშაობა არ ურჩევნიათ? ერთამანეთს მგზავრებსარ წაართმევენ და შემოსავალი იგივე ექნებათ. სქემიდან, სადაც ეს ყველაფერი კაპიკებში მაქვს დაანგარიშებული, კარგად ჩანს, რომ ასეთი მორიგეობა ყველასთვის მომგებიანი იქნება. მძღოლებისთვისაც, მგზავრებისთვისაც და ავტომანქანებით გადატვირთული გზების განტვირთვისთვისაც.



**— საცობებისგან გზების განტვირთვისთვის ნიკოლოზ კაჭკაჭური ქალაქის მთავრობას უცხოური გამოცდილების გაზიარებას ურჩევს და იმ ფინანსურ ზარალსაც ახსენებს, რასაც საცობებში საათობით დგომის გამო სატრანსპორტო კომპანიები, მძღოლები და ქვეყნის ბიუჯეტი განიცდის.**

— კარგი იქნება, თუ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებისა და გზების განტვირთვისთვის უცხოურ გამოცდილებას გავიზიარებთ. მაგალითად, ბულგარეთში, პოლონეთსა და რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში გზების განტვირთვის მიზნით, გზები ისე აქვთ დახაზული, რომ ავტობუსი მანქანის ზოლში ვერ იმოძრავებს და მანქანა ავტობუსის ზოლში. ლონდონმა გზებზე სათვალთვალო კამერების დამონტაჟებისთვის მილიარდნახევარი დახარჯა, მაგრამ ერთ წელიწადში 4 მილიარდის შემოსავალი მიიღო მძღოლებისგან ამოღებული ჯარიმების სახით. მეორე წელს მოგება ნახევარ მილიარდამდე შემცირდა და მესამე წელს უკვე საგზაო მოძრაობის წესებს აღარავინ არღვევდა. ამ ჭკვიანურად განხორციელებული პროექტით, ლონდონელებმა მილიარდნახევარში ნახეს ხუთი მილიარდის მოგება მიიღეს და რაც მთავარია, გზებზე წესრიგი დაამყარეს. იგივე ხდება თურქეთშიც, სადაც ყოველ ნაბიჯზე აყენია სათვალთვალო კამერები და წესების დარღვევას ველა მძღოლი ერიდება. ჩვენთან არც კამერებია, არც საგზაო პოლიცია და შედეგიც შესაბამისი გვაქვს. ამიტომ, ზოგიერთი სტრუქტურის თანამშრომლებმა ჯობს, რომ კომპიუტერში კარტის თამაშს თავი დაანებონ, გარეთ გამოვიდნენ და საცობების გამომწვევი მიზეზების დასადგენად, გზები შეისწავლონ.

საუბარს იმით დავასრულებ, რომ ზემოთხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, უახლოეს ხანებში მერიის სატრასპორტო სამსახურში გაიმართება სპეციალური სხდომა. მე მზად ვარ ჩემი პროექტები და მოსაზრებები წარვადგინო და დანარჩენი სატრანსპორტო სამსახურის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

ნელი თორდია
571 35 36 88

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის" ერთობლივი პროექტი


გია ყანჩელი

# საქართველო ჩემი სამშობლოა და მას ვერავინ წამართმევს

**გია ყანჩელისთვის 2015 საიუბილეო წელია – კომპოზიტორი 80 წლისა შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით ევროპის ცნობილი საკონცერტო დარბაზები, საქართველოს და უცხოეთის შემოქმედებითი კოლექტივები თუ შემსრულებლები საკონცერტო პროგრამებს წლის დასაწყისიდანვე ადგენდნენ და მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსის იუბილეს გრანდიოზულად აღნიშვნისთვის ემზადებოდნენ. გია ყანჩელი აგვისტოში დაბადებული, საიუბილეო კონცერტების სერია კი გაზაფხულზე დაიწყო, დასკვნითი საღამო თბილისში 10 ნოემბერს უნდა გაიმართოს.**

მას „სიჩუმის მაესტროს" უწოდებენ. თვითონაც აღიარებს, მნიშვნელობა არა აქვს, სად ვწერ, მუშაობისთვის სიჩუმე მჭირდება და სხვა არაფერიო. იმ პერიოდში კი, როცა ის სამშობლოდან წავიდა – 1991 წელს – საქართველოში „დიდი ხმაურის" ხანა დადგა.

**გია ყანჩელი:** „როგორც მუსიკოსს ბერლინში საუკეთესო სტიპენდია გამომიყვეს და შემოქმედებითი მუშაობის საშუალება მომცეს. ერთი წლის შემდეგ თბილისში უნდა დავბრუნებულიყავი. ჩვენთან სამოქალაქო ომი დაიწყო და ვიფიქრე, ცოტას დავიცდი-მეთქი. ჩემი „ცოტას დავიცდი" ოცდასამ წელზე მეტია გრძელდება. საქართველო ჩემი სამშობლოა და მას ვერავინ წამართმევს. ოცი წელია ანტვერპენში ვცხოვრობ და ბელგიას ჩემს მეორე სამშობლოდ მივიჩნევ. მადლობის მეტი რა მეთქმის იმ ხალხის მიმართ, რომლებიც გარს მახვევია. არც ისე დიდი ხნის წინ საავადმყოფოში მოვხვდი. გონება დავკარგე და... ამ ცხოვრებიდან წავედი. ანტვერპენის კლინიკაში ხელოვნური კომის მდგომარეობაში მამყოფებდნენ. ახლობლებმა არ იცოდნენ, რა შეიძლებოდა დამმართნოდა, როდის „დავბრუნდებოდი". ?აბედნიეროდ, ცხოვრებას ხელახლა ნორმალურად მოაზროვნედ მოვევლინე. უსაზღვროდ ვემადლიერები ბელგიას იმ კომფორტისთვის, რასაც მიქმნის ცხოვრებისა და შემოქმედებისთვის. ბელგია ერთ-ერთი ყველაზე ტოლერანტული ქვეყანაა მსოფლიოში. მრავალეროვნულობითა და ტოლერანტობით თბილისს მაგონებს, ამიტომაც გადავწყვიტე აქ დარჩენა. ანტვერპენში განსაკუთრებული აურაა. ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ყველა რელიგიისა და რასის წარმომადგენლები. ამ ქალაქში სიყვარულისა და პატივისცემის გარემოა. ჩვენ დროში ეს მეტად ფასეულია".

მსმენელთა უმრავლესობისთვის, საქართველოში და მთლიანად ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებშიც, გია ყანჩელი უფრო ცნობილია როგორც კინოსა და თეატრის კომპოზიტორი, რომელმაც ოთხმოცზე მეტი ფილმი და სპექტაკლი გააფორმა მუსიკალურად. ევროპაში კი ეს საერთოდ არ იციან. მათთვის გია ყანჩელი თანამედროვეობის უდიდესი კომპოზიტორია, რომლის სიმფონიურ და კამერულ ნაწარმოებებს მსოფლიოს სახელგანთქმული ორკესტრები და ცნობილი სოლისტები ასრულებენ. პოპულარულია შინაც და გარეთაც, თუმცა თვითონ კრიტიკულად არის განწყობილი და ამბობს:

**„არ ვიცი, რა არის პოპულარობა და თავსაც არ მივაკუთვნებ პოპულარულთა კატეგორიას. ჩემი საქმიანობის ძირითადი სფერო სიმფონიური და კამერული მუსიკაა და სწორედ ასეთი ნაწარმოებების ავტორად მიცნობენ მსოფლიოს მუსიკალურ წრეებში. ყოფილ საბჭოთა კავშირში და, რაც მთავარია, ჩემს სამშობლოში, ჩემს მუსიკას ორი ასეული ადამიანი თუ იცნობს, განა ეს პოპულარობაა?**

**შეუძლებელია, შეიძლება ითქვას, არასასურველიც კი, რომ ჩემი მუსიკა ყველას ესმოდეს. არც არსებობს არანაირი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც აბსოლუტურად ყველასთვის არის გასაგები. უფრო მეტიც, მუსიკის გაგება შეუძლებელია – ის უნდა იგრძნო, ეს კი მხოლოდ გარკვეულ ინდივიდუუმებს შეუძლია, ისევე როგორც ვიღაცამ შეიძლება ვერ იგრძნოს და უარყოს იგი. ყოველთვის ვწერდი იმას, რაც მსურდა და არა იმას, რაც ხალხს მოეწონებოდა. ბევრი რამ დამოკიდებულია ჟანრზე. მაგალითად, მიშელ ლეგრანის მუსიკა დიდ სიამოვნებას ჰგვრის მილიონობით მსმენელს. ბეთჰოვენის ბოლო კვარტეტების მოსმენაც არაჩვეულებრივ სიამოვნებას იწვევს მსმენელში, ოღონდ მათი რაოდენობა შეზღუდულია. ამიტომაც ვამბობ, რომ ჟანრი გადამწყვეტია".**

ამ ჟანრობრივი მრავალფეროვნების, და საერთოდ, ცხოვრების მიმართ დამოკიდებულების შექმნას უმადლის გია დანელიასთან მუშაობას, რობერტ სტურუასთან, ელდარ და გიორგი შენგელაიებთან, გიორგი ტოვსტონოგოვთან მეგობრობასა და შემოქმედებით თანამშრომლობას.

**„მადლიერი ვარ ჩემი ბედის, რომ მომეცა შესაძლებლობა მემუშავა გამოყენებით ჟანრებში. თუმცა, გულწრფელად ვაღიარებ, ისევე ხელებდაკაპიწებული ვმუშაობდი, როგორც ჩემთვის დაწერილი მუსიკისთვის".**

გია დანელიასთან პირველად იმუშავა ფილმზე „არ იდარდო", მანამდე დიდ რეჟისორს არ იცნობდა. კომპოზიტორს რამდენჯერმე დაუბრუნა ფილმისთვის დაწერილი მუსიკა, კარგია, მაგრამ დამუშავება აკლიაო. უკვირდა თავისი მოთმინებისა, მაგრამ ერთხელაც გაცხარდა და შემოქმედებითი ჯგუფის დატოვება გადაწყვიტა. შემდეგ შეეგუვნენ ერთმანეთს, დამეგობრდნენ, დანათესავდნენ კიდეც – გია დანელიამ გია ყანჩელის შვილიშვილი მონათლა და... საბოლოოდ, ერთად რვა ფილმზე იმუშავეს.

**გია დანელია გია ყანჩელზე:** „ორ ხელოვანს ვეთაყვანები – ერთი სტანისლავსკია, მეორე – გია ყანჩელი... ვცდილობ, ჩემი ფილმებისთვის შექმნილი მისი ძალიან ლამაზი მუსიკა ნაკლებად ლამაზი გავხადო, უფრო პრიმიტიულად ვაქციო და მივუსადაგო ფილმების პერსონაჟებს".

**გია ყანჩელი გია დანელიაზე:** „განსაკუთრებული მოვლენაა, ჩემი კერპია, მასწავლებელია, დამრიგებელი და მელოდისტია. ზუსტად გრძნობს, რა სჭირდება და ამას ყველანაირი საშუალებით აღწევს. ამისთვის ვემადლიერები, ბევრი რამ ვისწავლე მისგან. თვითონვე მიკარნახა მისი ფილმებისთვის დაწერილი ჩემი საუკეთესო მელოდიები. მე მხოლოდ ოდნავ გავალამაზე. გახსოვთ, „არ იდარდოში" არის ასეთი ეპიზოდი – ვახტანგ კიკაბიძის გმირის, ექიმის სახლში ქეიფობენ. უკრავს არღანი, ვიოლინო, ერთ ნოტს კი პიანინოზე თვითონ ექიმი აჟღერებს. მას შემდეგ, რაც ფილმი პოპულარული გახდა, კოლეგები მეუბნებოდნენ, რომ მასში საუკეთესო სწორედ ეს ეპიზოდიაო. არადა, იქ ბევრი კარგი მუსიკაა. სინამდვილეში კი, როცა ამ ეპიზოდს იწერდნენ, მე თბილისში არ ვიყავი. დანელიამ მოიგონა. ამის გამო კი მე მაქებენ".

**ნანი ბრეგვაძე:** „გია ყანჩელის მუსიკას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს. კომპოზიტორი თითქმის არასდროს იყენებს ფოლკლორს. ამ თვალსაზრისით, ელდარ შენგელაიას გარკვეული პრობლემა შეექმნა „შერეკილებზე" მუშაობისას. მთელი ეს ფილმი ხომ ფოლკლორული მოტივებისგან უნდა აწყობილიყო. ბოლოს გადაწყდა, ფილმის მუსიკა გია ყანჩელთან ერთად ჯანსუღ კახიძეს დაეწერა – ექსპერიმენტმა გაამართლა. მუსიკალური სიჭრელე ძალიან მოუხდა ამ ფილმ-ზღაპარს, მაყურებლის ხსოვნაში კი დარჩა გია ყანჩელის ვალსი, რომელიც, მართლაც რომ ფრენის განწყობილებას უქმნიდა მაყურებელს. ვალსი მთელი ამ მხიარული და, ამავე დროს, ძალიან სევდიანი ზღაპრის კამერტონია. გია ყანჩელის მუსიკალური მოტივი არ არის „ფოლკლორული თემა", მაგრამ თითქოს მიისწრაფვის ფოლკლორისკენ, ე. ი. ბუნებისკენ, რომელიც ფინალში, ერთაოზის სიმღერაშია ჩაქსოვილი („ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა")".


ჯანსუღ კახიძესთან ერთად


მეუღლესთან ერთად

ჩიტი-გვრიტის თემა აქტუალური მუსიკალური მოტივი გახდა ფილმში „მიმინო". კომპოზიტორი „ჩიტო-გვრიტოს" ვენერიულ სიმღერას უწოდებს:

**„მართლაც ვენერიული სენივით არის, მთელს საბჭოთა კავშირში გავრცელდა. როცა ვწერდი, ასეთ პოპულარულობაზე ვერც კი ვიფიქრებდი. ისედაც ხომ არ მიყვარს ავანსცენაზე ყოფნა და თავის გამოჩენა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ უბრალო სიმღერაა".**

* * *

ვიდრე უცხოეთში გაემგზავრებოდა, ჩვევად ჰქონდა – შინ არაფერს არ წერდა, ძირითადად მუშაობდა შემოქმედებით სახლებში, რომლებიც იმდროინდელ საბჭოთა კავშირში საუკეთესო საკურორტო ადგილებზე შენდებოდა. ახლა ბელგიაშია, მაგრამ თავს არ მიიჩნევს იქაურ მოქალაქედ – თითქოს მორიგ შემოქმედებით სახლში ვმუშაობ, სინამდვილეში კი სამშობლოში ვარ, ანუ ბელგიაში ყოფნისას თითქოს საქართველოში ვარ და ხანდახან მახსენდება ქვეყანა, სადაც ოცი წელია ვცხოვრობო.

ხედავს თუ არა სიზმრად მშობლიურ ქალაქს?

**„არა, ქალაქი არ მესიზმრება, მაგრამ ცხადში ურთიერთობას ვაგრძელებ მეგობრებთან, რომლებიც ჩემთან აღარ არიან. ნოსტალგია? ახლა, როცა ყველაზე ახლობელი ადამიანები აღარ მყავს, ნოსტალგია მიჩნდება ამ პიროვნებების მიმართ. მიჭირს მათ გარეშე".**

Styx დიდი ხნის წინ იური ბაშმეტისთვის დაწერა, მას მიუძღვნა. გუნდისთვის სიტყვებიც თვითონ შეარჩია, ძირითადად ქართული. ეხებდა კეთილხმოვანებას, რომ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს ადვილად ემღერათ. თავდაპირველად ყურადღებას არ აქცევდა, რა ტექსტად ყალიბდებოდა ეს კეთილხმოვანი სიტყვები, მაგრამ მუშაობის ბოლოს აღმოაჩინა, რომ ძირითადად თავი მოუყარა ეკლესიების სახელწოდებებს ან ოჯახის წევრებს – დედა, მამა, ბებია, ბაბუა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გუნდი მღეროდა კომპოზიტორის იმ მეგობრების სახელებს, რომლებიც ამქვეყნად აღარ არიან.

**„მას მერე კიდევ რამდენიმე მეგობარი დავკარგე. ბავარიის რადიოს ორკესტრის დირიჟორმა შემომთავაზა დამეწერა ნაწარმოები, რომლის შესრულების შემდეგაც საკონცერტო პროგრამაში იყო ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია. თავს ვერ შევირცხვენდი, და ძალიან მოვინდომე. ასე შეიქმნა Dixi, რომელიც უახლოეს მეგობარს ჯანსუღ კახიძეს მივუძღვენი..."**

ყოველთვის თვალს ადევნებდა, ამ ხნის განმავლობაში რა ხდებოდა საქართველოში, მაგრამ სიტუაციის შეფასებებს ხმამაღლა არასოდეს გამოთქვამს – პოლიტიკოსი ხომ არ ვარო, ამბობს, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ ახლობლებს უზიარებს თავის პოზიციას, კრიტიკულია თავისი ხალხის მიმართ, გადაუჭრელ პრობლემებსაც ხედავს და საწყენსაც.

**გია ყანჩელი**: „საწყენის ჩამოთვლა შორს წამიყვანს. ამიტომ შემოვიფარგლები ერთი დაკვირვებით. ადრე ქართველების საყვარელი სიმღერის სიტყვებს – რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ" – ნაკლებად ვაქცევდი ყურადღებას. ჩვენმა უახლესმა ისტორიამ დამარწმუნა, რომ, სამწუხაროდ, ეს სიტყვები უმრავლესობის შეგნებაშია გამჯდარი. შესაძლოა, ამიტომ გადაიქცევა დროდადრო ხალხის გამაერთიანებელ ძალად პირადად ჩემთვის მიუღებელი ლოზუნგები: „საქართველო – ქართველებისთ-



ვის“, „საქართველო უპირველეს ყოვლისა“... სხვათა შორის, სახელწოდება „ნაციონალური მოძრაობა“ ამავე რიგის კონიუნქტურას მიეკუთვნება. იქნებ სწორედ ამის შედეგად მიიღო პასიური ტენდენციის სახე ილიას სიტყვებმა — „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“. ვიმედოვნებ, დაგვიდგება დრო, როცა გავითავისებთ, რომ არავის ჩამოვუვარდებით და არც არავის ვჯობივართ. ასევე ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როცა ერთი პიროვნების გაფეტიშება დავიწყებას მიეცემა. მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი შეიცვალოს აწმყო და, შესაბამისად, მომავალიც“.

მართალია, პოლიტიკურ შეფასებებს გაურბის, მაგრამ ხანდახან მაინც გამოხატავს თავის პოლიტიკურ პოზიციებს. ასე იყო ამ გაზაფხულზეც, როცა უკრაინის ნაციონალურ ფილარმონიაში გია ყანჩელის საავტორო კონცერტი გაიმართა და რითაც დაიწყო საიუბილეო ტური იმ ქალაქებისთვის, რომლებიც ხელოვანს მეტისმეტად ეძვირფასება. კიევში ყოფნისას, გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში, შემოქმედებით თემებზე საუბრის გარდა უკრაინასთან დაკავშირებული ბოლო მოვლენების შეფასებაც მოუწია:

**„კიევში რომ მოვდიოდი, ვნერვიულობდი, როგორ მიიღებდა მსმენელი ჩემს მუსიკას. პროგრამა საგანგებოდ ამ კონცერტისთვის შევადგინე და მასში შევიტანე ნაწარმოები, რომელსაც გენიალური ვაჟა-ფშაველას ლექსის სათაური „ამაო**



რუსთაველის თეატრში

**ომი“ ვუწოდე. მართლაცდა, ომით არაფერი წყდება, ამაოა, დიდი სისულელეა. ის, რაც ახლა უკრაინაში ხდება, გულს მტკენს. სხვა ქართველების მსგავსად ვგულშემატკივრობ ამ ქვეყანას“.**

შეკითხვაზე, დამყარდება თუ არა მშვიდობა უკრაინაში, ბატონი გია უპასუხებს:

**„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა ნამდვილ სახელმწიფოებრიობას მოიპოვებს და ამას დიდი დრო არ დასჭირდება. თუმცა ამას მე ველარ მოვესწრები. მჯერა, უკრაინაში მოხდება ის, რაც ადრე არ ყოფილა — ეს არის სახელმწიფოსა და იმ ხალხების ერთიანობა, რომლებიც ამ მიწაზე ცხოვრობენ. და როცა ეს მოხდება, მადლობა ეკუთვნის პუტინს იმისთვის, რაც გააკეთა. თავისი მოქმედებებით გამოიწვია ისეთი მოვლენები, რომლებსაც შეუძლია უკრაინის გაერთიანება. ფაქტობრივად, აქ მცხოვრებნი უკვე დაირაზმნენ კიდეც ერთიანი მტრის წინააღმდეგ“.**

მაესტრო ყანჩელმა უკრაინაში მომხდარი ძალადობის გამო უარი განაცხადა რუსეთში კონცერტებზე — სხვანაირად არ შეეძლო. ფაქტობრივად, აღარ დადის რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი მეგობარი ეგულება. მათთან ინტერნეტით ურთიერთობს.

**„არ ვიცი, მოვესწრები თუ არა იმ დროს, როცა ისევ შემეძლება რუსეთში წასვლა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა პუტინის მოწყობილ ბალაგანს ბოლო მოეღება. იმდენი წლის ვარ, არ მინდა თვალთმაქცობა. და არც არასოდეს გამიკეთებია ეს. ვცხოვრობ ჩემი მუსიკით და ბედნიერი ვარ, რომ ვერავინ ვერასოდეს ვერ წამართმევს.**

**ერთნაირად კრიტიკულად ვაფასებ ყველაფერს, რაც დამიწერია. ყოველთვის დაეჭვებული ვარ, დღესაც კი, რადგან არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. თუკი გამოჩნდებიან შემსრულებლები, სოლისტები, დირიჟორები, რომლებსაც დააინტერესებთ ჩემი მუსიკა, მაშინ ნათელი გახდება — ტყუილად არ მიშრომია. შესაძლოა, სხვაგვარად მოხდეს — ეს პარტიტურები და ნაწარმოებები ბიბლიოთეკების თაროების საკუთრებად იქცეს. წინასწარ გამოცნობა იმისა, ეს მუსიკა სიცოცხლისუნარიანი თუ არა, ჩემს ძალებს აღემატება.**

**ახლახან ბელგიის ნაციონალური ოპერისთვის დავწერე თხზულება, რომლის სახელწოდებაც შევადგინე სამი შუმერული სიტყვისგან: „ნუ. მუ. ზუ“. შუმერული მკვდარი ენაა, ეს სათაური კი ასე ითარგმნება: „მე არაფერი არ ვიცი“.**

**შუა ხნის ასაკს რომ მივაღწიე, ვფიქრობდი, რომ სამყაროზე რაღაც ვიცოდი. მაგრამ ახლა, როცა ოთხმოცისა გავხდი, მივხვდი, რომ არაფერი არ ვიცი და არაფერი არ გამეგება. რა თქმა უნდა, ჩემი აზრები და მოუსვენრობა ჩემს მუსიკაში აისახება. მუსიკის გარდა სხვა არაფერი არ მეხერხება — არც სახლის აშენება, არც შეშის ჩეხვა, არც სადილის მომზადება. მადლობა ჩემს მეუღლეს, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, ჩემი თავი მხოლოდ მუსიკისთვის მიმეძღვნა, სახლსა და შვილზე ზრუნვა კი თვითონ იტვირთა. მთელი ცხოვრება ვქმნიდი. არავის არაფერს არ ვუმტკიცებდი. ახლა, როცა რვა ათეული წელი გადავლახე, ბედნიერი ვარ და შემიძლია ვთქვა: „არაფერი ვიცი იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობ, და მაინც მზად ვარ მის შესაცნობად“.**

**ელზა ნაბახტეველი**

# როგორ იწამლება ადამიანის ორგანიზმი ტყვიით?

**გვესაუბრება საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველოს უფროსი ნანა გაბრიაძე.**

**— ქალბატონო ნანა, როგორ ხვდება ადამიანის ორგანიზმში ტყვია, როგორც ვიცით, ის მეტალია.**

— ტყვიით მოშხამვის პრობლემა მსოფლიოს პრობლემას წარმოადგენს. ამიტომაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მოწამვლის პრევენციის მიზნით ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად შექმნეს ტყვიის ელიმინაციის გლობალური ალიანსი. დიახ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, ტყვია მეტალია, თუმცა ამ ნივთიერებას შეიცავენ საღებავები, მოსაპირკეთებელი ლაქები, ნავთობპროდუქტები, სხვადასხვა სამშენებლო მასალები. მაგალითად, აშშ-ში 1991 წლის კვლევების მიხედვით, ექვსი ბავშვიდან ერთს ტყვიით მოწამლვის ნიშნები აღენიშნებოდა. თქვენ მკითხეთ, როგორ ხვდება ტყვია ადამიანის ორგანიზმში. სწორედ საღებავების მეშვეობით. განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის ტყვიის შემცველი საღებავებით შეღებილი სათამაშოები. ტრადიციულად, ბავშვებს უყვართ სათამაშოების ღეჭვა და აქედან შეიძლება დაავადდნენ. ასევე სახიფათოა ასეთი საღებავებით შეღებილი ნივთების პირით შეხება, საღებავის მტვრის შესუნთქვა და სხვა ფაქტორები.



**— ქალბატონო ნანა, თქვენც ახსენეთ და ჩვენს ქვეყანაში ბევრს საუბრობენ ნავთობპროდუქტებში, განსაკუთრებით ბენზინში საქართველოში ტყვიის მაღალი შემცველობა არისო. თუ კონტროლდება ეს პროდუქცია და რა ხიფათი მოაქვს ასეთი საწვავის გამოყენებას?**



— ნავთობპროდუქტებზე ხარისხის კონტროლი გარემოს დაცვის სამინისტროს კომპეტენციაა. თუმცა სამართალდარღვევის აღმოჩენა დღეს არც ერთ სტრუქტურას არ აკისრია. რაც შეეხება ასეთი საწვავის გამოყენებას, იგი გარემოს დაბინძურებას იწვევს და პირდაპირ გეტყვით, რომ სავალალოდ მოქმედებს, პირველ რიგში, ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებზე. თუმცა ასეთი საწვავის შემოტანა ჩვენთან კანონით აკრძალულია.

**— რა სიმპტომები აღენიშნება ადამიანს ტყვიის მოწამვლის შემთხვევაში?**

— სამწუხაროდ, ტყვიით მოშხამვის შედეგები ხშირად შეუმჩნეველია, ფარულად მიმდინარეობს და მკურნალობის გარეშე რჩება. საერთოდ, მოწამვლას, განსაკუთრებით ბავშვებში, ახასიათებს მეტყველების დაქვეითება, ექმნება პრობლემები კითხვაში, უძნელდებათ კოორდინაცია, სკოლაშიც დაბალი მოსწრება აქვთ. აღენიშნებათ აგრეთვე ზრდის და განვითარების დარღვევა.

**— როგორ ხდება ტყვიით მოწამვლის აღმოჩენა?**

— აშშ-ში და განვითარებულ ქვეყნებში ტარდება ბავშვების სისხლში ტყვიის კონცენტრაციის პირველადი შემოწმება, რაც შემდგომ უადვილებთ იქაურ ექიმებსა და სპეციალისტებს, მიიღონ სათანადო ზომები, დროულად უმკურნალონ ავადმყოფს.

**— საქართველოში რა მდგომარეობა გვაქვს ტყვიის მოწამვლის შემთხვევების დადგენის და აღმოფხვრის მხრივ?**

— სისხლში ტყვიის შემცველობის განსაზღვრის ანალიზი, გულახდილად გეტყვით, ძვირი სიამოვნებაა. საქართველოში ანალიზი ფასიანია. კვლევა, რომელიც დაადასტურებდა ტყვიის მავნე გავლენას ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობაზე, არ ჩატარებულა. სამწუხაროდ, არც ეპიდემიოლოგიური კვლევებია ჩატარებული. კვლევების საშუალება რომ გვქონდეს, შევძლებოდა ზუსტად გვეთქვა, რა მასშტაბებით არის ეს პრობლემა საქართველოში.

**— როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დავიცვათ თავი და ბავშვები ტყვიით მოწამვლისგან?**

— პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა იზრუნოს გარემოს დაცვაზე. ზემოთ ნავთომპროდუქტები ვახსენეთ. მავნე გამონაბოლქვების შედეგად ბინძურდება ნიადაგი, წყალი და ერთობლიობაში საკვები პროდუქტები. მართალია, საქართველოში ტყვიის და მისი შემცველი ნივთიერებების გამოყენება საკვებ პროდუქტებთან შეხებაში მყოფ მასალებთან იზღუდება, ამოღებულია აგრეთვე კოსმეტიკური საშუალებებიდან, მაგრამ საბაჟოებზე იმპორტ-ექსპორტის ეფექტური კონტროლი ვერ ხორციელდება. მშიბლებმა შვილები პირად ჰიგიენას უნდა მიაჩვიონ. აუცილებელია ოთახების კვირაში ერთხელ სველი წესით დალაგება. არასასურველია ბავშვებისთვის მეტალის შეფუთვით საკვების ყიდვა. განსაკუთრებული ყურადღება ფეხმძიმე ქალების სამუშაო პირობებს უნდა მიექცეს. დაუშვებელია მათი მუშაობა ისეთ ადგილებში, სადაც ტყვიით მოწამვლის რისკი არსებობს. არასასურველია ფეხით სეირნობა ტრანსპორტით გადატვირთულ ქუჩებში. ხშირად უნდა გაირეცხოს ბავშვის სათამაშოები. ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ საკვებ პროდუქტებს და ბავშვს მივცეთ რკინით, კალციუმით და ცილებით მდიდარი პროდუქტები, რათა ავუმაღლოთ ტყვიის მიმართ ორგანიზმის გამძლეობა.

**— რა ქნას მშობელმა, თუ ეჭვობს ბავშვის ტყვიით მოწამვლაზე?**

— როგორც გითხარით, ანალიზები უფასოდ არ კეთდება, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მშობელმა უნდა წაიყვანოს ბავშვი გამოკვლევაზე. თუ აღმოჩნდება ტყვიის მაღალი კონცენტრაცია, ექიმი დაუნიშნავს სათანადო მკურნალობას. ჩვენი მთავარი მიზანია, მოსახლეობას, საზოგადოებას მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია ტყვიისა და მისი შემცველი ნივთიერებების საფრთხეების შესახებ.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# კროსვორდი



**ვერტიკალად:** 1. უდაბნო შუააზიაში. 2. შავი ზღვის დელფინი. 3. ამერიკის პრეზიდენტი რუზველტის სიკვდილის შემდეგ. 4. მუსორგსკის ოპერა „... გოდუნოვი“. 5. იტალიელი ფერმწერი მოქანდაკე, არქიტექტორი და პოეტი. 6. რიონის შენაკადი. 8. ცხენოსანთა ჯარი. 12. მრავალფერი რკალი ცის თავზე. 14. ინგლისის მეფე რიჩარდ ... 16. რომელიმე ორგანიზაციის დელეგატების ჯგუფი. 17. კოლოს მტერი, მტაცებელი მწერი. 18. ფიროსმანის მშობლიური სოფელი. 21. დონ კიხოტის მეაბჯრე სანჩო ... 22. მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებაზე, დარბაზის პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად. 25. ამერიკელი მომღერალი ქალი ... ლავი. 27. უკუდო, აფრიკული მაიმუნი, ადვილად შინაურდება და იწვრთნება. 28. მაგარი, სპირტიანი სასმელი ამზადებენ შაქრის ლერწმის დადუღებული წვენისა ან ბადაგისაან.

**თარაზულად:** 7. ქ. ყირიმის ნ\ კ, სადაც განლაგებულია რუსული სამხედრო-საზღვაო ფლოტი. 9. სოფელი მცხეთაში. 10. პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა, აკისრია უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა. 11. ჩვილის ხელსახოცი. 13. ფეხსაცმლის საწმენდი კრემი. 15. კანის დაავადების სამკურნალო გარეგანი თხევადი საშუალება. 16. რისამე მოძრაობა, ცვალებადობა, განვითარება. 19. ნაყოფიანი ხე მცენარე. 20. დადიანების სიძე, ნაპოლეონის დისშვილი აშილ ... 23. უდიდესი ნორვეგიელი კომპოზიტორი. 24. საკითხის არამართებული გაშუქება შეგნებულად ფაქტების დამახინჯება. 26. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება მცენარის უჯრედების გარსი. 27. მტაცებელი ფრინველი. 29. ქანქარას უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან. 30. ჭადრაკის პარტიის ისეთი დასაწყისი, როდესაც შეტევაზე სწრაფად გადასვლის მიზნით თეთრები სწირავენ ფიგურას ან პაიკს. 31. მოსქო და წებოვანი სთხე.

# იაპონური ხატვა

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | |
| | | 3 | 1 | | 3 | 2 | | 2 | 2 | 4 | 3 | 1 | 4 | 1 | 3 | | | | |
| 2 | 4 | 2 | 2 | 10 | 8 | 1 | 1 | 9 | 3 | 1 | 2 | 4 | 2 | 9 | 2 | 5 | | 8 | 1 |
| 4 | 5 | 5 | 2 | 5 | 5 | 10 | 7 | 2 | 17 | 8 | 8 | 1 | 2 | 2 | 16 | 6 | 8 | 2 | 8 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 2 | 1 | 1 | 2 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 3 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 1 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 5 |
| | | | | 10 |
| | | | | 1 |
| | | | | 3 |
| | | | 2 | 2 |
| | | | | 6 |
| | | | 7 | 3 |
| | | | 3 | 14 |
| | | | 2 | 15 |
| | | | 9 | 6 |
| | | | 8 | 5 |
| | | | 7 | 6 |
| | | | 6 | 6 |
| | | 7 | 2 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |



# აქა ამბავი ძაღლის თავისა და აგულაშვილის „აგულავებისა“

ძვირფასო მკითხველო, დაგავიწყდით, არა? სიკვდილსამც დავვიწყებოდეთ. მე მწერალი და პუბლიცისტიისტი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის წევრი ილია ბარამიძე ვარ. დიახ, საბჭოთა უშიშროების ის პოდპოლკოვნიკი, რომელმაც „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე, მისი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის გაბედული მხარდაჭერით, გამოაქვეყნა ათეულობით პუბლიკაცია, რომლებშიც საზოგადოებას ვაცნობდი საბჭოთა სპეცსამსახურების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, აგენტურის გადაბირების ხერხებს (მათი ვინაობის გაუშიფრავად, ცხადია), ბინაში ფარული შეღწევის, ტექნიკური მიყურადება-თვალთვალის და სხვა ხერხებსა თუ საშუალებებს, რისთვისაც „ქართველი კალუგინი“ შემარქვეს. ოღონდ კალუგინმა ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა (უკვე რუსულ) სპეცსამსახურებს საზღვარგარეთ გაქცევის შემდეგ, მე კი — აქ, რუსული ჯარითა და სპეცსამსახურებით ოკუპირებულ საქართველოში, ადრე საბჭოთა და ახლა უკვე რუსული აგენტურის ალყაში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ რამდენიმე ანონიმური გაფრთხილების არშემსმენმა რამდენიმე თავდასხმა გადავიტანე ქუჩაში, სათანადო ფიზიკური ტრავმებით. იმ დროს ორმოცდაათი წლისაც არ გახლდით (ახლა სამოცდარვისა ვარ) მაგრამ ყოველგვარი გზა ნებისმიერი სახელმწიფო სამსახურისკენ მავანთა მეცადინეობით, ჩემთვის ჩაიკეტა და ულუკმაპუროდ დავრჩი, მაგრამ, როდესაც სამშობლოს დასჭირდა, ბატონი **ზვიად გამსახურდიას** რეკომენდაციით, იარაღით ხელში დავდექი სამაჩაბლოში მებრძოლი ძმების გვერდით, ხოლო მოგვიანებით აფხაზეთს მივაშურე და მოხალისეთა 101-ე ბატალიონში (მეთაური გენერალ-მაიორი **თენგიზ შუბლაძე**) ვიბრძოდი.

ცოტა კიდევ უნდა წავიტრაბახო და გითხრათ, რომ ვარ იდეოლოგიური (პოლიტიკური) დივერსიების, ანუ მოწინააღმდეგის რიგებში შუღლის ჩაგდების, განხეთქილების, უნდობლობის ჩამოგდების, აგენტურის გადაბირებისა თუ ჩანერგვის სპეციალისტი და ამ საგანს ჩემი სპეცსამსახურებრივი მოღვაწეობის ბოლო წლებში ვასწავლიდი კიდეც საბჭოთა უშიშროების ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ეროვნულობის დროშა არასდროს დამიხრია, რისთვისაც „მგლის ბილეთით“ დამითხოვეს საბჭოთა უშიშროებიდან. დაჯილდოებული ვარ უმაღლესი ეროვნული ორდენებით.



ილია ბარამიძე

მიჭირდა, მაგრამ სამათხოვროდ ხელი არ გამიწვდია. მრავალი შემოთავაზების მიუხედავად, არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში არ შევსულვარ. ვიცი, რომ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა ჩემი საქმე არ არის.

აგერ, უკვე შვიდი წელია, უბინაობამ და სიღარიბემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში გადმომაბარგა (მერია ჰქვია ჩემს მშობლიურ სოფელს). ვიფიქრე, ჩემს პოეტურ შემოქმედებას მივხედავ, ჩემი სოფლის მდინარე ნატანებში თევზაობას დარდს გადავაყოლებ-მეთქი, მაგრამ ვინ დამაცალა!

წარმოიდგინეთ, ვზივარ ყავარჯნიანი მოხუცი სკამზე მდინარის პირას და ვთევზაობ კანონით ნებადართული „პარაშუტისებრი“ ბადით, ჯერაც არაფერი დამიჭერია და თავს მადგება გარემოს დაცვის სამინისტროს ოზურგეთულ-ქუთაისური ბრიგადა და მიცხადებს, რომ მე ვთევზაობ კანონით დაუშვებელ დროს, კანონით დაუშვებელ ადგილზე და კანონით დაუშვებელი საშუალებებით. ყოველგვარი ახსნა- განმარტება და მითითება კანონზე, რომ არაფერ დაუშვებელს არ ჩავდივარ, უშედეგოა. ადგენენ ოქმს, რომელშიც წერენ ბადის სულ სხვა სახეობას და ჩემს პროტესტზე მიცხადებენ, არ გვაინტერესებს, მაგ კანონში რა წერია, ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებთ, ჩვენთვის მთავარი გამოვლენაა, თქვენ, პენსიონერ კაცს, არავინ დაგსჯით, ჩვენ კი უფროსების წინაშე პირნათელი ვიქნებითო.

რამდენიმე დღის შემდეგ მიბარებენ ოზურგეთის პოლიციაში და დამკითხავენ პროკურორ ჩხაიძის სანქციით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩემს მიმართ, უკანონო თევზჭერის ბრალდებით, სრულიად გაყალბებული და შეთითხნილი მასალების საფუძველზე.

აქვე ვაცხადებ, რომ ოზურგეთის პოლიციისა და გამომძიებელ ნანა კაცაძის მიმართ არავითარი პრეტენზია არა მაქვს, თავიანთ მოვალეობას პატიოსნად ასრულებენ. ძაღლის თავი სხვაგან მარხია, მალე იმ ძაღლის თავსაც მივადგებით.



მდინარე ნატანები

ამა წლის 27 ოქტომბერს პირველად ამ საქმეზე (და ჩემს სიცოცხლეშიც) წარვსდექი ოზურგეთის სასამართლოს წინაშე (მოსამართლე სტურუა), სადაც წარმომდეგინა ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულში „უკანონო თევზჭერა“, სადაც ჩემს საქმეში რიგით მესამე თხოულობს წინასწარ პატიმრობაში ჩემს აყვანას, რადგან მე, დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილმა პიროვნებამ შეიძლება ჩავიდინო იგივე ან უფრო მძიმე დანაშაული, ან, როგორც გამოუსწორებელი გურული, ტყეში გავვარდე ფირალად ჩემი დიდი ბაბუის ანდრია ბარამიძის ან სიმონა დოლიძის მსგავსად და საძებნი გავხდე.

ჩემდა საბედნიეროდ, მოსამართლე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და პროკურორის მოთხოვნაზე უარი თქვა, რასაც უნდა ვუმადლოდე, რომ ამ წერილს სახლში, მაგიდასთან ვწერ და არა ციხეში, ქურდების გარემოცვაში.

შემდეგი სასამართლო პროცესი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ჩემი ციხეში თუ მის გარეთ ყოფნის საკითხი, 27 ნოემბერს შედგება, ამიტომ, სანამ გარეთ ვარ, მინდა, ჩემი რაიოთარ ეზოში ხის მოჭრისთვის სისხლის სამართლის კანონით ისჯება, მიმდინარეობს მდინარე ნატანების ულამაზესი კალაპოტისა და ხეობის ულმობელი განადგურება. ამ პატარა სოფლის ტერიტორიაზე დღედაღამ გრუხუნებს რამდენიმე ქვის სამტვრევი საამქრო, მათ შორის ერთი ჩინელებისა, რასაც ეწირება კალაპოტიდან ამოღებული ათასობით ტონა ქვა და ხრეში.

უხრეშოდ დარჩენილი მდინარე წელიწადში რამდენიმეჯერ გადადის კალაპოტიდან, ლეკავს და შლის საყანე მიწებს და, რაც საყურადღებოა, უსპობს თევზს ქვირითის დაყრის საშუალებას, რასაც „ძლვენი საცოდავით“ პირგამოტენილი აგულაშვილის „აგულავებული“ ხელისბიჭები „ვერ ამჩნევენ“. ვერც იმას ამჩნევენ, რომ მდინარის კალაპოტი ნაგავსაყრელადაა ქცეული.

არც ის უნდა დაიფაროს, რომ აგულაშვილის უწყების რამდენიმე თანამშრომელი სწორედ აკრძალული იარაღით მო-



ნის გარემოს დაცვით მდგომარეობაზე მოგახსენოთ.

საზოგადოებრივი გარემო მოწამლულია. ენ-დი-აი არ გახლავართ, მაგრამ თავს ნებას ვაძლევ მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა კატასტროფულად ეცემა და ამის მიზეზი გარემოს დაცვის სამინისტრო, მისი რესპუბლიკელი უსტაბაშით, ვინმე **აგულაშვილით,** რომლის ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა რაიონში ასეულებია. აგულაშვილის მიერ „აგულავებული“ ვირთხები ათას სისაძაგლეს სჩადიან. ისედაც სიდუხჭირის ზღვარზე მდგარ მოსახლეობას ავიწროებენ ჯარიმებით, მუქარით, შანტაჟით და ათასი სიბილწით, ხოლო გარემოს გამანადგურებელთ მფარველობენ და წილში უსხედან. მაგალითი? ახლავე, ბატონო.

ჩემს სოფელ მერიაში, სადაც გლეხი ღელეში თევზის დაჭერის მცდელობისა და საკუთევზავე უნახავთ ჩემს თანასოფლელებს მათ მიერ „დაცულ“ მდინარე ნატანებზე. ისიც მაცნობეს, რომ ა. წ. ოქტომბრის დასაწყისში აგულაშვილის უწყების ერთი ოთხკაციანი ეკიპაჟი გვარიანად მიუბეგვია მდინარე სუფსაზე გამწარებულ მოსახლეებს.

როგორც გითხარით, ჩემი ციხეში ჩასმა-არჩასმის საკითხი 27 ნოემბერს გადაწყდება. მანამდე კი ვსარგებლობ „სვაბოდაზე“ ყოფნის ბედნიერებით და **მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ დროულად მიაქციეთ ყურადღება აგულაშვილის უწყების წარმომადგენელთა საბოტაჟურ-პროვოკაციულ ქმედებებს, თორემ ესენი იმდენს იზამენ, მთელ მოსახლეობას მტრად მოგკიდებენ.**

**ილია ბარამიძე,**
**ოზურგეთი, ს. მერია**
577 753 363

# აპოკალიფსი, რომელიც არც ისე შორსაა



ისტორიის ფურცლებზე რეგულარულად ჩნდება ისეთი ადამიანების სახელები, როგორიცაა **ედგარ კეისი** და **ნოსტრადამუსი**. ნოსტრადამუსის პრაქტიკულად ყველა წინასწარმეტყველება ზუსტი აღმოჩნდა.

**ედგარ კეისიც** ასევე უჩვეულო შესაძლებლობებს ფლობდა.ტრანსის დროს ქეისი არა მხოლოდ მომავალს წინასწარმეტყველებდა, არამედ იმ ხალხებზეც ჰყვებოდა, რომლებიც აღარ არსებობდნენ. მსჯელობდა ოკულტურ ნივთებზე, ასტრალურ სამყაროზე, დემონოლოგიაზე რეინკარნაციასა და ფსიქომეტრიაზე. გარდა ამისა ავადმყოფებს ურჩევდა მარხვას, ლოცვას, ღარიბთათვის ფულის მიცემას, ფუფუნებაზე უარის თქმას. კეისი ფულს არ იღებდა, თუ ვინმე ჩუმად დაუტოვებდა, მაშინვე ეკლესიაში მიჰქონდა. წინასწარმეტყველი ცოლთან ერთად პატარა სახლში ცხოვრობდა. შენახულია უამრავი წინასწარმეტყველური ხასიათის მოწმობა, რომელიც კეისმა ტრანსის მდგომარეობაში გააკეთა. პრაქტიკულად ყველა ასრულდა. კეისი ამბობდა, რომ იაპონია წყნარ ოკეანეში ჩაიძირება, ხოლო ასწლეულის მიჯნაზე მიწისძვრები გაანადგურებს კალიფორნიას.



ედგარ კეისი

**რამა ბანგალორში** (ინდოეთში) მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ასტროლოგი, გახდა უჩვეულო გამოკვლევის ინიციატორი. ის დაუკავშირდა ზოგიერთ თავის კოლეგას – მსოფლიოს ყველაზე წამყვან ასტროლოგებს, და წინასწარმეტყველებების წიგნი შეადგინა. ყველასთვიოს გასაკვირად, ისინი ფაქტიურად ერთხმად აღიარებდნენ, რომ XXI საუკუნის დასაწყისში სერიოზული კატასტროფები და უბედურებები მოგველის. ზოგიერთი ამ უბედურებებს ომებთან აკავშირებდა, ზოგიერთი მიწისძვრებთან და წყალდიდობებთან, სხვები კი ამბობდნენ, რომ უახლოეს დროში დედამიწის სახე საოცრად შეიცვლება. ცხადი ერთია – ყველანი ისინი საუბრობენ საშინელი მასშტაბების გლობალურ კატასტროფებზე.

სიზმრების გამოკვლევა წინასწარმეტყველებების კიდევ ერთი წყაროა. მრავალი ადამიანი ხედავს სიზმრებს, რომლებიც გლობალურ კატაკლიზმებს გვპირდება. ამასთან საინტერესოა ავღნიშნოთ, რომ ხშირად სიზმრების შინაარსი სრულიად განსხვავებული ადამიანებისთვის ერთი და იგივეა., მიუხედავად მანძილისა, რომელიც მათ ჰყოფს და მიუხედავად განსხვავებული ენისა, კულტურისა და აღზრდისა. ამგვარად ყურადსაღებია ჩეტ შოუს დასკვნები, რომელმაც იმ მასობრივი სიზმართხილვების ფორმულირება მოახდინა, რომლებიც გლობალური მასშტაბის მოვლენებზე მიგვითითებენ

არსებობს კიდევ ერთი დამაინტრიგებელი ასპექტი ინტენსიური ჰიპნოზური პროგრესიის მომენტებში, როცა პაციენტი მომავალში გადადის, - ვთქვათ, XXI ან XXII საუკუნეში, - მრავალი ადამიანი ვერ ხედავს საკუთარ თავს. ფაქტიურად ვერცერთმა პაციენტმა ვერ დაინახა საკუთარი თავი XXII საუკუნეში.

მათგან, ვინც XXI საუკუნეში შეძლო გადასვლა, პრაქტიკულად ყველამ საოცრად მსგავსი აღწერილობა მოგვცა. ბევრი ვერ ხედავდა ვერაფერს გარდა საშინელი უბედურებებისა და საოცარი ცვილებებისა. ტრანსის მდგომარეობაში ისინი ამტკიცებდნენ, რომ პრაქტიკულად ვერავინ ვერ შეძლებს მომავალში გადარჩენას, ხოლო ისინი, ვინც ამას შეძლებს, მოუწევთ იზოლირებული ცხოვრება სასოფლო-სამეურნეო "ობშინებში", რომლებიც ტექნოლოგიური ცივილიზაციის ხაფანგისგან მოშორებით იქნება შექმნილი.

დოქტორმა **მოუდიმ** შექმნა ოთახი, სადაც საკვირველებები ხდება. ხშირ შემთხვევაში ამ ოთახში მყოფი ადამიანები მომავლის მსგავს განცდას აღწერდნენ. ისინი ხედავდნენ საშინელ უბედურებებს, რომლებშიც მილიონობით ადამიანი იღუპებოდა. ამის შემდეგ კი ახალი ცივილიზაცია იწყებოდა

საინტერესოა ახალი აღმოჩენები არქეოლოგებისა, რომლებმაც ყინულის და თოვლის სქელი საფარის ქვეშ დინოზავრების გაყინული ნაშთები იპოვნეს. იპოვნეს არა მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები, არამედ დინოზავრთა მთლიანი სხეულებიც. ზოგიერთ შემთხვევაში მათ გაუმართლათ და იპოვეს მამონტები, რომელთა კუჭშიც გადაუმუშავებელი ტროპიკული მცენარეები ნახეს.

თავიდან მეცნიერები განცვიფრდნენ – ისინი არქტიკულ რეგიონებში ნახეს, სადაც ასეთი მცენარეები არასოდეს არ იზრდებოდნენ. თუმცა საბოლოო ჯამში მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ამ რეგიონში კლიმატის მკვეთრი ცვლილება მოხდა. ცხადი იყო, რომ დინოზავრების არსებობის დროს კლიმატი პლანეტაზე ტროპიკულიდან არქტიკულამდე შეიცვალა.

ისლამური წმინდა წერილები ამტკიცებენ, რომ მალე მას შემდეგ, რაც ადამიანი მთვარეზე დააბიჯებს ფეხს, არსებული ცივილიზაცია დაინგრევა. ბევრი ამბობს, რომ ჩვენი ცივილიზაცია აგებულია ჭკუის კონტროლის პრინციპზე, რასაც მივყავართ სწორედ დაღუპვამდე. ეზოთერული ისლამური ტექსტები, მაგალითად, საუბრობენ ცალთვალა მონსტრზე, რომელიც თავის კონტროლს დაუქვემდებარებს ყოველ სახლს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს ცალთვალა მონსტრი – ჩვეულებრივი ტელევიზორია.



ნოსტრადამუსი

უკანასკნელ დროს სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ, რომ სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ღვთისმშობლის ხატი ეცხადება. ის ასობით ათას ადამიანს გამოეცხადა მთელ მსოფლიოში. ამასთან, პრაქტიკულად, ყოველთვის ღვთისმშობელი მიმართავდა ადამიანებს უბრალო, მაგრამ დაჟინებული გზავნილით, რომელიც ამბობდა, რომ მსოფლიო გადარჩენა, თუ ეს საერთოდ შეიძლება, მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა ადამიანები შეცვლიან თავის ცხოვრებას, მოინანიებენ და ღმერთს მიმართავენ. მისი გზავნილის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ თუ ადამიანთა ცოდვები გაიზრდება, ძალიან ახლო მომავალში საშინელი უბედურებები დატრიალდება.

ზოგიერთი ადამიანი მართლა სერიოზულ ყურადღებას აქცევს მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ უმეტესობა უკიდურესად ზედაპირულად უყურებს ამ ყველაფერს. სამწუხაროდ, საინფორმაციო სააგენტოების შეტყობინებები ჩვენი ყურადღების კონცენტრაციას ახდენს ყოველ ცალკეაღებულ მოვლენაზე, მაგრამ არ გვაძლევს საშუალებას, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს საერთო პლანით შევხედოთ. ინტუიტურად გამოვდივართ იქიდან, რომ ეს ყველაფერი სხვას გადახდა და არა ჩვენ. ვერ აღვიქვამთ ტყეს, როგორც ცალკეული ხეების ერთობლიობას და არ ვართ მზად, ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ დედ ბუნებას უფრო და უფრო მეტი სიცოცხლე მიაქვს.

ბუნება არაა ქაოტური და განურჩეველი, ის უბრალოდ რეაგირებს ჩვენს ქმედებებზე. თუ ძალადობა არ შეწყდება, იგი აჯანყდება და შეძლებს საკუთარი თავის დაცვას. სწორედ ეს ხდება ჩვენს გარშემო.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს.



იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**